

# **სამოქალაქო პროცესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

# ბანსჯაღობის წესების დარღვევა

## ბანრინება

№ას-890-852-2014

30 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 2 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა სსიპ სა-ხელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოპასუხე კ. კ-ის მიმართ და მოითხოვა ამ უკანასკნელისაგან ზიანის ანაზღაუ-რება 151345.3 ლარის ოდენობით.

სარჩელში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 24 აგვისტოს №1-1/1604 ბრძანების საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდა ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩაზე განთავსე-ბულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებ-ზე ჩასატარებელი სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მისა-ღები მეორადი სამშენებლო მასალების პრივატიზება. აუქცი-ონში გამარჯვებულად გამოცხადდა კ. კ-ი, რომელთანაც 2011 წლის 27 სექტემბერს გაფორმდა სახელმწიფო საკუთრებაში არ-სებული მოძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრი-ვატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, საპრივატიზებო ქონების საფასური განისაზღვრა 520000 ლარით, რომელიც შემძენს უნდა გადაეხადა. მყიდველი ვალდებული იყო ასევე 2012 წლის პირველ მაისამდე განეხორ-ციელებინა შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და დემონტაჟის შე-დეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალა და ნარჩენები ტერიტორიიდან გაეტანა. ზემოხსენებული ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტეხლოც, რომელიც დაეკისრებოდა მყიდველს ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემ-თხვევაში. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, აუქციო-ნის შედეგები უქმდება და ქონება უბრუნდება სახელმწიფოს საკუთრებაში, თუ მყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებით

განსაზღვრულ ვადაში არ შეასრულებს ვალდებულებას და დადგენილ დროში არ წარმოადგენს მისი შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს. ამასთან, მყიდველს არ აუნაზღაურდება გადახდილი საპრივატიზებო საფასური და განეული ხარჯები.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ არ შეასრულა შენობა-ნაგებობის დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალისა და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ არაერთხელ გააფრთხილა მოპასუხე ზემოხსენებული ვალდებულების შესრულების თაობაზე, ამ გაფრთხილებებს მოპასუხის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, შესაბამისად, მოსარჩელემ თავისი 24.05.2013 წლის №1/1-315 ბრძანებით შეწყვიტა 27.09.2011 წელს მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულება.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების 4.1 პუნქტიდან გამომდინარე, ვინაიდან მოპასუხესთან მოიშალა ხელშეკრულება, ეს უკანასკნელი ვალდებულია სახელმწიფოს დაუბრუნოს გადაცემული ქონება, მაგრამ, ვინაიდან ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია, მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს მისთვის გადაცემული ქონების ღირებულება, რაც, ექსპერტის დასკვნის მიხედვით, შეადგენს 151345.3 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას 2011 წლის 27 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1.6 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხეს არ შეუსრულებია, რის გამოც აუქციონის შედეგები გაუქმდა და მოპასუხეს წარმოეშვა პრივატიზებული ქონების ღირებულების უკან დაბრუნების ვალდებულება, შემდეგი გარემოებების გამო:

ზემოითითებული ხელშეკრულების 2.1 პუნქტის შესაბამის-

სად, მყიდველის ძირითად ვალდებულებებს წარმოადგენდა:

1. გადაეხადა საპრივატიზებო საფასური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (2.1.2 პუნქტი) და

2. 2012 წლის 1 მაისამდე განეხორციელებინა შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა.

უდავო იყო, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან კ. კ-მა არ შეასრულა მხოლოდ დემონტაჟის შედეგად ნარჩენების ტერიტორიიდან სრულად გატანა. მოსარჩელეს მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება სადავოდ არ გაუხდია.

ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, აუქციონის შედეგები უქმდება და ქონება სახელმწიფო საკუთრებაში ბრუნდება, თუ მყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულებას არ შეასრულებს და დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს ამ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს. ამასთან, მყიდველს არ აუნაზღაურდება გადახდილი საპრივატიზებო საფასური და განუული დანახარჯები.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ იყო ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მოცემულობა, რადგან მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა არა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობას, არამედ ცალკეული ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას, რაც მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე არ წარმოშობდა მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მოპასუხის მხრიდან.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ.

კასატორის მოთხოვნა:

გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

ხელშეკრულების 2.1.6 პუნქტის თანახმად, მონინალმდეგე მხარემ (მყიდველმა) ვალდებულია იკისრა, 2012 წლის 1 მაისამდე განეხორციელებინა შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა. ამავე ხელშეკრულების 2.4 პუნქტის თანახმად, ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით მონინალმდეგე მხარეს უნდა წარმოედგინა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის № 1064 განკარგულებით განსაზღვრული საექსპერტო ან/და ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის მიერ შედგენილი დასკვნა. შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა წარმოადგენს ერთ პირობას და მათი ცალ-ცალკე გამოყოფა დაუშვებელია. შესაბამისად, არამართებულია სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო კ. კ-ს არ შეიძლება წარმოეშვას ქონების უკან დაბრუნების ვალდებულება. საგულისხმოა ის გარემოება, მოპასუხეს არც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო გადაუხდია.

ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, აუქციონის შედეგები უქმდება და ქონება უბრუნდება სახელმწიფოს საკუთრებაში, თუ მყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ შეასრულებს ვალდებულებას და დადგენილ დროში არ წარმოადგენს მისი შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს. ამასთან, მყიდველს არ აუნაზღაურდება გადახდილი საპრივატიზებო საფასური და განუული ხარჯები. მოცემულ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ მონინალმდეგე მხარეს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და ამ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება სააგენტოში არ წარუდგენია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმე-

ბის ჩამონათვალი, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ. აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

საკაცაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული კატეგორიის დავას განეკუთვნება. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევაც არსებითაა დავის უშუალო მატერიალურსამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში კანონმდებელმა დააკონკრეტა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში, ამ ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 24 აგვისტოს №1-1/1604 ბრძანების საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდა

ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩაზე განთავსებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე ჩასატარებელი სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალების პრივატიზება. აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა კ. კ-ი, რომელთანაც, 2011 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობის სამმართველომ გააფორმა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, საპრივატიზებო ქონების საფასური განისაზღვრა 520000 ლარით, რომელიც შემძენს უნდა გადაეხადა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. მყიდველი ვალდებული იყო ასევე 2012 წლის პირველ მაისამდე განეხორციელებინა შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალა და ნარჩენები ტერიტორიიდან გაეტანა. ზემოხსენებული ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტეხლოც, რომელიც დაეკისრებოდა მყიდველს ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, აუქციონის შედეგები გაუქმდებოდა და ქონება დაუბრუნდებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში, თუ მყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ შეასრულებდა ვალდებულებას და დადგენილ დროში არ წარმოადგენდა მისი შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს. ამასთან, მყიდველს არ აუნაზღაურდებოდა გადახდილი საპრივატიზებო საფასური და განეუ-ლი ხარჯები.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დავის განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადამწყვეტია იმის გარკვევა, დადებულია თუ არა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის №77 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა, ხოლო, საქართველოს მთავრო-

ბის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტო ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში და წესით. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის აუქციონის ფორმით პრივატიზებას და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის აუქციონის ფორმით პრივატიზებას (რომელიც არ არის სარგებლობაში გადაცემული ან/და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული) და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა – პრივატიზაცია – სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი არ არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა როგორც კერძო პირი, როგორც ურთიერთობის თანასწორი მონაწილე. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ბს-827-789-(გ-07).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კ. კ.-ს შორის 2011 წლის 27 სექტემბერს დადებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა სახელმწიფო ქონების მარ-



თვა და განკარგვა.

კასატორის (მოსარჩელის) განმარტებით, მოპასუხემ არ შეასრულა ზეხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, რის გამოც მოსარჩელემ თავისი 24.05.2013 წლის №1/1-315 ბრძანებით შეწყვიტა 27.09.2011 წელს მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულება. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების 4.1 პუნქტიდან გამომდინარე, ვინაიდან მოპასუხესთან მოიშალა ხელშეკრულება, ეს უკანასკნელი ვალდებულია სახელმწიფოს დაუბრუნოს გადაცემული ქონება, მაგრამ, ვინაიდან ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია, მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს მისთვის გადაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულება.

ამდენად, მოცემული სარჩელის დავის საგანია ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული იმ ზიანის ანაზღაურება, რაც მიადგა სახელმწიფოს, შესაბამისად, ამ სარჩელის მიზანია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის დაცვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალური თეორია გამოდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, განსახილველი საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული დასკვნები მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის თაობაზე შესაბამისობაშია მსგავსი კატეგორიის დავების განსჯადობის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებები: 15.11.2007წ. საქმე №ბს-827-789-(გ-07), 11.10.2007წ. საქმე №ბს-442-420(გ-07)).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განეხილა იგი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებ-

ლობის მიხედვით გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ექვემდებარებოდა განხილვას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით.

ამდენად, საქმის განმხილველმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, ხოლო, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული დავის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ელექტრონული დეკლარაციის იურიდიული კალა

## განჩინება

№ას-951-913-2014

25 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება, ქონების გადაცემა

### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-მა ბათუმის საქალაქო სასამართლოში შპს „კ-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მხარეებს შორის 2012 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და მოპასუხისათვის 20000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „კ-ს“ დაევალა მხარეებს შორის 2012 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №33-ში მდებარე 2000 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ვ. გ-ის საკუთრებაში გადაცემა, ვ. გ-ი დარეგისტრირდა შესაბამისი უძრავი ქონების მესაკუთრედ, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „კ-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის განჩინებით შპს „კ-ს“ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 7000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარდგენა დაევალა.

იმავე სასამართლოს 15 მაისის განჩინებით შპს „კ-ის“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში ხარვეზის შევსების ვადა 7 დღით გაგრძელდა.

იმავე სასამართლოს 2014 წლის 30 მაისის განჩინებით საპ-

როცესო ვადა 5 დღით გაგრძელდა, ხოლო 2014 წლის 10 ივლისის განჩინებით – 3 დღით.

განჩინების პასუხად შპს „კ-მა“ სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და საგადასახადო დეკლარაციები წარადგინა. განმცხადებელმა ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, გადავადება ან განაწილვადება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის განჩინებით შპს „კ-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტმა წარადგინა საგადასახადო დეკლარაციის ბლანკი, რომელიც არ არის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული საგადასახადო ორგანოს მიერ, ამიტომ არასათანადო მტკიცებულებაა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „კ-მა“ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, ელექტრონულად წარდგენილი დეკლარაცია არ საჭიროებდა საგადასახადო ორგანოს ხელმოწერას ან ბეჭდის დასმას. დეკლარაციას გააჩნდა კანონით დადგენილი ყველა რეკვიზიტი, მაგრამ სასამართლო, რატომღაც, „დეკლარაციის ბლანკს“ უწოდებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „კ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის განჩინებით შპს „კ-ს“ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 7000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარდგენა დაევალა. ხარვეზის შევსების ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა. საბოლოოდ, შპს „კ-მა“ სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და საგადასახადო დეკლარაციები წარადგინა. განმცხადებელმა ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, გადავადება ან განაწილვადება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მის მიერ წარდგენილი ელექტრონული დეკლარაციები უნდა შეეფასებინა.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები იყო „დეკლარაციის ბლანკი“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, წერილობითი ან/და ელექტრონული დოკუმენტის (მათ შორის, საარქივო მასალის) სახით შექმნას, მიიღოს, გაგზავნოს, შეინახოს და გასცეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერა. ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობით დოკუმენტს.

ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო დეკლარაციის ფორმებს, მისი შევსებისა და ელექტრონული დეკლარირების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ინსტრუქციის“ მე-11 მუხლის 1-2 პუნქტების თანახმად, ემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის კომუნიკაცია (მათ შორის, დეკლარირება) შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, ონლაინ რეჟიმში, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის [www.rs.ge](http://www.rs.ge) (შემდგენილი – სამსახურის ვებგვერდი) გამოყენებით. სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით – პირის მიერ ელექტრონული ფორმით შედგენილი და წარდგენილი დოკუმენტი/წერილი, ასევე საგადასახადო ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით შექმნილი და გაგზავნილი დოკუმენტი/წერილი არ საჭიროებს უფლებამოსილი პირის ხელმოწერას და მას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ/გაგზავნილ, პირადი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტს/წერილს.

მოცემულ შემთხვევაში, აპელანტის მიერ წარდგენილ დეკლარაციებს გააჩნია საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, რაც ნიშნავს, რომ დეკლარაციები საგადასახადო ორგანომ მიიღო და მათ გააჩნიათ ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ, პირადი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ დეკლარაციების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევა იმ საფუძვლით,

რომ საგადასახადო ორგანოს ხელმოწერა და ბეჭედი არ გააჩნია, უკანონოა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. იმავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სხვა მტკიცებულებებთან ერთად უნდა შეაფასოს აპელანტის მიერ წარდგენილი ელექტრონული დეკლარაციები და ისე გადაწყვიტოს არსებობს თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ან შემცირების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „კ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის განჩინება და საქმე შპს „კ-ის“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემომტების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო სარჩების გადახდისა და  
გათავისუფლება**

**განჩინება**

№ას-314-296-2014

21 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. და მ. მ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ვ. ს-სა და ე. ზ-  
ას მიმართ გ. მ-ეს, მ. მ-ეს და ე. ზ-ას შორის დადებული ნასყიდო-  
ბის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2013 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. და მ.  
მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაა-  
საჩივრეს მოსარჩელეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის განჩინებით გ. მ-სა და მ.  
მ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სა-  
ხელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების თაობაზე არ  
დაკმაყოფილდა, ამავე განჩინებით კი, სააპელაციო საჩივარი  
დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ამავე სა-  
სამართლოს 2014 წლის 28 იანვრის განჩინებით აპელანტებს და-  
ევალათ 10 დღის ვადაში წარედგინათ სახელმწიფო ბაჟის – 280  
აშშ დოლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

აპელანტთა წარმომადგენელ ა. ხ-ს თბილისის სააპელაციო  
სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 იან-  
ვრის განჩინება ჩაბარდა 2014 წლის 3 თებერვალს სამოქალაქო  
საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით,  
შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ხარვეზის გამოს-  
წორების ვადა ამოიწურა 2014 წლის 13 თებერვალს.

2014 წლის 19 თებერვალს გ. მ-ემ და მ. მ-ემ ხარვეზის გამოს-  
წორების შესახებ განცხადებით მიმართეს სააპელაციო სასა-

მართლოს და იშუამდგომლეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების თაობაზე, ასევე წარადგინეს ცნობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს სამსახურიდან, რომლითაც დასტურდებოდა, რომ აპელანტების ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სააპელაციო პალატა შუამდგომლობის შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან არ არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გათავისუფლების საფუძვლები, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტისა.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს სამსახურის მიერ გაცემული ცნობით არ დასტურდებოდა, რომ აპელანტების ოჯახი იღებდა საარსებო შემწეობას, საარსებო შემწეობის მიღება კი, სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა.

ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ იყო სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი გამოსწორებული – სახელმწიფო ბაჟი არ იყო გადახდილი, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა, ამასთანავე, პალატამ ასევე მიუთითა ამავე ნორმის მე-7 ნაწილზე და, ვინაიდან, აპელანტები საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე არ შუამდგომლობდნენ, მიიჩნია, რომ არ არსებობდა არც საპროცესო ვადის გაგრძელების წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს გ. და მ. მ-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი, რადგანაც 2014 წლის 28 იანვრის განჩინება, რომლითაც სააპელაციო საჩივარზე დადგინდა ხარვეზი და მისი გამოსწორების ვადა 10 დღით განისაზღვრა, მხარეს ჩაბარდა 2014 წლის 3 თებერვალს, ხოლო მხარემ ხარვეზის გამოსწორების მიზნით განცხადება ფოსტაში წარადგინა 2014 წლის 12 თებერვალს, სასამართლოს კი გადაეცა 19 თებერვალს, ამდენად, საპროცესო ვადა მხარის მიერ არ დარღვეულა.

უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ხარვეზის გამოუსწორებლობისა და არასათანადო დოკუმენტის წარდგენის თაობაზე, რადგანაც სასამართლოში წარდგენილი სო-



ცილურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ამონაწერის თანახმად, აპელანტებს ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა მონაცემების ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ კანონით დადგენილი შესაბამისი ქულა, რაც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველია, სწორედ ამ ქულის ოდენობიდან გამომდინარე, 2014 წლის თებერვლიდან ეძლევათ აპელანტებს შემნებობა, ამდენად, სააპელაციო პალატის მსჯელობა ზემოაღნიშნული დოკუმენტის თაობაზე უსაფუძვლოა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 აპრილის განჩინებით გ. და მ. მ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. და მ. მ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, კერძო საჩივარი შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, რის გამოც არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინების საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებისათვის კანონით უზრუნველყოფილი მხარის უფლება დაარღვია, ამასთანავე, არასწორადაა აღნიშნული განჩინებაში საპროცესო ვადის გამოთვლის თაობაზე.

გასაჩივრებული განჩინებით პალატამ დადგენილად ცნო, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება, რომლითაც მისი გამოსწორების საპროცესო ვადა განისაზღვრა 10 დღით, ხოლო საპროცესო მოქმედებას წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა, მხარეს კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა 2014 წლის 3 თებერვალს, ხარვეზის გამოსწორების ვადა ამოიწურა 13 თებერვალს, ხოლო აპელანტებმა სასამართლოს მიმართეს 2014 წლის 19 თებერვალს.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ შეაფასა მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტი და დადგენილად მიიჩნია, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული აპელანტები, რომელთა სარეიტინგო ქულა 55270-ით არის განსაზღვრული, არ არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების სუბიექტები, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტისა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარემ არ იშუამდგომლა საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე, სასამართლომ მას არც საპროცესო ვადა გაუგრძელა და ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

კერძო საჩივრის ავტორები არ ეთანხმებიან სასამართლოს მსჯელობას საპროცესო ვადის თაობაზე და მიიჩნევენ, რომ მათ სწორედ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის დაცვით, ფოსტის მეშვეობით მიმართეს სასამართლოს, ამასთანავე, სათანადო მტკიცებულების წარდგენით დაადასტურეს ფაქტობრივი გარემოება, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული იყვნენ და, შესაბამისად, ხარვეზიც სრულად გა მოასწორეს.

საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტებს და მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ საფოსტო შეტყობინებაზე, რომლის თანახმადაც აპელანტთა უფლებამოსილ წარმომადგენელს ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება, რომლითაც საპროცესო ვადა 10 დღით იყო განსაზღვრული, ჩაბარდა 2014 წლის 6 თებერვალს და არა 3 თებერვალს, როგორც ამას სასამართლო მიუთითებს განჩინებაში;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილი წარმომადგენლის ინფორმირება მხარის ინფორმირებადაც განიხილება და საპროცესო მოქმედების განხორციელების საკმარისი საფუძველია.

ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, 10-დღიანი საპროცესო ვადის დენა დაიწყო 2014 წლის 7 თებერვალს და ამოიწურა 17 თებერვალს (16 თებერვალი იყო არასამუშაო დღე);

საქმეში წარმოდგენილი განცხადების თანახმად, რომელსაც ერთვის თ. შ-ის სახელით გაგზავნილი საფოსტო კონვერტი (ეს კონვერტი მითითებულია როგორც სარეგისტრაციო შტამპზე, ისე საქალაქო სასამართლოს მიმართვაზე) აღნიშნულია, რომ ხარვეზის გამოსწორების შესახებ განცხადება ფოსტას ჩაბარდა 2014 წლის 13 თებერვალს, შესაბამისად, მხარის მიერ საპროცესო მოქმედება განხორციელებულად ითვლება ფოსტისათვის მიმართვიდან და არა განცხადების სასამართლოში შესვლიდან – 2014 წლის 19 თებერვლიდან;

თავად განცხადებაზე დართული ცნობის თანახმად, რომელიც სააპელაციო სასამართლოს შეფასებითვე სწორედ აპელანტთა ოჯახურ მდგომარეობას ასახავს, დასტურდება, რომ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელია 55270;

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განჩინების იმ მსჯელობას, რომელიც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტსა და ზემოაღნიშნულ მტკიცებულებას და განმარტავს შემდეგს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან თავისუფლდებიან მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, ხოლო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, კანონმდებელმა დაადგინა, რომ სასამართლო ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდისაგან თავისუფლდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი ტოლია ან ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე (მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „მ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი).

დასახელებული საკანონმდებლო რეგულაცია პრაქტიკულად იმავე სამართლებრივ დატვირთვას ატარებს, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმის დებულება, რადგანაც საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, საარსებო შემწეობის

მისაღები ზღვრული ქულა არის 57001 .

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია რა, რომ მხარის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი ნაკლებია ზღვრულ ოდენობაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობდა მხარის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და არასწორად უთხრა უარი აპელანტებს საჩივრის განსახილველად დაშვებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არსებობს სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები, შესაბამისად, საქმე უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს გ. და მ. მ-ის სააპელაციო საჩივრის ხელახალი განხილვისათვის.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გ. და მ. მ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კერძო საჩივრის ავტორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მაგისტრი მოსამართლის განსჯად საქმეზე  
სასამართლო ბაჟის ოდენობა**

**სასამართლო უწყების ჩაბარება**

**განჩინება**

№ას-536-509-2014

4 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს „თ. ბ-მა“ ბათუმის საქალაქო სასამართლოში ნ. ხ-ის წინა-  
აღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის 2008  
წლის 31 მაისის საკრედიტო ბარათით სარგებლობის შემცირე-  
ბული დავალიანების 2000 ლარის გადახდის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2014 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით სს „თ. ბ-ის“  
სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. ხ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ  
2000 ლარის გადახდა დაევალა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. ხ-მა სააპელაციო წესით გა-  
ასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2013 წლის 26 მარტის განჩინებით აპელანტს დაევალა  
განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარედგინა დასაბუ-  
თებული სააპელაციო საჩივრის საკმარისი ეგზემპლარი და სა-  
ხელმწიფო ბაჟის სახით 75 ლარის გადახდის დამადასტურებე-  
ლი ქვითარი.

იმავე სასამართლოს 2014 წლის 4 აპრილის განჩინებით ნ. ხ-  
ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს  
მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო. სააპე-  
ლაციო სასამართლოს მითითებით, ხარვეზის განჩინება გაეგ-  
ზავენა თავად აპელანტსაც და მის წარმომადგენელ რ. ჩ-საც.  
ორივე გზავნილი დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს აღ-  
ნიშვნით, რომ ადრესატი მითითებულ მისამართზე არ ცხოვ-  
რობს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარემ შეიცვა-

ლა მისამართი, ამდენად, განჩინება ჩაბარებულად მიიჩნია 27 მარტიდან და ამ თარიღიდან აითვალა ხარვეზის შევსების ვადა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნოდარ ხრიკულის წარმომადგენელმა რ. ჩ-მ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მას მისამართი არ შეუცვლია. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე ჩაბარდა იმავე მისამართზე ფოსტის მეშვეობით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ის წარმომადგენელ რ. ჩ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

იმავე კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, მხარისათვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი გზავნილი ჩაუბარებლობის შემთხვევაში, კიდევ ერთხელ უნდა გაიგზავნოს სასამართლოსათვის ცნობილ იმავე ან სხვა მისამართზე, გარდა იმ შემთხვევისა, რო-

დესაც მხარემ შეიცვალა მისამართი, მაგრამ აღნიშნულის თაობაზე სასამართლოს არ აცნობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მისამართის ცვლილება პირდაპირ უნდა დასტურდებოდა ფოსტის მიერ დაბრუნებულ გზავნილზე არსებული აღნიშვნით ან სხვა მტკიცებულებით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალები ადასტურებს, რომ ხარვეზის განჩინება გაეგზავნა ნ. ხ-სა და მის წარმომადგენელს სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე. ნ. ხ-ის გზავნილი დაბრუნდა აღნიშვნით „ამ მისამართზე ცხოვრობს პ. გ-ე მე-2 სართული კარი ნითელი“, შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ნ. ხ-ი მითითებულ მისამართზე ცხოვრობდა, მაგრამ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი. რაც შეეხება ნ. ხ-ის წარმომადგენელ რ. ჩ-ისათვის გაგზავნილ განჩინებას, დაბრუნებულ გზავნილზე აღნიშნულია, რომ მეზობლის მითითებით, ადრესატი მისამართზე არ ცხოვრობს, ცხოვრობს მდგმური. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა აღნიშნული უკუგზავნილი და არასწორად მიიჩნია, რომ რ. ჩ-მ მისამართი შეიცვალა. ფოსტის თანამშრომელს არ უსაუბრია უშუალოდ მისამართზე მცხოვრებ პირთან. ის გარემოება, რომ რ. ჩ-ს ჰყავდა მდგმური, არ ადასტურებს მის მიერ საცხოვრებლად სხვაგან გადასვლას, რადგანაც ქირავნობა, შესაძლებელია, გავრცელდეს მხოლოდ საცხოვრებელი სახლის ნაწილზე. საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება რ. ჩ-ს იმავე მისამართზე ჩაბარდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის განჩინება განმეორებით უნდა გაეგზავნა მხარისათვის მისთვის ცნობილ მისამართზე, განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში კი, შესაძლებელი იქნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო შეტყობინების გავრცელება. სააპელაციო სასამართლომ კი, პირველი ჩაუბარებლობის მომენტიდან აითვალა ხარვეზის შევსების ვადა და სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ნ. ხ-ის სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის მომენტიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ მოცემულ კერძო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 50 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ოდენობის ნახევარს. იმავე კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით კი, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს. აღნიშნული დანაწესის გათვალისწინებით, მოცემული დავა მაგისტრატი მოსარჩელის განსჯადია, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება და კერძო საჩივარზე გადახდილი უნდა ყოფილიყო 25 ლარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლი უშვებს ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ს უნდა დაუბრუნდეს ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 25 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. ხ-ის წარმომადგენელ რ. ჩ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 აპრილის განჩინება და საქმე ნ. ხ-ის სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის მომენტიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. ნ. ხ-ს დაუბრუნდეს 14.05.14 წლის №1 საგადახდო დავალებით რ. ჩ-ის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 25 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



# სასამართლო უწყების ჩაბარება

## განჩინება

№ას-1166-1111-2014

9 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „W. S-E-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ნ-გ“-ს მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით შპს „W S-E-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს „ნ-გ-ს“ შპს „W. S-E-ის“ სასარგებლოდ 10 454.59 ლარის გადახდა დაეკისრა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ნ-გ“-მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინებით შპს „ნ-გ“-ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგინოდად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივლისის განჩინებით აპელანტს, სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შესავსებად (178,19 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოსადგენად) განესაზღვრა 7 დღის ვადა განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან.

აღნიშნული განჩინება აპელანტს ჩაბარდა 2014 წლის 22 ივლისის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარი-

ლის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

განსახილველ შემთხვევაში პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტიისთვის ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული შვიდდღიანი ვადის დენა დაიწყო 2014 წლის 23 ივლისს და ამოიწურა 2014 წლის 29 ივლისს. დადგენილია ასევე, რომ შპს „ნ-გ“-ს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით სასამართლოსთვის არ მიუმართავს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „ნ-გ“-ს წარმომადგენელმა დ. ც-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სააპელაციო სასამართლოს მიერ 2014 წლის 2 ივლისის განჩინებით დადგენილი ხარვეზი შეავსო და სრულად გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი განჩინებაში მითითებულ ვადაში, თუმცა სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვინაიდან სატელეფონო საუბარში, რომლითაც მას ეცნობა ხარვეზის დადგენის თაობაზე, არ იყო მითითება იმის შესახებ, რომ მას უნდა წარედგინა ბაჟის გადახდის ქვითარი თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ამრიგად, კერძო საჩივრის ავტორის აზრით, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ნ-გ“-ს წარმომადგენლის, დ. ც-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე დასაშვებობის სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო

აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

გასაჩივრებული განჩინებით შპს „ნ-გ“-ს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო აპელანტის მიერ ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუესებლობა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას აღნიშნული მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივლისის განჩინებით აპელანტ შპს „ნ-გ“-ს სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა 178,19 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის განჩინების ასლის გადაცემიდან 7 დღის ვადაში.

დადგენილია ასევე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწე 2014 წლის 2 ივლისს ტელეფონით დაუკავშირდა დ. ც-ს და განუმარტა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების შინაარსი. სააპელაციო სასამართლომ დ. ც-ე ხარვეზის განჩინების ჩაბარება მიიჩნია შპს „ნ-გ“-სთვის ჩაბარებად და ხარვეზის შესავსებად დაწესებული 7-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო სწორედ აღნიშნული თარიღიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მინდობილობას ორგანიზაციის სახელით გასცემს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი.

ამრიგად, სასამართლოს ევალება საჩივრის (სარჩელის) დასაშვებობის შემოწმებისას ზედმიწევნით ყურადღებით შეამოწმოს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები და საპ-

როცესო მოქმედების შესრულება დაავალოს იმ პირს, რომლის მიმართაც კანონის შესაბამისად გაცემულია მინდობილობა.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ დ. ც-ის მიმართ (რომელიც ხელს აწერს 2014 წლის 25 ივნისს წარდგენილ სააპელაციო საჩივარს) შპს „ნ-გ“-ს დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა საქმეში არ მოიპოვება. დ. ც-ი არ წარმოადგენს არც კომპანიის დირექტორს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის დროისთვის კომპანიის წარმომადგენლები იყვნენ კომპანიის დირექტორი გ. ც-ი და გ-ა ც-ი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს.

მოცემული მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივლისის განჩინება სატელეფონო შეტყობინების საშუალებით ჩაბარდა დ. ც-ს, რომელიც იმ დროისთვის არ იყო შპს „ნ-გ“-ს წარმომადგენელი, აღნიშნული ვერ ჩაითვლება აპელანტისთვის ჩაბარებად. ამავე დროს, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის განჩინება აპელანტს (შპს „ნ-გ“-ს) გაუგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე (თბილისი, კ. პ. ჩ-ი №49ა) 2014 წლის 7 ივლისს, თუმცა საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მხარისათვის აღნიშნული განჩინების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა, მხარის მიერ აღმოფხვრილია 2014 წლის 28 ივლისს. აღნიშნული დასტურდება კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ნ-გ“-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინება და საქმე შპს „ნ-გ“-ს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განცხადება საბუთის სიყალბის შესახებ**

### **განჩინება**

№ას-872-830-2013

17 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ვ. როინიშვილი,**  
**ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ა-ის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. ა-მა (გამსესხებელს) და ი. ა-ს (მსესხებელს) შორის 2009 წლის 2 აპრილს დაიდო სესხის ხელშეკრულება 3 თვის ვადით, რომლითაც გამსესხებელმა მსესხებელს გადასცა 13000 აშშ დოლარი, სარგებლის (პროცენტის) გარეშე. სესხის გადახდა უზრუნველყოფილ იქნა ქ. ქუთაისში, დ. ა-ის გამზირ №9/1-ში (სა-

კადასტრო კოდით №... ) მდებარე მსესხებლის კუთვნილი უძრავი ნივთით. მოპასუხე ი. ა-მა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დღემდე არ შეასრულა და ცდილობს, თავი აარიდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებული აქვს. 3000 აშშ დოლარის დაფარვასთან დაკავშირებით აქვს ხელწერილი, რომელსაც ხელს აწერს მოსარჩელე ა. ა-ი, ხოლო ნაწილი თანხა გადასცა მოსარჩელისათვის გადასაცემად მ. ქ-ს, რომელიც, ა. ა-მა მიუთქმევ გადაცნო. მ. ქ-ის მიერ შედგენილი ხელწერილით დასტურდება ის გარემოება, რომ მან ი. ა-ისაგან ა. ა-ისათვის გადასაცემად მიიღო 3000 ევრო და 4000 აშშ დოლარი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხე ი. ა-ს მოსარჩელე ა. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 აშშ დოლარის გადახდა. დავალიანების დაფარვის მიზნით მოხდა ი. ა-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის, მოწმეთა დაკითხვისა და მტკიცებულებათა დართვის შესახებ განჩინებები ა. ა-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. ა-ს, ა. ა-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 800 აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინებები დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ა-სა (გამსესხებლის) და ი. ა-ს (მსესხებელს) შორის 2009 წლის 2 აპრილს დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლითაც გამსესხებელმა მსესხებელს გადასცა 13000 აშშ დოლარი, სარგებლის (პროცენტის) გარეშე; მსესხებელს სესხი გამსესხებლისათვის უნდა დაებრუნებინა არა უგვიანეს 2009 წლის 2 ივლისისა. თანხა ნაღდი ანგარიშსწორებით უნდა გადაცემულიყო, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით; შესაძლებელი იყო მოწმეთა

დასწრებაც. სესხის გადახდა უზრუნველყოფილ იქნა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ნივთით (მდებარე ქ. ქუთაისში, დ. ა-ის გამზ. №9/1-ში, საკადასტრო კოდით №....). ი. ა-მა პირადად ა. ა-ს, სხვადასხვა დროს, ზემოთ მითითებული ვალდებულების შესასრულებლად, გადასცა საერთო ჯამში 3000 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელაციის საგანს შეადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2012 წლის 25 დეკემბერს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ განჩინება, ამავე სხდომაზე მიღებული განჩინება, რომლითაც გადაწყდა ნ. და გ. ა-ების მოწმედ დაკითხვა და აგრეთვე – მოპასუხე მხარის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების წინამდებარე საქმეზე დართვის საკითხები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია – მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა. ამდენად, კანონი საქმის განმხილველ მოსამართლეს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას, მისი შეხედულებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, რამდენად აუცილებელია საქმის არსებითი განხილვისათვის სათანადოდ მოზადებისათვის მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი მიღებულ იქნა 2012 წლის 2 აპრილს; საქმის მომზადების ეტაპზე გამოტანილ იქნა დაუსრულებელი გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, რომელიც საბოლოოდ გაუქმდა და საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოდან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დაუბრუნდა 2012 წლის 12 დეკემბერს, შესაბამისად, მოსამართლემ აუცილებლად მიიჩნია, დაენიშნა მოსამზადებელი სხდომა, დავის გაგრძელებისადმი მხარეთა დამოკიდებულების გარკვევისა და სხვა გარემოებების დადგენისათვის, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ნ. და გ. ა-ების საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო სხდომის დარბაზში ყოფნის გარემოება. 2012 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმიდან, აგრეთვე – 2013 წლის 14 იანვრის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ საქმის განმხილველმა მოსამართლემ, სასამართლო სხდო-

მეზის გახსნისთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოწმეებს დაატოვებინა სასამართლო სხდომის დარბაზი. ამდენად, მოწმეთა დაკითხვის კანონით დადგენილი წესი არ დარღვეულა. რაც შეეხება მ. ქ-ის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ განჩინებას, აპელანტი საერთოდ არ ასაბუთებს, ამ განჩინების გამოტანისას სამართლის რომელი ნორმა დაირღვა. ამდენად, მოწმეთა დაკითხვის თაობაზე განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებებს წარმოადგენს მხარეთა (მე-სამე პირთა) ახსნა-განმარტები, მოწმეთა ჩვენებები, ფაქტების კონსტატაციის მასალები, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები და ექსპერტთა დასკვნები. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი, სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული ჩვენებების ასლები წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომელთა მეშვეობით შეიძლება, დამტკიცდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. მოსარჩელემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ეს მასალები მოპოვებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით: მ. ს-ს-მ განაცხადა, რომ ეს მასალები მას გადასცა საქმის გამომძიებელმა გ. კ-მ, ზედამხედველი პროკურორის თანხმობით. ამ გარემოების გამაბათილებელი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია, რის გამოც ამ მასალების წინამდებარე საქმეზე მტკიცებულებათა სახით დართვის თაობაზე განჩინების გაუქმების საფუძველიც არ არსებობს. რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოქმედებას ა. ა-ის მიერ შედგენილი ხელწერილის დედნის საქმეზე დართვასთან დაკავშირებით, ეს დოკუმენტი წარმოდგენილ იქნა 2013 წლის 28 იანვრის სასამართლო სხდომაზე, მ. ს-ს-ის მიერ სასამართლოს დავალების შესაბამისად, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი უკვე იყო ასლის სახით. თვითონ მოსარჩელის წარმომადგენელმა ა. თ-მა სხდომაზე განაცხადა, რომ დოკუმენტის დედნის სახით საქმეზე დართვა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა, ვინაიდან ასლი უკვე იყო საქმეში და დედნის დართვა „ტექნიკური საკითხი იყო უბრალოდ“ (იხ: 28.01.2013წ. სხდომის ოქმი – 16:29:43, 16:30:45). აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2013 წლის 28 იანვრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელისთვის უცნობი, ახალი მტკიცებულება არ წარდგენილა და დოკუმენტის დედნის დართვით საქმეზე არ გაუარესებულა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა, რადგან მტკიცებულება საქმეში ას-



ლის სახით ისედაც იყო განთავსებული. ამდენად, დოკუმენტის დედანი სასამართლომ კოდექსის 135-ე მუხლის მოთხოვნის შესასრულებლად, დაურთო საქმეს, შესაბამისად, ხელწერილი წარმოადგენს სრულფასოვან მტკიცებულებას და იგი კანონიერად იქნა შეფასებული სხვა მტკიცებულებებთან ერთად საქმეზე გადანყვებილების გამოტანისას.

სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ მოსარჩელემ სადავო გახადა ხელწერილის ნამდვილობა და მიუთითა, რომ იგი არ იყო შედგენილი ა. ა-ის მიერ. თუმცა, მის მიერ მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა საკუთარი ახსნა-განმარტებისა, რომელიც არაა საკმარისი წერილობითი მტკიცებულების უარსაყოფად, არ წარმოუდგენია. საგულისხმოა, რომ მოწმე მ. ქ-მა, რომელიც ა. ა-თან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე და კარგად იცნობდა მას, განაცხადა, რომ ხელწერილი მთლიანად შესრულებულია ა. ა-ის ხელით. ამდენად, სააპელაციო სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს ხელწერილის, როგორც მტკიცებულების, უარყოფისათვის და მისი გაუზიარებლობისათვის.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ა. ა-მა ი. ა-ს წარუდგინა მ. ქ-ი, როგორც მეუღლე და განუცხადა, რომ ეს უკანასკნელი ა-ის სახელით ი-თან მივიდოდა ხოლმე სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადასახდელი თანხების მისაღებად. ამ შეთანხმების შესაბამისად, ი. ა-მა მ. ქ-ს, ა. ა-ისათვის გადასაცემად, გადასცა საერთო ჯამში 3000 ევრო და 4000 დოლარი.

მოსარჩელემ, მოწმეების ჩვენებების უარსაყოფად, მიუთითა, რომ გ. და ნ. ა-ები, როგორც ი. ა-ის ოჯახის წევრები, დაინტერესებული პირები არიან, ხოლო მ. ქ-ი მკურნალობს სხვადასხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. მ. ქ-თან დაკავშირებით, ასევე წარმოადგინა ამ უკანასკნელის სანოტარო წესით დამოწმებული 2013 წლის 12 აპრილის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხვისას სასამართლოს მისცა ცრუ ჩვენება, რადგან მას არავითარი ფული ი. ა-ისაგან არ წამოუღია ა. ა-ისათვის გადასაცემად; არც არასდროს მიუწვდებოდა ხელი ა. ა-ის პირად თანხებთან. ცრუ ჩვენების მიცემა კი განაპირობა იმან, რომ იმ პერიოდში ინტენსიურად მოიხმარდა ალკოჰოლურ სასმელს და მუდმივად იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ; ამასთან, შეეცოდა ა-ები, რადგან მათ უთხრეს, რომ ა-ი მათ ბინას ართმევდა. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული მოწმეები, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე,

სასამართლო სხდომაზე, დაიკითხნენ ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე თავის არიდებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილების შემდგომ. ამდენად, მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნ. და გ. ა-ები არიან დაინტერესებული პირები და ცრუობენ, არ არის საკმარისი მათი ჩვენების გასაქარწყლებლად. რაც შეეხება მ. ქ-ს, მართალია, მას გააჩნია გარკვეული ფსიქიკური პრობლემები, თუმცა, იგი არ არის აღიარებული ქმედუვნაროდ, კანონით დადგენილი წესით, ანუ, არ არის დადასტურებული, რომ მას არ შეუძლია, სწორად აღიქვას ფაქტები და გადმოსცეს ისინი ობიექტურად, სინამდვილის დამახინჯების გარეშე. სააპელაციო სასამართლო გაეცნო პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის სხდომის ოქმს, მოუსმინა მ. ქ-ის ჩვენებას და დარწმუნდა, რომ მ. ქ-ი ჩვენებას აძლევდა თავისუფლად, მსჯელობდა თანმიმდევრულად, ლოგიკურად და დასმულ შეკითხვებზე სცემდა ადეკვატურ პასუხებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ნოტარიუსმა ხ. ჯ-მა დაამონმა მხოლოდ მ. ქ-ის ხელმოწერის ნამდვილობა 2013 წლის 12 აპრილის განცხადებაზე და მას პასუხისმგებლობა არ აუღია განცხადებაში მითითებული ფაქტების სისწორეზე.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ი. ა-ის მიერ მ. ქ-ისათვის გადაცემული 3000 ევრო შეადგენდა 4200 აშშ დოლარს. ამდენად, საერთო ჯამში, მ. ქ-ისათვის ი. ა-ის მიერ გადაცემული და ა. ა-ისათვის განკუთვნილი თანხა შეადგენდა 8200 აშშ დოლარს. ამ თანხას ემატება უშუალოდ ა. ა-ისათვის ი. ა-ის მიერ გადაცემული 3000 აშშ დოლარი და საბოლოოდ – გამოდის, რომ ა. ა-ს ი. ა-ისაგან მიღებული აქვს 11200 (თერთმეტი ათას ორასი) აშშ დოლარი. ამდენად, ი. ა-ს ა. ა-ისათვის, 2009 წლის 2 აპრილის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დარჩენილი აქვს 1800 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება; ხოლო 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

იმავე კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი გადასცემს ფულს საკუთრებაში მსესხებელს, ეს უკანასკნელი კი, კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს იმავე რაოდენობის ფული, თუ მხარეები, აღნიშნული კოდექსის 625-ე მუხლის თანახმად, არ შეთანხმებულან პრო-

ცენტზე (სარგებელზე). მოცემულ შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულება მოდავე მხარეებს შორის არის სარგებლის (პროცენტის) გარეშე. ამდენად, ი. ა-ი ვალდებული იყო, 2009 წლის 2 ივლისამდე ა. ა-ისათვის დაებრუნებინა მხოლოდ სესხად აღებული თანხა – 13000 აშშ დოლარი.

საქმის განხილვის შედეგად, დამტკიცდა, რომ ა. ა-მა საკუთარი ვალდებულება შეასრულა სრულად: სესხის თანხა სრულად გადასცა ი. ა-ს; ამ უკანასკნელმა კი, საკუთარი ვალდებულება შეასრულა ნაწილობრივ, გამსესხებელს დაუბრუნა მხოლოდ 11200 აშშ დოლარი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა ვალდებულების (გადასახდელი თანხის) ოდენობასთან (1000 აშშ დოლარი) დაკავშირებით და მიიჩნია, რომ კრედიტორ ა. ა-ის წინაშე არსებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად მოვალე ი. ა-მა უნდა გადაიხადოს 1800 აშშ დოლარი.

აპელანტი მიუთითებდა, რომ ი. ა-ის მიერ მ. ქ-ე თანხის გადაცემის დამტკიცების შემთხვევაშიც აუცილებელი იყო, გამოკვლეულიყო გარემოება, გადასცა თუ არა ეს თანხა მ. ქ-მა ა. ა-ს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გარიგება შეიძლება, დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს, ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. იმავე კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დავალების ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების ვალდებულება კანონით არ არის გათვალისწინებული; ამდენად, დავალება შეიძლება, არსებობდეს ზეპირი ფორმითაც, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ა-სა და მ. ქ-ს შორის დადებული იყო დავალების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მ. ქ-ი უფლებამოსილი იყო, მარწმუნებლის სახელით ი. ა-ისაგან მიეღო შესრულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის თანახმად მოვალე ვალდებულია, შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადანიშნულებით უფლებამოსილია, მიიღოს შესრულება. თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება შესრულებულად მაშინ მიიჩნევა,

როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი. ამდენად, ი. ა-ს ვალდებულება უნდა შეესრულებინა უშუალოდ კრედიტორ ა. ა-ისათვის ან მის მიერ უფლებამოსილი პირისათვის; თუნდაც მიჩნეულიყო, რომ მ. ქ-ი არ იყო კანონით უფლებამოსილი, მიეღო შესრულება ი. ა-ისაგან, ვალდებულება მაინც ჩაითვლებოდა შესრულებულად, თუ კრედიტორი მისცემდა ამის თანხმობას ან ამ შესრულებისაგან მიიღებდა სარგებელს. მოცემულ შემთხვევაში, დამტკიცებულია, რომ მ. ქ-მა ი. ა-ისაგან შესრულება მიიღო ა ა-ის თანხმობით. შესაბამისად, ითვლება, რომ ი. ა-მა შეასრულა საკუთარი ვალდებულება და არ აქვს მნიშვნელობა იმას – შესრულებით მიიღო თუ არა სარგებელი (ანუ – თანხა გადაეცა თუ არა) უშუალოდ ა. ა-ს მ. ქ-ისაგან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეთა შეთანხმებით, სესხიდან გამომდინარე, ა. ა-ის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იპოთეკით დაიტვირთა ი. ა-ის კუთვნილი უძრავი ნივთი. ამდენად, იპოთეკარს მიენიჭა უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით, პირველ რიგში მიეღო თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით (2009 წლის 2 აპრილის ხელშეკრულების 7.1. „გ“ მუხლის თანახმად იპოთეკის საგანი ავტომატურად ვერ გახდება გამსესხებლის საკუთრება). იმავე კოდექსის 301-ე მუხლის თანახმად, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამდენად, ვინაიდან მსესხებლის მიერ სრულად არ არის დაკმაყოფილებული გამსესხებლის მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გამოყენებულია იპოთეკა, ა. ა-ის მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის შესახებ საფუძვლიანია.

სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და განჩინებები საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-მა, მოითხოვა გადაწყვეტილებისა და განჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმდენად არასრულად, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია,

კერძოდ, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებული იყო ვალდებულების შესრულების კონკრეტული პირობები და წესი (მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა), რაც მოცემულ საქმეზე არ შესრულებულა და საქმეში ასეთი მტკიცებულება არ მოიპოვება. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ა. ა-ს სხვადასხვა დროს ვალდებულების შესასრულებლად გადაეცა 3000 აშშ დოლარი. აღნიშნულს ასაბუთებს ა. ა-ის მიერ შედგენილი ხელწერილი, ი. ა-ის მიერ (როგორც დაზარალებულის) მიცემული ჩვენება, ნ. ა-ისა და გ. ა-ის მიერ მიცემული ჩვენებები. სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა აღნიშნული ჩვენებები, ვინაიდან ნ. და გ. ა-ები არიან მოპასუხის მეუღლე და შვილი და მათი ჩვენებები არასწორი და ბუნდოვანია, ასევე, გაუგებარია, რომელი სამართლებრივი ნორმა აძლევდა სასამართლოს 3000 ევროს კურსის დადგენას აშშ დოლართან მიმართებით და რომელი ნორმით გადაიანგარიშა. სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ მ. ქ-ი მოქმედებდა ა. ა-ის რწმუნებით და დავალებით, შესაბამისად, არასწორია ის გარემოება, რომ მ. ქ-მა ი. ა-ისაგან შესრულება მიიღო ა. ა-ის თანხმობით. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება რომელიც დაადასტურებდა თანხმობას. მოპასუხე აღნიშნავს, რომ მ. ქ-ს თანხა 2011 წლის ნოემბერში გადასცა, მაშინ, როდესაც იგი იჯდა ციხეში და იხდიდა სასჯელს. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არასწორად დანიშნა მოსამზადებელი სხდომა საქმის უზენაესი სასამართლოდან დაბრუნების შემდეგ. სისხლის სამართლის საქმის მასალების წარმოდგენით კი, ი. ა-ის წარმომადგენელმა დაარღვია კანონი, ვინაიდან საქმის მასალები უნდა გადაეცათ მხოლოდ მხარეებისთვის და არა დაზარალებულისათვის. ასევე სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეები ისხდნენ სასამართლოს დარბაზში და უსმენდნენ საქმის მიმდინარეობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ა-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან ერთად საკასაციო პრეტენზიების საფუძველზე განხილვის სა-

განს წარმოადგენს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ განჩინების გაუქმება; ნ. და გ. ა-ების მონმედ დაკითხვის განჩინების გაუქმება; მოპასუხის (ი. ა-ის) წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი საქართველოს შს სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს 1-ლი განყოფილების წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალების საქმეზე დართვის შესახებ განჩინების გაუქმება; 2009 წლის წერილის დედნის დართვის შესახებ განჩინების გაუქმება.

აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნისა და მტკიცებულებების განხილვისათვის მიღების პროცესუალური წინაპირობების კანონიერებაზე, კერძოდ, კასატორი საკასაციო საჩივარში ითხოვს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ განჩინების გაუქმებას.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ დაარღვია პროცესუალურსამართლებრივი ნორმა უზენაესი სასამართლოდან საქმის დაბრუნების შემდეგ მოსამზადებელი სხდომის დანიშვნით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი მიღებულ იქნა 2012 წლის 2 აპრილს; საქმის მომზადების ეტაპზე, გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, რომელიც საბოლოოდ გაუქმდა და საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოდან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დაუბრუნდა 2012 წლის 12 დეკემბერს, ე.ი – რამდენიმე თვის შემდეგ. შესაბამისად, შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, პირველ ინსტანციაში გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, სასამართლომ შესაგებლის მიღების შემდეგ უნდა დაიცვას ყველა ის პროცესუალური წესი, რაც მოსდევს შესაგებლის მიღებას, მათ შორის, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, რითაც უზრუნველყოფილია, უპირველეს ყოვლისა, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად (რომელზედაც უთითებს სააპელაციო სასამართლო) თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია – მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში და-

ნიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

ამრიგად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაცულ იქნა საპროცესო ნორმის დანაწესი და არ არსებობს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

კასატორი საკასაციო საჩივარში ითხოვს ნ. და გ. ა-ების მოწმედ დაკითხვის განჩინების გაუქმებასაც.

კასატორი აღნიშნავს, რომ ნ. და გ. ა-ები იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში, ამდენად, დაუშვებელი იყო მათი მოწმეებად დაკითხვა. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას, რომლითაც არ იქნა გაზიარებული ზემომითითებული მოსაზრება, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქმის მასალებით არ დასტურდება ნ და გ ა-ების საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო სხდომის დარბაზში ყოფნის გარემოება. 2012 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმიდან, აგრეთვე, 2013 წლის 14 იანვრის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ საქმის განმხილველმა მოსამართლემ, სასამართლო სხდომების გახსნისთანავე, კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოწმეებს სასამართლო სხდომის დარბაზი დაატოვებინა (25.12.2012წ. ოქმში – 13:11:53; 14.01.2013წ ოქმში – 12:20:43). ამდენად, მოწმეთა დაკითხვის კანონით დადგენილი წესი არ დარღვეულა“.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული გარემოებების საწინააღმდეგოს კასატორი ვერ უთითებს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ საქმეში წარმოდგენილი სასამართლო სხდომის ოქმებიდან (საოქმო ჩანაწერებიდან) არ დასტურდება ნ. და გ. ა-ების სასამართლო სხდომის დარბაზში ყოფნის ფაქტი, ასევე, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავდა მითითებული პირების მოწმეებად დაკითხვას.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. და გ. ა-ების მოწმედ დაკითხვა დაუშვებელია, რადგან ისინი მოპასუხის მეუღლე და შვილს წარმოადგენენ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვლისწინებული მოწმეთა ჩვენების ინსტიტუტი მხარის მეუღლის ან ახლო ნათესავის დაკითხვას დაუშვებლად არ ცნობს, მაგრამ კანონი ამ პირებს ანიჭებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლი), რაც მათ არ გამოუყენებიათ. მით უმეტეს ასეთი უარის შემთხვევაშიც, ეს პირები მაინც ვალდებული არიან, მისცენ ჩვენება საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლის მოთხოვნათა არსებობისას.

ამდენად, კასატორის პრეტენზია ამ ნაწილშიც უსაფუძვლოა.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა მ. ქ-ისაგან მონმის სახით ჩვენების მიღების თაობაზე განჩინების გაუქმების შესახებ.

საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული გარემოებები, რომლებიც გამორიცხავდნენ მონმედ მ. ქ-ის დაკითხვას. სააპელაციო სასამართლოშიც მოსარჩელე (კასატორი) ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ ამ დასაკითხი მონმის (მ. ქ-ის) შეფასების თავისებურებებზე (ის თუ, რამდენად სარწმუნო იქნებოდა იმ პირის ჩვენების გაზიარება), მაგრამ არ იყო წინააღმდეგი ამ სასამართლო სხდომაზე ამ პირის დაკითხვისა (25.12.2012 სხდომის ოქმი ჩანაწერი 13.21.46. და 14.01.2013 სხდომის ოქმი ჩანაწერი 12.28.36). ასევე არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება, ჯანმრთელობის გამო, მ. ქ-ის მონმედ დაკითხვის დაუშვებლობაზე. მიუხედავად ამ პირის ფსიქოსოციალური საჭიროებისა (მკურნალობს სხვადასხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, იხ: შპს „ქუთაისის ფ. ჯ. ც-ის“ მიერ 2012 წლის 14 ნოემბერს გაცემული №663 ცნობა; შპს „ა. ბ. ნ. ს. ფ. ჯ. ე. ც-ის“ მიერ 2013 წლის 9 იანვარს გაცემული №114 ცნობა), ის არ წარმოადგენს ქმედუვნაროს, (რასაც სადავოს არ ხდოდა კასატორი სასამართლოში ამ პირის მონმედ მონვევის დროს).

რაც შეეხება მ. ქ-ის წერილს, რომლითაც მან უარყო თავისი ჩვენება, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს, რადგან ამ წერილთან მიმართებით არ არსებობს საკასაციო პრეტენზია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლი).

კასატორი საკასაციო საჩივარში მოპასუხის (ი. ა-ის) წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი საქართველოს შს სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს 1-ლი განყოფილების წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალების საქმეზე დართვის შესახებ განჩინების გაუქმებასაც ითხოვს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ამ მოსაზრებას და განმარტავს, რომ სამოქალაქო საქმეში წარმოდგენილია სისხლის სამართლის მასალები დაზარალებულებისა და მონმეთა განმარტებების თაობაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულს გააჩნია იგივე უფლებები, რაც მონმეს. ამასთან ერთად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის



საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებისა და მასალების გაცნობის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისას პროკურორი/გამომძიებელი ადგენს ოქმს ამ კოდექსის 56-ე მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილით დადგენილი წესით. თუ მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრის თანავე აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ და, შესაბამისად, მიანოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.

განსახილველი ნორმა ადგენს საერთო წესს, რომლის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ამავე დროს ადგენს ამ წესიდან გამონაკლის, რომლის თანახმად, დაზარალებულმა შეიძლება, ისარგებლოს ზემომითითებული უფლებით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. მოპასუხე (მოვალე) წარმოადგენს დაზარალებულს სისხლის სამართლის საქმეში მოცემული მასალების მიხედვით, რაც აძლევს მას უფლებას, ისარგებლოს საერთო წესით მინიჭებული უფლებით. ამ წესიდან გამონაკლისზე მითითება, კონკრეტულ შემთხვევის გათვალისწინებით მიუთითებს მოსარჩელის (კრედიტორის) სასარგებლოდ, რომლის არსებობის ფაქტი მისი დასადასტურებელია, შესაბამისად, ფაქტის არარსებობის (არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს) მტკიცება არ შეიძლება, დაეკისროს მოვალეს, პირიქით, ფაქტის არსებობა (ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს) უნდა დაადასტუროს მხარემ (მოსარჩელემ), რომლის სასარგებლოდაც ის მიუთითებს.

აქედან გამომდინარე, მითითებული მასალები არ შეიძლება, მივიჩნიოთ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებად (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

კასატორი საკასაციო საჩივარში 2009 წლის ნერილის დედნის დართვის შესახებ განჩინების გაუქმებასაც ითხოვს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის პრეტენზიაზე მითითებული ხელწერილის წარდგენის პროცესულური წესის დარღვევაზე და არ იზიარებს ამ მოსაზრებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მომზადების ეტაპზე წარდგენილი იყო ამ წერილის ასლი, რაც მხარეთა შორის და-

ვას არ იწვევს. მხარის მიერ წერილობითი მტკიცებულების ას-  
ლის წარდგენის შემთხვევაში სასამართლოს არა მხოლოდ მხა-  
რის შუამდგომლობის საფუძველზე, არამედ თავისი ინიციატი-  
ვითაც შეუძლია გამოითხოვოს დედანი, კერძოდ, საქართველოს  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნა-  
წილის მე-2 წინადადების თანახმად, თუ წარდგენილია საბუთის  
ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინი-  
ციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. აქედან გა-  
მომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სადავო წე-  
რილის დედნის მიღებით არ დარღვეულა პროცესუალურსამარ-  
თლებრივი ნორმა.

მოცემულ დავაში განხილვის საგანს წარმოადგენს სასესიო  
ვალდებულების შესრულების საკითხი.

ამ შემთხვევაში ყურადსაღებია ვალდებულების შესრულე-  
ბის სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმები.

ამდენად, პასუხი უნდა გავცეთ შემდეგ კითხვებს: 1. მ. ქ-ის  
მიმართ ვალდებულების შესრულებით ა. ა-ის წინაშე ვალდებუ-  
ლება ითვლება თუ არა შესრულებულად და რამდენად დგინდე-  
ბა აღნიშნული გარემოება გასაჩივრებული გადაწყვეტილები-  
დან? 2. სასამართლომ კანონის მოთხოვნათა დაცვით დაადგინა  
თუ არა ვალდებულების შესრულების ფაქტი?

დასმულ კითხვებს უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი, რად-  
გან სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და გან-  
მარტა კანონი, ასევე არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარე-  
მოებები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
393-ე და 412-ე მუხლები).

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვალემ (ი. ა-მა)  
თავისი ვალდებულება კრედიტორისათვის (ა. ა-ისათვის) 13000  
აშშ დოლარის გადახდის თაობაზე შეასრულა მხოლოდ 11200  
აშშ დოლარის ნაწილში.

ვალდებულების შესრულების 8200 აშშ დოლარის ნაწილში  
სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს თანხა ი. ა-მა მ. ქ-ს,  
ა. ა-ისათვის გადასაცემად გადასცა. ამ ფაქტობრივი გარემოე-  
ბის დასადასტურებლად სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო  
მონშეთა ჩვენებებს, მ. ქ-ის ხელწერილსა და სისხლის სამარ-  
თლის მასალებს.

ვალდებულების შესრულების 3000 აშშ დოლარის ნაწილში  
სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს თანხა ი. ა-მა პირა-  
დად ა. ა-ს, სხვადასხვა დროს, ზემოთ მითითებული ვალდებუ-  
ლების შესასრულებლად გადასცა. ამ ფაქტობრივი გარემოების  
დასადასტურებლად სააპელაციო სასამართლო ძირითადად და-

ეყრდნო საქმეში არსებულ ხელწერილს, ასევე მოწმეთა ჩვენებებსა და სისხლის სამართლის მასალებს.

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე 8200 აშშ დოლარის ნაწილში ვალდებულების შესრულების დადგენის თაობაზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი ამავე კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლებით მოცემულ კონტექსტში, რამაც განაპირობა ნორმის არასწორი განმარტება, შესაბამისად, არასწორად დაადგინა ამ მუხლით გათვალისწინებული ფაქტობრივი შემადგენლობა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი), კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-951-989-2011 10 ნოემბერი, 2011 წელი).

განსახილველი ნორმა ითვალისწინებს არაუფლებამოსილი პირის მიერ ზოგადად ვალდებულების შესრულების მიღების წესს. მაგრამ განსახილველი ნორმის განმარტებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ კონკრეტული ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ვალდებულების შესრულების თაობაზე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სასესხო ვალდებულების შესრულების თავისებურებები, რომლებიც ვლინდება ვალდებულების შესრულების ფაქტის დადგენაში.

ამდენად, განსახილველი ნორმა უნდა განიმარტოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით მოცემული ვალდებულების შესრულების თაობაზე შეთანხმების კონტექსტში, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლებთან ერთობლიობაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ა-მა თანხმობა გამოთქვა, ვალდებულების შესრულება მიეღო მ. ქ-ს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „მოცემულ შემთხვევაში, დამტკიცებულია, რომ მ. ქ-მა ი. ა-ისაგან შესრულება მიიღო ა. ა-ის თანხმობით, შესაბამისად, მიიჩნევა, რომ ი. ა-მა შეასრულა საკუთარი ვალდებულება და არ აქვს მნიშვნელობა იმას, შესრულებით მიიღო თუ არა სარგე-

ბელი (ანუ – თანხა გადაეცა თუ არა) უშუალოდ ა. ა-ს მ. ქ-ისა-გან.“ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ა-სა და მ. ქ-ს შორის არსებობდა დავალების ხელშეკრულება.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ კრედიტორსა და მესამე პირს შორის დავალების ხელშეკრულება ამ უკანასკნელის მიერ კონკრეტული ვალდებულების შესრულების მიღებაზე წარმოადგენს კრედიტორის თანხმობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დავალების ხელშეკრულების ნამდვილობა (რომელიც არ მოითხოვს სპეციალურ ფორმას) შეიძლება, დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით. აღნიშნული მოსაზრება განპირობებულია იმით, რომ სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია მატერიალურსამართლებრივ ნორმის შინაარსზე, ამ ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობაზე. სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ დავალების ხელშეკრულების დასადებად კანონი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი) არ ითვალისწინებს სპეციალურ ფორმას ან განსაკუთრებულ წესს, ის შეიძლება დაიდოს, ასევე ზეპირადაც. მითითებული ნორმის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.

ამდენად, ამ გარემოებების დადგენისათვის მოწმის ჩვენება წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მაგრამ მ. ქ-ის ჩვენება, რაც შეიძლება საკმარისი იყოს ა. ა-თან დავალების ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად, არ არის საკმარისი სასესხო ვალდებულების შესრულების

ფაქტის დასადასტურებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულების წესი სადავო ურთიერთობის მიხედვით ეხება სასესხო ვალდებულების შესრულებას, მისი ნამდვილობა უნდა დადგინდეს სასესხო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი წესების დაცვით, შესაბამისად, თუ მივიჩნევთ, რომ ა. ა-სა (მარწმუნებელი) და მ. ქ-ს (რწმუნებული) შორის არსებობდა დავალების ხელშეკრულება, ამ შემთხვევაშიც ი. ა-ს ნაკისრი ვალდებულება (მ. ქ-ის, როგორც რწმუნებულის მეშვეობით) ა. ა-ის წინაშე უნდა შეესრულებინა მხარეთა შორის დადებული სესხის ხელშეკრულების დადგენილი წესით (ხელშეკრულების 2.1. პუნქტი). წინააღმდეგ შემთხვევაში მ. ქ-ისა და სხვა მოწმეთა ჩვენებები (თუნდაც სისხლის სამართლის საქმეზე მიცემული ჩვენებების ჩათვლით) არ შეიძლება საკმარისი იყოს სასესხო ვალდებულებების დასადასტურებლად. ხოლო, რაც ეხება მ. ქ-ის წერილს თანხმობის მიღების თაობაზე, იგი წარმოადგენს ამავე პირის მიერ მოწმის სახით მოცემული ინფორმაციის მატარებელს და, შესაბამისად, მაღალი ალბათობით ფაქტის თაობაზე ინფორმაციას არ შეიცავს.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი) მხრეები შეიძლება, შეთანხმდნენ ხელშეკრულების ფორმაზე (მათ შორის ვალდებულების შესრულების ფორმაზე და წესზე თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს). კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის 2009 წლის 2 აპრილს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებულია, რომ მსესხებელი ვალდებულია, სესხი დაუბრუნოს სამი თვის ვადაში არა უგვიანეს 2009 წლის 2 ივლისამდე. თანხის გადაცემა ნაღდი ანგარიშით, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით უნდა განხორციელდეს. შესაძლებელია მოწმეების დასწრება.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული მხარეთა შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სესხი ნაღდი ანგარიშსწორებით მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით უნდა დაბრუნებულიყო.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის ამ მოსაზრებას და დამატებით განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა მხარეთა შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მითითებული პუნქტი, რომლითაც მხარეებმა გა-

ითვალისწინეს სასესიო ვალდებულების შესრულების ფორმა და წესი. რა თქმა უნდა ამ ფორმის დაუცველობას შეიძლება, არ ჰქონდეს მნიშვნელობა, როდესაც ვალდებულების შესრულება არ იწვევს დავას ან/და ვალდებულების შესრულება ცალსახად ვლინდება ობიექტურ გარემოებებიდან. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულება მხარეთა შორის იწვევს დავას, ხელშეკრულების ამ პირობას (ვალდებულების შესრულების წესზე და ფორმაზე შეთანხმებას) შეიძლება, ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. კონკრეტულ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებას და მიუთითებს უფლებაშემწყვეტი იურიდიული ხასიათის მოქმედებაზე.

ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტობრივად წარმოადგენს შესრულების შესახებ წერილობით დოკუმენტს (მითითებულ პუნქტში „მხარეთა მიერ შედგენილი“ ხაზს უსვამს ამ აქტის წერილობით ფორმაზე). მხარეებმა თვითონ განსაზღვრეს, თუ რა ფორმით შეიძლება ვალდებულების შესრულების მიღების დადასტურება და ამ წესის შეცვლა მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. განსახილველი ნორმის თანახმად, მხარეებსაც შეუძლიათ, გაითვალისწინონ ხელშეკრულების ფორმა, როდესაც ის კანონით იმპერატიულად არ არის დადგენილი (მაგალითად, სანოტარო ფორმა). ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულება, კანონით განსაზღვრული ფორმასავალდებულო ხელშეკრულების მსგავსად, მხოლოდ მაშინ შედის ძალაში, როდესაც განსაზღვრული ფორმის მოთხოვნები იქნება შესრულებული. განსახილველი დანაწესი ეხება არა მხოლოდ ზოგადად ხელშეკრულებას, არამედ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებსაც, მათ შორის ვალდებულების შესრულების მიღების თაობაზე შეთანხმების ფორმასაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვალდებულება შესრულებულად ითვლება ამ ფორმის დაცვის შემთხვევაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი). მოვალეს უფლება აქვს, უარი თქვას შესრულებაზე კრედიტორის მიერ თავის მოვალეობათა შეუსრულებ-

ლობის გამო, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 433-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე, ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალი გაქარწყლებულია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს, უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევებში კრედიტორი ვადის გადამცილებლად ჩაითვლება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის მასალებიდან არ ვლინდება, რომ მოვალემ (მოპასუხემ) ისარგებლა მითითებული უფლებით.

ყოველი კონკრეტული ქმედება ვალდებულებითი ურთიერთობის შემწყვეტ შესრულებად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, მოვალემ კრედიტორის წინაშე ვალდებულება ზუსტად ისე შეასრულოს, როგორც ამაზე მხარეები შეთანხმდნენ და როგორი გონივრული მოლოდინიც კრედიტორს ჰქონდა, კერძოდ, სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

კანონის აღნიშნული დათქმა ეხება სესხის ხელშეკრულების ყველა ელემენტს, ყველა იმ უფლება-ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ ვალდებულების შესრულების მიღების შესახებ შეთანხმებისთვის გათვალისწინებული ფორმის დაუცველობას, შესაძლებელია, არ მოჰყვეს ფორმადუცველი გარიგებისათვის დადგენილი შედეგი, როდესაც მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებებით ფაქტობრივად იცვლება მათ მიერ განსაზღვრული წესი, მაგრამ, ამ შემთხვევაში გარკვეული თავისებურება ახასიათებს ვალდებულების შესრულების მტკიცებას.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულება (ხელშეკრულების 2.1. პუნქტი), რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები. ამ პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის არარსებობა მოითხოვს ისეთ ფაქტების დადგენას, საიდანაც გამომდინარეობს ვალდებულების შესრულების ახალ წესზე შეთანხმება, შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის არარსებობის შემთხვევაში მტკიცებულებების შეფასება (უპირველეს ყოვლისა, მტკიცებულებათა დასაშვებობა), უნდა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხ-

ლით დადგენილი წესით. ზუსტად ამ შემთხვევაში, მონმეთა ჩვენების საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად შეფასებას გააჩნია გარკვეული მნიშვნელობა, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს მატერიალური სამართალი.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სასესხო ვალდებულების თავისებურებებზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვარონულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

მოსარჩელის (გამსესხებლის) მიერ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოპასუხეს (მსესხებელს) ვალდებულება (სესხის დაბრუნება) შესრულებული არ აქვს. ამდენად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს). მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია მსესხებლის (მოპასუხეს) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) აკისრია მსესხებელს (მოპასუხეს). ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმას, რომ მოვალემ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, არამედ იმას, ეს შესრულება რამდენად ითვლება კრედიტორის მიერ მიღებულად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, იმ შემთხვევაშიც, თუ სესხის ხელშეკრულებაში მხარეები არ გაითვალისწინებდნენ ვალდებულების შესრულების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის შედგენას, სასესხო ურთიერთობების სამართლებრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ზეპირი ფორმით სასესხო ვალდებულების შესრულების ნამდვილობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მონმეთა ჩვენებები. მონმეთა ჩვენებებთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებდნენ სადავო ფაქტს (მაგალითად, უშუალოდ კრედიტორის წერილი, თუნდაც მესამე პირისადმი მიმართული, რომელშიც მითითებული ინფორმაცია ვალდებულების შესრულების თაობაზე, ან/და კრედიტორის მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ ვალდებულე-



ბის მიღებაზე და სხვა).

ამდენად, სასესხო ვალდებულებების შესრულების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) მონმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად. ეს თავისებურება განპირობებულია მატერიალურ-სამართლებრივი წესით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება, გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება, დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით.

განსახილველი დანაწესი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ითვალისწინებს როგორც ზეპირ, ასევე, წერილობით ფორმის დაცვას, რომლის არჩევა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, მაგრამ მითითებული მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, ყურადღება გამახვილებულია იმ რისკებზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ზეპირი სესხის ხელშეკრულებას, ასევე, ამ რისკებთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთის განაწილებას.

როგორც აღინიშნა, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს), ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი – მოპასუხეს (მსესხებელს). ამ ნორმაში, ზუსტად ამ მტკიცების ტვირთისა და მტკიცების საგანში შემავალი სასესხო ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტების დადასტურების თავისებურებაზეა გამახვილებული ყურადღება.

განსახილველი დანაწესი (სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მე-2 წინადადება) ზღუდავს მხარეებს არა გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში.

ამდენად, სასესხო ურთიერთობებიდან გამომდინარე, უფლება-ვალდებულებები (და არა მხოლოდ გამსესხებლის უფლება) მათ შორის, სესხის შესრულების ვალდებულება, არ შეიძლება, დადასტურდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით თუ ის ზეპირი ფორმითაა დადებული.

განსახილველი ნორმის მიზანია სასესხო ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და მართლწესრიგის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამ ნორმით მოცემული მიზნის შეზღუდვა, მხოლოდ კრედიტორის უფლების დადგენის ნაწილში არათანაბარ პირობებში ჩააყენებს სასესხო ურთიერთობის მონაწილეებს, რაც დაუშვებელია მი-

თითებული მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. ამდენად, დათქმა, რომლის თანახმად, ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება, დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, ვრცელდება, ასევე სასესხო ვალდებულების შესრულების ინსტიტუტზეც.

ამდენად, სასესხო ურთიერთობებში კანონი „არ ენდობა“ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს (ამ შემთხვევაში მოწმის ჩვენების, როგორც არაპირდაპირი (ინდიციური) მტკიცებულების შეფასება, ემპირიული წესების საფუძველზე ხორციელდება სხვა მტკიცებულებთან შეფასების გზით). აქედან გამომდინარე, კანონი მიუთითებს არა მხოლოდ გამსესხებლის უფლებაზე, არამედ „ხელშეკრულების ნამდვილობაზე“, რაც მოიცავს როგორც გამსესხებლის უფლებას, ასევე, მსესხებლის ვალდებულებას (ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე გამსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულების საგნის მსესხებელზე საკუთრებაში გადაცემის და შემდეგ მისი მიღების ფაქტის დადგენა ემორჩილება ერთსა და იმავე წესს.), შესაბამისად, მითითებული დანაწესის მიზნებიდან გამომდინარე, სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზეპირი ფორმით ვალდებულება შესრულების შემთხვევაში, მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

ამდენად, მ. ქ-ისა და სხვა მოწმეთა ჩვენებების სასესხო ვალდებულების დადასტურების დროს, აუცილებელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლთან ერთად გათვალისწინებულ იქნეს ამავე კოდექსის 624-ე მუხლი მოთხოვნები.

რაც შეეხება ვალდებულების შესრულებას 3000 აშშ დოლარის ნაწილში, მოწმეთა ჩვენებებისა და სისხლის სამართლის მასალების გარდა სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ ხელწერილს, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი ხელწერილი შესაძლებელია, შეფასდეს როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტი, მაგრამ ამ შემთხვევაში საკასაციო პალატა მოკლებულია პროცესუალურ შესაძლებლობას, იმსჯელოს ამ მტკიცებულებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (3000 აშშ დოლარის დაბრუნების ფაქტზე) კანონიერებაზე, რადგან დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის გათვალისწინებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მსჯელობის საგანს წარმოადგენს, ასევე მითითებული მტკიცებულების შეფასების კანონიერება (პროცესუალურსამართლებრივი დარღვევა), კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ი. ა-მა პირადად ა. ა-ს, სხვადასხვა დროს,

ზემოთ მითითებული ვალდებულების შესასრულებლად, საერთო ჯამში 3000 (სამი ათასი) აშშ დოლარი გადასცა.

მითითებული ფაქტობრივი გარემოება სააპელაციო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებებთან ერთად დაადგინა საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის საფუძველზე. გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „მოსარჩელემ სადავო გახადა ხელწერილის ნამდვილობა და მიუთითა, რომ იგი არ იყო შედგენილი ა. ა-ის მიერ, თუმცა – მის მიერ მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა საკუთარი ახსნა-განმარტებისა, რომელიც არაა საკმარისი წერილობითი მტკიცებულების უარსაყოფად, არ წარმოუდგენია“.

კასატორი ასაჩივრებს მითითებული ხელწერილის შეფასების კანონიერებას (ამ მტკიცებულების მიღების კანონიერების თაობაზე იხ. ზემოთ). საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ ხელწერილზე კასატორის ხელმოწერა არაა და დაუდასტურებელია მითითებული მტკიცებულება.

ამასთან მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული მტკიცებულების შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გადაანალიზა მტკიცების ტვირთი და მოპასუხის (მოვალის) სამტკიცებელი ტვირთი დააკისრა მოსარჩელეს (კრედიტორს).

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ყურადსაღებია არა მარტო მატერიალურსამართლებრივი ნორმით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი) გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტი (იხ. ზემოთ), არამედ მითითებული ნორმით გათვალისწინებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულების ნამდვილობასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთის პროცესუალურ-სამართლებრივი სტანდარტი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლი), კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთი მას შეუძლია განაცხადოს აგრეთვე საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროსაც, თუ ეს საბუთი წარდგენილ იქნა ამ სასამართლო სხდომაზე ან ადრე წარდგენილი საბუთის სიყალბე მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო სხდომაზე.

განსახილველი ნორმა მიუთითებს იმაზე, რომ პირს, ვის წინააღმდეგაც წარმოდგენილია საბუთი, შეუძლია, უარყოს იგი მის სიყალბეზე მითითებით, მარტივი შესაგებლით. ამ შემთხვევაში

ამ უკანასკნელს არ ეკისრება ამ უარყოფის დადასტურება. პირიქით, იმ პირს, ვის სასარგებლოდაც მიუთითებს (ვინც წარმოადგინა) ეს მტკიცებულება, მას ეკისრება მისი ნამდვილობის დადასტურება, თუ მის მოწინააღმდეგე მხარემ ამ საბუთის ნამდვილობა გახადა სადავოდ.

აღნიშნული თავისებურება უფრო მკვეთრად ვლინდება განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად, მტკიცებულების წარმდგენ მხარეს შეუძლია, სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებებიდან სადავო საბუთის ამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ასეთი თხოვნის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, წარდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შეიძლება, სასამართლოს ინიციატივით.

ამდენად, თუ მხარე მიუთითებს საბუთის სიყალბეზე (რისთვისაც კანონი არ ითხოვს ამის დადასტურებას), ამ შემთხვევაში საბუთის წარმდგენ მხარეს შეუძლია, სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებებიდან სადავო საბუთის ამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი არ მოითხოვს ამ საბუთის ამორიცხვას (შესაბამისად, არც ადასტურებს მის ნამდვილობას), სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები.

ამდენად, განსახილველი ნორმების თანახმად, მხარე, რომელიც უთითებს მის სასარგებლო ფაქტზე, მანვე უნდა დაამტკიცოს ეს ფაქტი შესაბამისი მტკიცებულებებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლები, ასევე ზემომითითებული ანალიზის გათვალისწინებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 429-ე და 433-ე მუხლები), შესაბამისად, მასვე ეკისრება ამ მტკიცებულებების ნამდვილობის დადასტურებაც (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლი).

ზემომითითებული განმარტებების მიხედვით, სასესხო ურთიერთობებში მოვალემ უნდა დაადასტუროს ვალდებულების შესრულების სადავო ფაქტები შესაბამისი მტკიცებულებებით,

ასევე ამ მტიცებულებების ნამდვილობაც.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გადაანაწილა წარმოდგენილი საბუთის ნამდვილობასთან დაკავშირებული მტიციებით ტვირთი, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მოთხოვნები, რამაც გამოიწვია არასწორი გადანყვეტილების გამოტანა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს მითითებული მტიციებულებები და გამოიკვლიოს, მხარეებმა თავიანთი მოქმედებებით რამდენად შეცვალეს ხელშეკრულების 2.1. პუნქტით მოცემული პირობა.

სასესხო ვალდებულების მიღება-ჩაბარების აქტის არარსებობის პირობებში, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მოწმეთა ჩვენებებს, სისხლის სამართლის მასალებით გათვალისწინებულ ჩვენებებს, როგორც წერილობით მტიციებულებებსა და საქმეში არსებულ სხვა მტიციებულებებს შორის. დასტურდება თუ არა ა. ა-ის განმარტებების (სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს ინფორმაცია უშუალოდ ა. ა-ისგან) გათვალისწინებით საქმეში არსებულ მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში არსებული სხვა მტიციებულებებთან ერთობლივი შეფასებით ვალდებულების შესრულების ფაქტი. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, დადგინდეს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების, არამედ ამ ვალდებულების მიღების ფაქტიც. იმ შემთხვევაში თუ საქმეში არსებული მტიციებულებებით არ დგინდება ვალდებულების შესრულების და მიღებასთან დაკავშირებული მოქმედებები (ხელშეკრულების 2.1. პუნქტის შეცვლის წესი, რაც ორივე მხარის მოქმედებით უნდა დასტურდებოდეს), მაშინ ვალდებულების შესრულების თაობაზე 8200 აშშ დოლარის ნაწილში მიღება-ჩაბარების აქტის არარსებობის პირობებში ვალდებულება შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

რაც შეეხება ვალდებულების შესრულებას 3000 აშშ დოლარის ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა და დაადგინოს საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის ნამდვილობა, რაც საქმეში ასრებული სხვა მტიციებულებებთან ერთობლიობაში შეფასების შედეგად შეიძლება, გახდეს სასესხო ვალდებულების შესრულების დადგენის საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასა-

ციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ა-ის საკასაციო სარჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი**

### **განჩინება**

№ას-1037-991-2013

9 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ქონების ყადაღისგან გათავისუფლება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 6 ივნისის გადანყვეტილებით შპს „ტ. კ. ტ-ის“ სარჩელი მოპასუხეების – შპს „დ. ი-სა“ და შპს „ქ. მ. ქ-ის“ მიმართ, რომლითაც მოსარჩელემ მოითხოვა ქონების ყადაღისგან გათავისუფლება, არ დაკმაყო-

ფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაა-  
საჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გა-  
დაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილე-  
ბის მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 19 სექტემ-  
ბრის განჩინებით შპს „ტ. კ. ტ-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა  
განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს ზემომითითებული განჩინება შპს  
„ტ. კ. ტ-ის“ წარმომადგენელმა ვ. ე-ამ გაასაჩივრა კერძო საჩივ-  
რით.

კერძო საჩივრის საფუძვლები:

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომას, რომელიც და-  
ნიშნული იყო 2013 წლის 19 სექტემბრის 12.30 საათზე, უნდა  
დასწრებოდა შპს „ტ. კ. ტ-ის“ წარმომადგენელი ვ. ე-ა. აღნიშნუ-  
ლი შპს-ს დირექტორის 2013 წლის 18 სექტემბრის ბრძანებით  
მას გაუფორმდა მივლინება და 2013 წლის 19 სექტემბერს დი-  
ლის საათებში კომპანიის კუთვნილი ავტოტრანსპორტით უნდა  
მომხდარიყო თბილისიდან ქუთაისში მისი გამგზავრების უზრუნ-  
ველყოფა. მითითებულ დღეს, დილით, წარმომადგენლის ჯან-  
მრთელობის მდგომარეობა მოულოდნელად გაუარესდა და სა-  
ჭირო გახდა სასწრაფოდ მისი საავადმყოფოში გადაყვანა. მან  
იქვე მყოფ ავტომანქანის მძღოლს სთხოვა ხსენებული ფაქტის  
ტელეფონით სასამართლოსათვის შეტყობინება, თუმცა ამ უკა-  
ნასკნელმა მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირება ვერ  
შეძლო;

აქელანტ ორგანიზაციას ემსახურება ერთი იურისტი, ხოლო  
შექმნილი ვითარების გამო, ვერ მოხერხდა დროის მოკლე პე-  
რიოდში ახალი წარმომადგენლის გამოყოფა;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ტ. კ. ტ-ის“ სასა-  
მართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპა-  
ტიო მიზეზით, რომლის წინასწარ შეტყობინება ფაქტობრივი  
მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერ-  
ძო საჩივრის საფუძვლების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ  
შპს „ტ. კ. ტ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემ-  
დეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილ-  
ველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამარ-

თლოს 2013 წლის 19 სექტემბრის სხდომაზე აპელანტის გამო-  
უცხადებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღ-  
მძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე,  
მონინალმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გა-  
მოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივ-  
რის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემ-  
თხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმე-  
ბი პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადა-  
წყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კო-  
დექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი ნინადადების მი-  
ხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვე-  
ტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარ-  
ჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის  
275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასა-  
მართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, გა-  
ნუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომა-  
ზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანხმაა,  
სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული.

ზემოაღნიშნულ ნორმათა მიხედვით, სააპელაციო სასამარ-  
თლოში საქმის ზეპირი განხილვისას აპელანტის გამოუცხადებ-  
ლობის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსი-  
ლია განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ მო-  
ნინალმდეგე მხარე ამის წინააღმდეგი არ არის და, თუ აპელან-  
ტი კანონით დადგენილი წესით მოწვეული იყო საქმის განხილ-  
ვაში და არ გამოცხადდა არასაპატიო მიზეზით.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივ-  
რებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ  
აპელანტის წარმომადგენელი სხდომის დღეს გახდა ავად, ამი-  
ტომ ვერ შეძლო სასამართლოში გამოცხადება. კერძო საჩივ-  
რის ავტორის მითითებით, აღნიშნულ დღეს – 2013 წლის 19 სექ-  
ტემბერს, დილის საათებში, უნდა მომხდარიყო კომპანიის კუთ-  
ვნილი ავტოტრანსპორტით ვ. ე-ას თბილისიდან ქუთაისში გამ-  
გზავრების უზრუნველყოფა, თუმცა მოულოდნელად წარმო-  
მადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და სა-  
ჭირო გახდა სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანა. შექმნილ  
ვითარებაში, წარმომადგენელმა ვერ შეძლო პროცესზე გამოც-  
ხადების შეუძლებლობის თაობაზე სასამართლოს ინფორმირე-  
ბა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო



სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გადასინჯვა და საქმის განახლება უნდა მოხდეს იმ ნესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონკვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონკვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავად-

მყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გაცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივარს თან ერთვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც, პაციენტ ვ.ე-ას 2013 წლის 19 სექტემბერს დაუდგინდა საშვილოსნოდან დისფუნქციური სისხლდენის დიაგნოზი, რის გამოც იგი მუშაობას მხოლოდ 20 სექტემბრიდან შეძლებდა. აღნიშნული ცნობის შინაარსი იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ განმცხადებელს გააჩნდა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ამასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებიდან სასამართლო სხდომამდე არსებული დროის მონაკვეთის სიმცირის პირობებში, ასევე გასაზიარებელია კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობა იმ ნაწილში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ შექმნილ ვითარებაში წარმომადგენელმა ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ სასამართლოს ინფორმირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი. შესაბამისად, მითითებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ტ. კ. ტ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი

## განჩინება

№ას-846-810-2014

1 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს. ბ-მა“ ახალქალაქის რაიონული სასამართლოში ვ. პ-ისა და თ. ქ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხეთათვის 9165,21 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ვ. პ-სა და თ. ქ-ს დაეკისრა 9165,21 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის განჩინებით სასამართლოს სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, ვ. პ-ისა და თ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტების წარმომადგენელმა ე. პ-მ სხდომის სხვა დროისათვის გადადება მოითხოვა, ვინაიდან, განცხადების თანახმად, იმავე დროს დანიშნული იყო სასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში. აპელანტების წარმომადგენელს უწყება 2014 წლის 15 მაისს გაეგზავნა და 16 მაისს ჩაბარდა. შუამდგომლობაზე დართული თბილისის საქალაქო სასამართლოს უწყებით დასტურდება, რომ ეს უწყება ე. პ-ს 2014 წლის 18 ივნისს გაეგზავნა. ამ გარემოების გათვალისწინებით, აპელანტს საკმარისი დრო გააჩნდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის მიემართა და ეცნობებინა სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომის შესახებ, შესაბამისად, მხარის გამოუცხადებლობა საპატიო არ არის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ვ. პ-ისა და თ. ქ-ის წარმომადგენელმა ე. პ-მ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, თავად სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დას-

ტურდება, რომ იმავე დროს სხვა სასამართლოში სხდომის ჩანიშვნა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზია და საქმის განხილვის გადადების საფუძველი შეიძლება გახდეს, ვინაიდან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეს საქმარისი დრო ჰქონდა იმისათვის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის მიემართა და სააპელაციო სასამართლოში ჩანიშნული სხდომის თაობაზე ეცნობებინა. თუ ეს მიზეზი საპატიოა საქალაქო სასამართლოსათვის, სააპელაციო ინსტანციისათვის განსახვავებული წესები არ მოქმედებს. გარდა ამისა, განცხადებაში მითითებული იყო, რომ საქალაქო სასამართლოში განსახილველ საქმეზე მხარეებს შორის ურთიერთობა გამწვავებული იყო და დამცავი ორდერის აღებაც კი გახდა საჭირო მისი მარწმუნებლის დასაცავად, რის გამოც, საქალაქო სასამართლო საქმეს დაჩქარებულად იხილავდა. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ სხდომაზე არც ვ. პ-ე და თ. ქ-ე გამოცხადდნენ, ვ. პ-ე სოციალურად დაუცველი პირია, მარტოხელა მამა ოთხი შვილით და ახალქალაქიდან სხდომაზე ვერ ჩამოვიდა, გარდა ამისა, ის დამოუკიდებლად საკუთარი ინტერესების დაცვას ვერ შეძლებდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ვ. პ-ისა და თ. ქ-ის წარმომადგენელ ე. პ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის განჩინებით სასამართლოს სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, ვ. პ-ისა და თ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გა-

მოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის, მართალია, მოცემული მუხლი ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, მაგრამ, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება განპირობებული იყო მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობით, საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნული მუხლით უნდა იხელმძღვანელოს.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის, რომ სასამართლო სხდომის თაობაზე კანონით დადგენილი წესით იყო გაფრთხილებული. იგი მიუთითებს, რომ სხდომაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანქნებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონში პირაპირ მითითებულის გარდა, ნებისმიერი სხვა საფუძველი ინდივიდუალურად, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს და ისე გადაწყდეს, არსებობს თუ არა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. მხარის მიერ მითითებული გარემოებები უტყუარად უნდა ადასტურებდეს სხდომაზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობას და შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა იყოს გამყარებული.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტების წარმომადგენელმა სასამართლოს განცხადებით მიმართა, სხდომის სხვა დროისათვის გადადება მოითხოვა და მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში იმავე დროს სხვა პროცესი იყო ჩანიშნული, სადაც მოსარჩელე ნ. ქ-ის ინტერესებს იცავდა (მოპასუხე ბ. დ-ე, დავის საგანი განქორწინება, ალიმენტის დაკისრება, უძრავი ქონების გაყოფა). მხარებს შორის ურთიერთობა იმდენად გამწვავებული იყო, რომ მოსარჩელისათვის დამცავი ორდერის აღებაც კი გახდა საჭირო, მეუღლის აგრესიისაგან დასაცავად,

რის გამოც, სასამართლო საქმეს დაჩქარებულად იხილავდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განცხადებაში მითითებული გარემოებები უნდა შეეფასებინა და არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ იმ ფაქტის დადგენით, განმცხადებელს პირველად რომელი სხდომის შესახებ ეცნობა. ჩვეულებრივ პირობებში, ცხადია, ლოგიკურია, რომ მხარემ იმ სასამართლოს მიმართოს სხდომის გადადების შესახებ, სადაც საქმის განხილვა უფრო გვიან დაინიშნა, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში, აპელანტების წარმომადგენელი ასაბუთებდა, რატომ იყო არამიზანშეწონილი სხდომის გადადება თბილისის საქალაქო სასამართლოში, რაც სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო. საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ მოცემულ საქმეზე აპელანტების წარმომადგენელმა სხდომის გადადება პირველად მოითხოვა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, ევარაუდა, რომ მხარე საქმის განხილვის გაჭიანურებას ცდილობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. პ-ისა და თ. ქ-ის წარმომადგენელ ე. პ-ის კერძო საჩივარი საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. პ-ისა და თ. ქ-ის წარმომადგენელ ე. პ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საუწყებლო

## განჩინება

№ას-317-299-2014

27 მაისი, 2014 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

არასრულწლოვანი თ. ა-ის კანონიერმა წარმომადგენელმა გ. ა-ემ სასამართლოს არასრულწლოვანი გ. ა-სა და მისი მშობლების – თ. და ი. ა-ის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა. მოსარჩელემ მოითხოვა დანაშაულით მიყენებული ზიანის – 10 000 ლარის ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 23 მაისს მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც არასრულწლოვანი თ. ა-ის კანონიერ წარმომადგენელ გ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება მოპასუხემ კანონით დაგდენილ ვადაში გაასაჩივრა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ივნისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა, რაც მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 სექტემბრის განჩინებით გ. ა-ის კანონიერ წარმომადგენელ ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ივნისის განჩინება და საქმე გ. ა-ის კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის დასაშვებობის შემონწმმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 3 დეკემბრის განჩინებით გ. ა-ის კანონიერი წარმომადგენლების – თ. და ი. ა-ის საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

იმავე სასამართლოს 17 დეკემბრის განჩინებით მოპასუხე გ. ა-ის კანონიერი წარმომადგენლების საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება გა-ნახლდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ა-ის კანონიერი წარმომადგენლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. ა-სა და მის კანონიერ წარმომადგენლებს – თ. და ი. ა-ს მოსარჩელის სასარგებლოდ 7000 ლარის გადახდა დაეკისრათ. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 თებერვლის განჩინებით აპელანტ თ. ა-ეს დაევალა ხარვეზის შევსების მიზნით წარმოედგინა სააპელაციო საჩივარი, სადაც მითითებული იქნებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ უსწორობებზე.

იმავე სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის განჩინებით თ. ა-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თ. ა-ე ასაჩივრებს არა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებას, არამედ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იმ განჩინებას, რომლითაც გაუქმდა 2013 წლის 23 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება თ. ა-ის კანონიერმა წარმომადგენელმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, იგი ასაჩივრებდა როგორც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, ისე განჩინებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას კი წარმოადგენდა მითითება იმის შესახებ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკნონიდ გაუქმდა და საქალაქო სასამართლომ არ შეასრულა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 სექტემბრის განჩინების მითითება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ თ. ა-ის კანონიერ წარმომადგენელ გ. ა-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: არასრულწლოვან თ. ა-ის კანონიერმა წარმომადგენელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 დეკემბრის (გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში არასწორადაა მითითებული 19 ნოემბერი, დაშვებულია უსწორობა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი 25 დეკემბერს გამოცხადდა) გადაწყვეტილება, ასევე იმავე სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. აპელანტის მოსაზრებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, ასევე საქალაქო სასამართლომ ისე იმსჯელა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 სექტემბრის განჩინების მითითება არ შეასრულა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტი ასაჩივრებდა მხოლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განჩინებას, რომელიც არ საჩივრდება და სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა, შესაბამისად, მართალია, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე განჩინება ცალკე არ საჩივრდება, მაგრამ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებით სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობა დაარღვია, განჩინების გასაჩივრება შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად შეუძლია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ამდენად, როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო საჩივრის საფუძველი, გარდა გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დაუსაბუთებლობისა, შეიძლება იყოს მითითება საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე, რომელიც დაშვებულია შესაბამის ინსტანციაში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამომწურავად ჩამოთვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და მისი გაუქმების საფუძვლებს. ისეთ პირობებში, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება ამგვარი საფუძვლის გარეშე ხდება, ირღვევა საპროცესო კანონმდებლობა, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების უკანონოდ გაუქმების შემდეგ საქმის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის შედეგადაა მიღებული და შესაძლებელია, გაუქმდეს, მიუხედავად იმისა, სწორია თუ არა მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება (იხ. მაგ. სუსგ №ას-380-353-2010).

განსახილველ შემთხვევაში, თ. ა-ის კანონიერი წარმომადგენელი ასაჩივრებდა განჩინებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას. მისი მოსაზრებით, სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკანონოდ გააუქმა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი არ იყო და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მითითებული იყო საპროცესო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ა-ის კანონიერ წარმომადგენელ გ. ა-ის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ა-ის კანონიერ წარმომადგენელ გ. ა-ის კერძო საჩივარი

დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინება და საქმე თ. ა-ის სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

№ას-925-883-2013

24 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

თ. თოდრია,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ლ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ა-ის მიმართ სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით გ. ლ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2001 წლის 24 დეკემბერის ანდერძისმიერი სამკვიდრო მონუმობა, რომლის თანახმად ლ. ა-ის მიერ 1998 წლის 22 აპრილის ანდერძი შედგენილ იქნა ი. ა-ის სასარგებლოდ, რაც მოპასუხე ი. ა-ემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გ. ლ-ას სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო 2013 წლის 28 მაისს. საქმეზე გამოცხადდა გა-

დანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რასაც ესწრებოდა მოპასუხე მხარის წარმომადგენელი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ჩაიბარა 2013 წლის 17 ივნისს.

ი. ა-ემ სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2013 წლის 15 ივლისს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა იწყებოდა 2013 წლის 28 მაისიდან (გადაწყვეტილების გამოცხადებიდან) ოცდამეათე დღეს, ანუ 2013 წლის 27 ივნისიდან. შესაბამისად, გასაჩივრების ბოლო ვადა წარმოადგენდა 2013 წლის 11 ივლისი, მოსარჩელე მხარემ კი სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2013 წლის 15 ივლისს, ანუ გასაჩივრების ვადის დარღვევით.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარემ სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2013 წლის 15 ივლისს, ანუ გასაჩივრების ვადის დარღვევით, ამდენად, ამავე კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ი. ა-ემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი არასწორად დატოვა განუხილველად.

2013 წლის 17 ივნისს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველმა მხარემ მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ჩასაბარებლად, თუმცა დასაბუთებული გადაწყვეტილება მზად არ იყო. ამავე მიზნით მხარემ სასამართლოს მიმართა გადაწყვეტილების გამოტანიდან 30-ე დღესაც, თუმცა უშედეგოდ.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება მომზადდა და მხარეებს ჩაბარდა მხოლოდ 2013 წლის 2 ივლისს.

პალატამ არასწორად ჩათვალა, რომ მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა გადაწყვეტილება ჩაიბარა 2013 წლის 17 ივნისს, რადგან აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის.

ამდენად, 2013 წლის 15 ივლისს სააპელაციო საჩივრის შეტანისას აპელანტს კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან მისი ათვლა დაიწყო 2013 წლის 2 ივლისიდან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებს შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ა-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 259<sup>1</sup>-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი ჩაიბარა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მე-20 დღეს, კერძოდ, 2013 წლის 17 ივნისს, სააპელაციო საჩივარი კი შეიტანა 2013 წლის 15 ივლისს, რა დროსაც კანონით დადგენილი ვადა გაუშვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლისას სააპელაციო პალატას საქმის მასალები სრულყოფილად არ გამოუკვლევია და საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე ყურადღება არ გაუმახვილებია.

სააპელაციო საჩივრის შეტანის პირობებს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა ინ-

ყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70–78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო. ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით კი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ მხარისათვის, რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, კანონმდებელი განსაზღვრავს ვალდებულებას, რათა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი.

მოცემულ შემთხვევაში ი. ა-ის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი ცნობილი იყო.

ამდენად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების ასლის მისაღებად მოპასუხე ვალდებული იყო, სასამართლოსათვის მიემართა არა უადრეს 2013 წლის 17 და არა უგვიანეს 27 ივნისისა.

საქმის მასალებში წარმოდგენილი განცხადებებით დასტურდება, რომ 2013 წლის 17 და 24 ივნისს ი. ა-ემ წერილობით მიმართა სასამართლოს სადავო გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით, თუმცა, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება (როგორცაა სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი შესაბამისი აქტი, მხარის ხელწერილი), რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ამ დროისათვის მზად იყო დასაბუთებული გადაწყვეტილება და იგი ჩაიბარა მხარემ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო

სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ა-ემ თავისი მოვალეობა შეასრულა და კანონით დადგენილ ვადაში ორჯერ მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების მოთხოვნით. ამასთან, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ მხარეს გადაწყვეტილება მისივე ბრალით არ გადასცემია, ივარაუდება, რომ სასამართლოს მზად არ ჰქონდა დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ამდენად, სრულიად დასაბუთებულია კერძო საჩივრის არ-გუმენტი, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს ი. ა-ის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 2013 წლის 2 ივლისს ჩაბარების მომენტიდან. ასეთ შემთხვევაში, მითითებული ვადის დენა დაიწყოს 2013 წლის 3 ივლისს და ამოიწურა 16 ივლისს, რაც უდავოდ აქარწყლებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას გასაჩივრების ვადის დარღვევასთან დაკავშირებით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი. ა-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ივლისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

## განჩინება

№ას-770-731-2013

18 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე  
თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. რ. და გ. კ. ნ.ვ-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს  
„ბ ჯ-ას“, შპს „მ-ა“ და შპს „ბ-ი-ის“ მიმართ ხელშეკრულებიდან  
გასვლის საფუძველზე თანხის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი ნაწი-  
ლობრივ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 მაისის გა-  
დანწყვეტილებით შპს რ. და გ. კ. ნ.ვ.-ს სასარჩელო მოთხოვნები  
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს „ბ ჯ-ას“ შპს „რ. და გ. კ. ნ.ვ.-ს“  
სასარგებლოდ 1 300 000 აშშ დოლარი დაეკისრა. შპს „რ. და გ. კ.  
ნ.ვ.-ს“ სასარჩელო მოთხოვნები შპს „მ-ის“ და შპს „ბ ი-ის“ მი-  
მართ თანხის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშ-  
ნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბ-  
ჯ-ამ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის  
განჩინებით შპს „ბ-ჯ-ას“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუ-  
ხილველად. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობ-  
რივი გარემოებები: საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით დას-  
ტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტის  
წარმომადგენელს ნ. ქ-ეს 2013 წლის 7 მაისს ჩაჰბარდა. შესაბა-  
მისად გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 14  
დღიანი ვადის ათვლა 2013 წლის 8 მაისიდან დაიწყო და ამავე  
წლის 21 მაისს ამოიწურა. საქმეში წარმოდგენილია ნ. ქ-ს გან-  
ცხადება, საიდანაც ირკვევა, რომ ამ უკანასკნელმა შპს „ბ-ჯ-  
ას“ სახელით 2013 წლის 19 ივნისს ფოსტის მეშვეობით მიმართა  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს. აღნიშნული სააპელაციო  
საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში 2013 წლის 20 ივ-



ნისს იქნა წარდგენილი. პალატამ მიიჩნია, რომ შპს „ბ-ჯ-ამ“ სააპელაციო საჩივარი 14 დღიანი ვადის დარღვევით წარადგინა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს ბ-ჯ-ამ“ შემდეგი დასაბუთებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება კერძო საჩივრის ავტორმა ამავე წლის 7 ივნისს ჩაიბარა. ზემოდასახელებული გადაწყვეტილების ჩაბარების ხელნერილზე დასმული თარიღი 7 მაისი ტექნიკური ხასიათის შეცდომაა და სააპელაციო საჩივარი წარდგენილია კანონით დადგენილ ვადაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ბ-ჯ-ას“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2013 წლის 3 ივლისის განჩინებით შპს „ბ-ჯ-ას“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში წარუდგენლობის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ზემოდასახელებული გადაწყვეტილების ჩაბარების ხელნერილზე დასმული თარიღი 7 მაისი ტექნიკური ხასიათის შეცდომაა და სააპელაციო საჩივარი წარდგენილია კანონით დადგენილ ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70–78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ეს-

წრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

საკაცაციო სასამართლო ზემოდასახელებული მუხლების ურთიერთჯერების საფუძველზე მიუთითებს შემდეგს: იმისათვის, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, უნდა იკვეთებოდეს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შემდეგი გარემოებები: გადაწყვეტილების გასაჩივრებას უნდა ესწრებოდეს გასაჩივრების უფლების მქონე პირი ან ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი უნდა იყოს გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი. ამასთან, 259<sup>1</sup> მუხლი იმპერატიული ნორმაა. იგი ცალსახად და იმპერატიულად ადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს და ნორმის სხვაგვარი განმარტების საშუალებას არ იძლევა.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 მაისის სხდომის ოქმით ირკვევა, რომ სასამართლო პროცესს ესწრებოდა შპს „ბ-ჯ-ას“ წარმომადგენელი ნ. ჭ-ე. ამასთან, ირკვევა, რომ მხარე კანონით დადგენილ ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით სასამართლოში არ გამოცხადებულა, შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო მისი გამოცხადებიდან 30-ე დღეს, 2013 წლის 6 ივნისს და ამავე წლის 19 ივნისს ამოიწურა.

განსახილველ შემთხვევაში, სადავოა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება შპს „ბ-ჯ-ას“ წარმომადგენელმა 2013 წლის 7 მაისს, თუ ამავე წლის 7 ივნისს ჩაიბარა.

საკაცაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას სააპელაციო საჩივრის დროულად წარდგენასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 მაისის სხდომის ოქმით დგინ-

დება, რომ სხდომაზე გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. საქმეში მოცემული ჩაბარების ხელწერილით დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება შპს ბ-ჯ-ას“ წარმომადგენელს 2013 წლის 7 მაისს ჩაჰბარდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. ამდენად, საქმის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებაა, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე ზუსტად და უტყუარად გამოარკვიოს მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტი. აღნიშნული ფაქტის უტყუარად დადგენა მნიშვნელოვანია, რადგან სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით მხარეს ერთმევა უფლება, სასამართლო წესით დაიცვას თავისი ინტერესი. უფლების სასამართლო წესით დაცვა კი, უზრუნველყოფილია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით და მის ერთ-ერთ ძირითად, ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

ცხადია, 2013 წლის 7 მაისის დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს იმავე დღეს ვერ ჩაჰბარდებოდა, ამასთან, აღნიშნულს გამორიცხავს სხდომის ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა, შესაბამისად, გადაწყვეტილების ჩაბარების ხელწერილში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეს 2013 წლის 7 ივნისს ჩაჰბარდა. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის თანახმად 2013 წლის 6 ივნისს (გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღე) უნდა დაინდოს, რომელიც ამავე წლის 19 ივნისს იწურება, შპს „ბ ჯ-ას“ წარმომადგენელმა კი, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 2013 წლის 7 ივნისს ჩაიბარა, მიუხედავად ამისა, სააპელაციო საჩივარი ფოსტის მეშვეობით წარდგენილია კანონით დადგენილ ვადაში – 2013 წლის 19 ივნისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხ-

ლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. კანონის დასახელებული ნორმებიდან ასევე გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულების ვადებიც კანონმდებელმა დაანესა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლო გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან, შპს „ბ ჯ-ამ“ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში წარადგინა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა განუხილველად წარდგენილი სააპელაციო საჩივარი, რის გამოც, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

შპს „ბ ჯ-ას“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

## განჩინება

№ას-971-929-2013

24 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრედ ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

შ. ლ-ემ და კ. გ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. შ-ის მიმართ მოპასუხისათვის 6825 ლარის 10%-ის გადახდის სანაცვლოდ, ქ.ქარელში, ც-ის ქ. №10-ში მდებარე ბინის კ. გ-ის სახელზე აღრიცხვის, ხოლო 19110 ლარის 10%-ის გადახდის სანაცვლოდ, იმავე მისამართზე არსებული ბინის შ. ლ-ის გადაცემის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათის თანახმად, ხაშურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება შ. ლ-სა და კ. გ-ს ჩაბარდათ პირადად 2013 წლის 12 ივლისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 73-ე მუხლის მერვე ნაწილის თანახმად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტებს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაბარდათ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით 2013 წლის 12 ივლისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილისა და 61-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამარ-

თლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 13 ივლისიდან და ამოიწურა 2013 წლის 26 ივლისს. საქმის მასალებით, კერძოდ, საფოსტო ბეჭდით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტაში შეტანილ იქნა 2013 წლის 27 ივლისს.

ყოველივე ზამოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შ. ლ-ემ და კ. გ-მა შეიტანეს კერძო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად ჩათვალა, რომ აპელანტებმა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დაარღვიეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდათ 2013 წლის 12 ივლისს, შესაბამისად, მისი გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 13 ივლისიდან და ამოიწურა 2013 წლის 26 ივლისს.

№0110008536739 შეკვეთილი წერილი, რომლის ნომერი გასაჩივრებული გადაწყვეტილების კონვერტზეა მითითებული, თბილისის №14 საფოსტო სერვის ცენტრში შეტანილ იქნა 2013 წლის 26 ივლისს. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს საქართველოს ფოსტის მიერ 2013 წლის 16 სექტემბერს გაცემული №15/6/2-5649 ცნობა, რომ №0110008536739 შეკვეთილი წერილი №14 საფოსტო ცენტრიდან გაიგზავნა 2013 წლის 26 ივლისს.

ამდენად, აპელანტებმა სააპელაციო საჩივარი შეიტანეს კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დაცვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ლ-სა და კ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ შ. ლ-სა და კ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის მოტივით.

სასამართლომ მიუთითა, რომ, საქმეში წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათის თანახმად, ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების ასლი შ. ლ-სა და კ. გ-ს ჩაბარდათ 2013 წლის 12 ივლისს, ხოლო სააპელაციო საჩივარი მხარემ 2013 წლის 27 ივლისს შეიტანა.

განსახილველი კერძო საჩივრით შ. ლ-ე და კ. გ-ი უთითებენ, რომ მათ სააპელაციო საჩივარი მოცემულ საქმეზე შეიტანეს არა 2013 წლის 27 ივლისს, როგორც ეს სააპელაციო პალატამ მიიჩნია, არამედ ამავე წლის 26 ივლისს. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად მათ წარმოადგინეს შპს „საქართველოს ფოსტის“ №8536739 ქვითარი და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ 2013 წლის 16 სექტემბერს გაცემული №15/6/2-5649 ცნობა, რომელთა თანახმად №0110008536739 შეკვეთილი წერილი №14 საფოსტო ცენტრიდან გაიგზავნა 2013 წლის 26 ივლისს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი საფუძვლიანია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარებიდან 14 დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება და დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ შ. ლ-სა და კ. გ-ის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა 2013 წლის 12 ივლისიდან, მათ მიერ ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან სავსებით სწორად აითვალა და მართებულად მიიჩნია, რომ აღნიშნული ვადის დენა იწურებოდა 2013 წლის 26 ივლისს.

კერძო საჩივარზე დართული დოკუმენტების – საფოსტო

ქვეთრისა და ცნობის შეფასების შედეგად საკასაციო სასამართლო სარწმუნოდ მიიჩნევს აპელანტთა მითითებას, რომ მათ სააპელაციო საჩივარი შეიტანეს 2013 წლის 26 ივლისს, კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში. სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება უმთავრესად ეფუძნება შპს „საქართველოს ფოსტის“ №8536739 ქვითარს, რომლის ნომერი სააპელაციო საჩივარზე დართულ საფოსტო კონვერტზე დატანილი ნომრის იდენტიურია. მითითებულ ქვითარზე კი კორესპონდენციის ფოსტისათვის ჩაბარების თარიღად დაფიქსირებულია სწორედ 2013 წლის 26 ივლისი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შ. ლ-სა და კ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420 მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შ. ლ-სა და კ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 სექტემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



# სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

## განჩინება

№ას-1035-989-2013

10 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** გენერალური და სალიზინგო ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, მოპასუხეებისათვის თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ა. ჯ. ლ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ბ-ის“, გ. კ-ის, მ. კ-ის, თ. ძ-ის, ვ. ძ-ის, მ. გ-ის, გ. ა-სა და ი. კ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხე შპს „ბ-სა“ და მოსარჩელე შპს „ა. ჯ. ლ-ს“ შორის დადებული ყველა გენერალური და მისი შემადგენელი სალიზინგო ხელშეკრულებების, შეთანხმებისა და მორიგების აქტის შეწყვეტილად ცნობა, მოპასუხეების – შპს „ბ-ის“, გ. კ-ის, მ. კ-ის, თ. ძ-ის, ვ. ძ-ის, გ. ა-სა და ი. კ-ის სოლიდარულად 65 695,16 ლარის დაკისრება.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით, 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით და მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმები ადგენს მხარეთა ვალდებულებას გადანყვეტილების გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადნენ სასამართლოში და ჩაიბარონ გადანყვეტილება, ხოლო ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გასაჩივრების ვადა დაიწყება გადანყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების ასლის მისაღებად სასამართლოსათვის არ მიუმართავს. შპს „ა. ჯ. ლ-ის“ წარმომადგენელ ე. ხ-ის ხელწერილით დასტურდება, რომ მან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება ჩაიბარა 2013 წლის 5 ივლისს.

საქმის მასალებით, კერძოდ, სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმით ასევე დასტურდება, რომ მას ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელი ე. ხ-ე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილისა და 61-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დენა დაინყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს – 1 ივლისს და ამოიწურა 2013 წლის 15 ივლისს.

სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ იქნა 2013 წლის 18 ივლისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ა. ჯ. ლ-ის“ სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილია გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით, რის გამოც იგი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „ა. ჯ. ლ-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების ვადა. რეალურად მოცემულ საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება დაბეჭდილ და ხელმოწერილ იქნა 2013 წლის 4 ივლისს, რამაც თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ შპს „ა. ჯ. ლ-ს“ ვერ ჩაბარდა გადაწყვეტილება კანონით განსაზღვრულ ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია საქმეში არსებულ ხელწერილს, რომლითაც დადასტურებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ჩაბარების ფაქტი. აღნიშნული ხელწერილის ბოლოს განთავსებულია სპეციალური ნაწილი, სადაც აღინიშნება მხარისათვის გადაწყვეტილების დროულად გადა-

უცემლობის შესახებ. აღნიშნული გრაფით დადასტურებულია ის გარემოება, რომ შპს „ა. ჯ. ლ-ს“ კანონით განსაზღვრულ ვადაში ვერ ჩაბარდა დასაბუთებული გადანყვეტილება, რასაც ადასტურებს და ხელს აწერს მოსამართლე თ. უ-ის თანაშემწე ნ. გ-ი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვინაიდან მხარეს დასაბუთებული გადანყვეტილება სასამართლოს მიზეზით ჩაბარდა დაგვიანებით, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა უნდა დაიწყო არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, არამედ გადანყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მხარეს სასამართლოს მიზეზით შეუმცირდა სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით განსაზღვრული ვადა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ა. ჯ. ლ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადანყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადანყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადანყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70–78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით კი, თუ გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადანყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადანყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადანყვეტილების

გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ მხარისათვის, რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, კანონმდებელი განსაზღვრავს ვალდებულებას, რათა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში, „არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღის“ ათვლისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადის გამოვლის ზოგადი წესი, კერძოდ მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპით გამოთვლილი მე-20 დღე არის იმ მოქმედების შესრულების პირველი დღე, რაც უკავშირდება სასამართლოში გამოცხადებას და ასეთად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს 21-ე დღე. ანალოგიურად უნდა განიმარტოს 30-ე დღე, როგორც, ერთი მხრივ, მხარის მიერ სასამართლოში გამოცხადების ბოლო დღე (მიუხედავად იმისა ემთხვევა თუ არა უქმე და დასვენების დღეს) და იმავდროულად გასაჩივრების ვადის ათვლის პირველი დღე, თუკი მხარე დაარღვევს სასამართლოში გამოცხადების კანონისმიერ ვალდებულებას.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და კერძო საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი. ამასთან, ასეთი პირისათვის არ არსებობდა საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ის საგამონაკლისო გარემოება, როდესაც სასამართლოს უნდა

უზრუნველყო გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა და ჩაბარება. აქედან გამომდინარე, შპს „ა. ჯ. ლ-ის“ წარმომადგენელს ევალებოდა არა უადრეს 2013 წლის 20 ივნისისა (სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღე) და არა უგვიანეს 30 ივნისისა (სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღე) გამოცხადებულიყო სასამართლოში და ჩაებარებინა დასაბუთებული გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა დაიწყებოდა 2013 წლის 30 ივნისს (გასაჩივრების პირველი დღე) და ამოიწურებოდა 13 ივლისს, თუმცა, ვინაიდან 2013 წლის 13 ივლისი წარმომადგენდა უქმე დღეს, გასაჩივრების ბოლო ვადად უნდა მიჩნეულიყო 2013 წლის 15 ივლისი, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომელიც ეხება იმ საკითხის გამორკვევას, ჰქონდა თუ არა სასამართლოს მზად დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება, დასაბუთებულია და ამ თვალსაზრისით სრულად არ იქნა შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა სასამართლოს მზად აქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამ ვარაუდის გაქარწყლება სათანადო მტკიცებულებებით ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილება. ასეთ მტკიცებულებად ვერ გამოდგება მხოლოდ მხარის განმარტება, არამედ ამისათვის წარდგენილ უნდა იქნეს სარწმუნო მტკიცებულებები. კერძო საჩივრის ავტორი ერთ-ერთ ასეთ მტკიცებულებად უთითებს საქმეში წარმოდგენილ ხელწერილს, რომელშიც მისი აზრით სასამართლოს უფლებამოსილი მოხელე თავისი ხელმოწერილით ადასტურებს სასამართლოს ბრალით მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაუბარებლობის ფაქტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტი-

ლების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმე უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე ხელახლა განსახილველად, ამასთან, სასამართლომ სრულყოფილად და ყოველმხრივ უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი ის მტკიცებულებები, რომლებიც მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დაცვის დასადგენად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ა. ჯ. ლ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 სექტემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა გადასანყვეტად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

## განჩინება

№ას-592-560-2014

11 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

სს „თ. ბ-მა“ თბილისის საქალაქო სასამართლოში ზ. უ-ას წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის დავალიანების, სულ 9925,68 ლარის, გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სს „თ. ბ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 მაისის განჩინებით სს „თ. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 2014 წლის 15 აპრილიდან დაიწყო და 28 აპრილს ამოიწურა, სააპელაციო საჩივარი კი, 29 აპრილსაა შეტანილი.

აღნიშნული განჩინება აპელანტმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, სააპელაციო საჩივარი 2014 წლის 18 აპრილს გადაეცა პოსტას, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ სს „თ. ბ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

იმავე კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში სს „თ. ბ-ის“ წარმომადგენელმა გ. კ-მ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ ვადის დაცვით, 2014 წლის 14 აპრილს ჩაიბარა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის მიხედვით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამ გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა 15 აპრილიდან დაიწყო და 28 აპრილს დასრულდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი შპს „... -ს“ შეტყობინების ბარათით (რომლის დედანი კერძო საჩივარსაც ერთვის) დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი სს „თ. ბ-ის“ წარმომადგენელმა თ. მ-მა ფოსტას 2014 წლის 28 აპრილს გადასცა და გზავნილი 29 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ჩაბარდა. სააპელაციო სასამართლომ კი, აღნიშნული დოკუმენტი არ გაითვალისწინა.

ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაშია შეტანილი, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უკანონოა და უნდა გაუქმდეს.



### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „თ. ბ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 მაისის განჩინება და საქმე სს „თ. ბ-ის“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

### **განჩინება**

№ას-184-173-2014

14 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...“ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ს.კ. ა. ს.ჯ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „...“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ს“ შპს „...“ სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა: – 2012 წლის მარტიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განუღი სამედიცინო მომსახურების ღირებულება – 82 958.23 (ოთხმოცდაორი ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი ლარი და ოცდასამი თეთრი) ლარი; – 2012 წლის მარტიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით სახელმწიფო პროგრამების ფარ-

გლებში განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდის ვადაგადაცილებისთვის პირგასამტეხლო – 2 755.64 (ორი ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) ლარი; – 2012 წლის მარტიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდის ვადაგადაცილებისთვის პირგასამტეხლო ყოველდღიურად – 82.96 ლარი 2012 წლის 27 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; – 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის იანვრის ჩათვლით კორპორატიული პროგრამების ფარგლებში განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება – 22 575.65 (ოცდაორი ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი ლარი და სამოცდახუთი თეთრი) ლარი; – 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის იანვრის ჩათვლით კორპორატიული პროგრამების ფარგლებში განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდის ვადაგადაცილებისთვის პირგასამტეხლო – 3 320.47 (სამი ათას სამას ოცი ლარი და ორმოცდაშვიდი თეთრი) ლარი; – 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის იანვრის ჩათვლით კორპორატიული პროგრამების ფარგლებში განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდის ვადაგადაცილებისთვის პირგასამტეხლო ყოველდღიურად – 22.58 ლარი 2013 წლის 17 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 იანვრის განჩინებით შპს „...“ შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება აპელანტმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, კანონით დადგენილ ვადაში არაერთხელ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩასაბარებლად, თუმცა მოსამართლის თანაშემწე უარს ეუბნებოდა გადაწყვეტილების გადაცემაზე. 2013 წლის 5 და 17 ივლისის აპელანტმა წერილობით მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, თუმცა გადაწყვეტილება ჩაბარდა მხოლოდ 2013 წლის 19 აგვისტოს. მეორე მხარეს გადაწყვეტილება 14 აგვისტოს ჩაბარდა, რაც ადასტურებს, რომ ამ დრომდე დასაბუთებული გადაწყვეტილება მზად არ იყო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეის-

წავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

იმავე კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მხარე ამავე მუხლით განსაზღვრულ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადდება და გადაწყვეტილებას არ ჩაიბარებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოთითხილებული მუხლი, ერთი მხრივ, მხარის ვალდებულებას ადგენს, მითითებულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად.

საკასაციო პალატა იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად, აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არსებობს დამაბრკოლებელი გარემოება, რის გამოც სასამართლო, მიმართვის

შემთხვევაში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღესვე ვერ შეძლებს მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი 2013 წლის 5 ივნისს გამოცხადდა, რასაც ესწრებოდა მოპასუხის წარმომადგენელი, შესაბამისად, მას არაუადრეს 25 ივნისისა და არაუგვიანეს 5 ივლისისა უნდა მიემართა სასამართლოსათვის გადაწყვეტილების ჩასაბარებლად;

2. 2013 წლის 5 ივლისს შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ის“ წარმომადგენელმა ე. ტ-ამ ფოსტით გააგზავნა განცხადება დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით. განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია;

3. 2013 წლის 17 ივლისს შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ის“ წარმომადგენელმა ე. ტ-ამ პირადად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით. რეაგირება არც ამ განცხადებას მოჰყოლია;

4. საბოლოოდ, გადაწყვეტილება მოპასუხეს ჩაბარდა 2013 წლის 19 აგვისტოს;

5. მოსარჩელეს გადაწყვეტილება 2013 წლის 13 აგვისტოს ჩაბარდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება სასამართლოს მოხელის მიერ შედგენილი აქტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ გადაწყვეტილება მხარეს სასამართლოს მიზეზით არ ჩაბარდა, გასაჩივრების ვადის ათვლა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს უნდა დაინიშნოს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი მსჯელობა არასწორია.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხემ ორჯერ მიმართა განცხადებით სასამართლოს, თუმცა 2013 წლის 19 აგვისტომდე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჩაბარებია. საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ გადაწყვეტილების ჩაუბარებლობა დაადასტურდეს სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტით. სასამართლოს ევალება, მხარის მიმართვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩააბაროს მას გადაწყვეტილება და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ იქნება. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც, საპროცესო

კანონმდებლობით, დასაბუთებული გადანყვეტილება უნდა მომზადდეს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში და არა მე-20 ან 30-ე დღეს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარემ მიმართა სასამართლოს გადანყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, ხოლო გადანყვეტილება არ ჩაბარებია, ივარაუდება, რომ სასამართლომ ვერ უზრუნველყო დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემა. საპირისპირო უნდა დადასტურდეს სათანადო მტკიცებულებით (მაგ. მხარემ უარი განაცხადა გადანყვეტილების ჩაბარებაზე და ა.შ.). ყოველგვარი ეჭვი ნყდება მხარის სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლოს აზრით, განსახილველ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადანყვეტილება არ ჰქონდა მზად სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს მე-20 და არაუგვიანეს 30-ე დღისა. ამ ვარაუდს ის გარემოება ამყარებს, რომ გადანყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს, 2013 წლის 5 ივლისს, შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ის“ წარმომადგენელმა ე. ტ-ამ ფოსტით გააგზავნა განცხადება დასაბუთებული გადანყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით. განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, მხარე ვალდებულია, პირადად გამოცხადდეს სასამართლოში გადანყვეტილების ჩასაბარებლად; მხოლოდ ფოსტის მეშვეობით განცხადების გაგზავნის შემთხვევაში კი, გასაჩივრების ვადის ათვლა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს იწყება; მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სასამართლოს ფოსტის მეშვეობით გაგზავნილ განცხადებაზე პასუხის გაცემა არ ევალება. 2013 წლის 17 ივლისს შპს „ს.კ. ა.ს. ჯ-ის“ წარმომადგენელმა ე. ტ-ამ პირადად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით. რეაგირება არც ამ განცხადებას მოჰყოლია. გადანყვეტილება მოპასუხეს მხოლოდ 2013 წლის 19 აგვისტოს ჩაბარდა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასაბუთებული გადანყვეტილება ამ დრომდე მზად არ ჰქონდა და მისი ჩაუბარებლობა მხარის მიზეზით არ ყოფილა განპირობებული. საყურადღებოა, რომ გადანყვეტილება მოსარჩელესაც იმავე პერიოდში – 2013 წლის 13 აგვისტოს ჩაბარდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე გასაჩივრების ვადის ათვლა გადანყვეტილების ჩაბარების მომენტიდან – 2013

წლის 19 აგვისტოდან უნდა დაიწყოს, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა 2013 წლის 2 სექტემბერი იყო. შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ის“ საჩივარი ფოსტას სწორედ 2013 წლის 2 სექტემბერს ჩაბარდა, ამდენად, ვადაშია შეტანილი და სააპელაციო სასამართლოს განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 იანვრის განჩინება და საქმე შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ის“ სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს .
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **საქმის წარმოების შეჩერება მხარის უფლებამონაცვლის დადგენამდე**

### **განჩინება**

№ას-600-568-2014

15 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** უფლებამონაცვლის დადგენა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. ჩ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში გ. გ-ისა და მ. გ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩელემ მოითხოვა გ. გ-ის (მამის) სავარაუდო უფლებამონაცვლებებისათვის – გ. გ-ისა და მ. გ-ისათვის სესხის თანხის 12 000 ლარის გადახდის დაკისრება

და, სესხის ამოღების მიზნით, იპოთეკით დატვირთული ქონების – ბაღდათის რაიონის სოფ. დ-ში მდებარე 1189,9 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე მდებარე 220 კვ.მ საცხოვრებელი სახლის აუქციონზე რეალიზაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საქმეში სათანადო მოპასუხედ ნ. ზ-ე ჩაება.

იმავე სასამართლოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. ზ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 12 000 ლარის გადახდა, დადგინდა იპოთეკით დატვირთული ქონების – ბაღდათის რაიონის სოფ. დ-ში მდებარე 1189,9 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე მდებარე 220 კვ.მ საცხოვრებელი სახლის აუქციონზე რეალიზაცია.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. ზ-მ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 აპრილის განჩინებით, აპელანტ ნ. ზ-ის გარდაცვალების გამო, შეჩერდა საქმის წარმოება მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა.

2013 წლის 6 აგვისტოს მოსარჩელემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს აცნობა, რომ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ცნობით, ნ. ზ-ის სამკვიდროს შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება, რაც ნიშნავს, რომ კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდრო არავის მიუღია. ამ გარემოების გათვალისწინებით, მოსარჩელემ მოითხოვა საქმეში მოპასუხის უფლებამონაცვლედ სახელმწიფოს ჩაბმა.

2013 წლის 24 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნ. ზ-ის ოჯახის წევრებს, სავარაუდო უფლებამონაცვლეებს აცნობა 2012 წლის 5 აპრილის განჩინება და მოსთხოვა 5 დღის ვადაში ეცნობებინათ, მიღებული ჰქონდათ თუ არა სამკვიდრო და გააჩნდათ თუ არა სააპელაციო საჩივრის განხილვის ინტერესი.

2013 წლის 30 დეკემბერს გ. გ-მ სააპელაციო სასამართლოს აცნობა, რომ გააჩნდა საქმის განხილვაში ჩაბმის ინტერესი, სამკვიდრო მონაწილეა კი, მიღებული არ ჰქონდა.

2014 წლის 21 მარტს მ. გ-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს აცნობა, რომ მას, როგორც ნ. ზ-ის შვილს, ბაღდათის რაიონის არქივში შეტანილი ჰქონდა განცხადება ნ. ზ-ის გვარის ჩანაწერის შესწორების შესახებ. ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ კი, აპირებდა ნოტარიუსისათვის მიმართვას სამკვიდროს

მიღების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 აპრილის განჩინებით საქმეში ნ. ზ-ის უფლებამონაცვლედ ჩაება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ნ. ზ-ის კანონისმიერ მემკვიდრეებს ნოტარიუსისათვის არ მიუძღრთათვთ, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების თაობაზე კი, არ მიუთითებენ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. გ-მ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, მან სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო, რის შესახებაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბრის განჩინებით აცნობა და განმარტა, რომ ჰქონდა საქმის განხილვაში ჩაბმის ინტერესი. მან ასევე განმარტა, რომ სამკვიდრო მოწმობა არ ჰქონდა აღებული და უახლოეს მომავალში წარუდგენდა სასამართლოს. კერძო საჩივარს ერთვის 2014 წლის 23 მაისის ცნობა იმის თაობაზე, რომ გ. გ-მ და მ. გ-მ მიმართეს ნოტარიუსს მათი მამის, ან გარდაცვლილი გ. გ-ის უძრავ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მიღების თაობაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ გ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სადავო საკითხის მომწესრიგებელი საპროცესო ნორმები და არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. უფლებამონაც-



ვლენის შემთხვევაში სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას 279-ე მუხლის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 აპრილის განჩინებით, აპელანტ ნ. ზის გარდაცვალების გამო, შეჩერდა საქმის წარმოება მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია ერთწლიანი ვადის გასვლამდე მიუთითოს მოპასუხის უფლებამონაცვლე პირი (პირი, რომელმაც სამკვიდრო ქონება მიიღო, უმკვიდრო ქონების შემთხვევაში – სახელმწიფო ან შესაბამისი ორგანიზაცია ან სხვა უფლებამონაცვლე). თუ აღმოჩნდება, რომ სამკვიდრო ქონება არ არსებობს, საქმის წარმოება შეწყდება. მოსარჩელის დასაბუთებული შუამდგომლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს ერთწლიანი ვადა არა უმეტეს 6 თვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ მუხლის შესაბამისად, მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარჩელის ვალდებულებაა მისი უფლებამონაცვლე დასახელოს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით დამკვიდრებული დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, მოსარჩელის გადასაწყვეტია, ვის მიმართ აღძრას სარჩელი, აგრეთვე, თავდაპირველი მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში, მანვე უნდა აირჩიოს, მიიჩნიოს თუ არა თავის სასარჩელო მოთხოვნაზე პასუხისმგებელ პირად გარდაცვლილი მოპასუხის უფლებამონაცვლეები და, შესაბამისად, თავადაა ამ არჩევანთან დაკავშირებული სამართლებრივ შედეგების რისკის მატარებელი. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ამ ვალდებულებას არ ასრულებს და არ ასახელებს მოპასუხის უფლებამონაცვლეს საქმის წარმოების შეჩერების ვადის ამოწურვამდე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლით განსაზღვრულია, ვინ შეიძლება ჩაებას მოპასუხის უფლებამონაცვლედ – პირი, რომელმაც სამკვიდრო ქონება მიიღო, უმკვიდრო ქონების შემთხვევაში – სახელმწიფო ან შესაბამისი ორგანიზაცია ან სხვა უფლებამონაცვლე, ანუ პირი, რომელსაც, მასზე მოპასუხის ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლის ან სხვა სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიძლება, დაეკისროს შესაბამისი ქმედების გან-

ხორციელების ან ქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულება.

2013 წლის 6 აგვისტოს მოსარჩელემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს შეატყობინა, რომ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ცნობით, ნ. ზ-ის სამკვიდროს შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება, რაც ნიშნავს, რომ კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდრო არავის მიუღია. ამ გარემოების გათვალისწინებით, მოსარჩელემ საქმეში მოპასუხის უფლებამონაცვლედ სახელმწიფოს ჩაბმა მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. აღნიშნული მუხლის საფუძველზე, გათვალისწინებულია სამკვიდროს მიღების ორი ფორმა – სანოტარო ორგანოში განაცხადის შეტანა და ფაქტობრივად დაუფლება, ამასთან ორივე ფორმა თანაბარი იურიდიული მნიშვნელობისაა და ერთნაირ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, შესაბამისად, მხოლოდ ის ინფორმაცია, მიმართა თუ არა ვინმემ ნოტარიუსს სამკვიდრო მონაშობის გაცემის მოთხოვნით, ამომწურავი ვერ იქნება. ისეთ პირობებში, როცა მოსარჩელეს ობიექტურად შეიძლება მოეთხოვოს იმის ცოდნა, დარჩა თუ არა მამკვიდრებელს კანონისმიერი ან ანდერძით მემკვიდრეები, მხოლოდ ნოტარიუსთა პალატის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის წარდგენა მას არ ათავისუფლებს ამ პირების უფლებამონაცვლეებად დასახელების ვალდებულებისაგან, თუ რა თქმა, მათ წინააღმდეგ სასარჩელო მოთხოვნის დაყენებას მიზანშეწონილად მიიჩნევს, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს.

განსახილველ შემთხვევაში, ზ. ჩ-ისათვის ცნობილი იყო ნ. ზ-ის ორი პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის თაობაზე, ვინაიდან გ. და მ. გ-ები პირველი ინსტანციის სასამართლოში თავდაპირველად თავად დაასახელა მოპასუხეებად, მაგრამ ნ. ზ-ის გარდაცვალების შემდეგ, ისინი სავარაუდო უფლებამონაცვლეებად არ დაუსახელებია, სასამართლომ კი, ეს გარემოება არ შეაფასა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მათი არსებობის შესახებ სასამართლოსათვისაც იყო ცნობილი, მაგრამ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნ. ზ-ის ოჯახის წევრებს, სავარაუდო უფლებამონაცვლეებს, მხოლოდ 2013 წლის 24 დეკემბერს აცნობა

და მოსთხოვა 5 დღის ვადაში ეცნობებინათ, მიღებული ჰქონდათ თუ არა სამკვიდრო და გააჩნდათ თუ არა სააპელაციო საჩივრის განხილვის ინტერესი. ამ განჩინების პასუხად, 2013 წლის 30 დეკემბერს გ. გ-მ სააპელაციო სასამართლოს აცნობა, რომ გააჩნდა საქმის განხილვაში ჩაბმის ინტერესი, სამკვიდრო მონაწილეობა კი, მიღებული არ ჰქონდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს განმარტება არ გამოორიცხავს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით დაუფლებას, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ უფლებამონაცვლედ ჩაბმისა და საქმის წარმოების განახლების საკითხი, შესაძლებელია, გადაწყდეს როგორც ზეპირი მოსმენით, ისე მის გარეშე, ფორმას ირჩევს სასამართლო მიზანშეწონილობის გათვალისწინებით. სასამართლო სხდომის ჩატარების შემთხვევაში, სასამართლოს შესაძლებლობა გააჩნია, დააზუსტოს მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, ან საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესთავაზოს დამატებითი მტკიცებულების წარდგენა. სააპელაციო სასამართლომ ამგვარი შესაძლებლობა მხედველობაში უნდა მიიღოს.

საკასაციო სასამართლო აქვე ხაზს უსვამს, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნ. ზ-ის ოჯახის წევრებს 2013 წლის 24 დეკემბერს აცნობა, 2014 წლის 16 აპრილის განჩინებით კი, საქმეში ნ. ზ-ის უფლებამონაცვლედ ჩაება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში, საქმის წარმოება შეჩერდება არაუმეტეს 1 წლის ვადით, მოსარჩელის მოთხოვნით დაიშვება ამ ვადის გაგრძელება ერთჯერადად არაუმეტეს 6 თვით. კანონმდებელი ამ შემთხვევაში გონივრულ ვადას ადგენს, რომელიც საკმარისია პირისათვის, თუ ის უფლებამონაცვლედ ჩაბმას გეგმავს, რომ, საქმის წარმოების შეჩერების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული სამართლებრივ-ორგანიზაციული საკითხები მოაგვაროს. ამ ვადის უსაფუძვლოდ შემოკლება მხარის საზიანოდ, დაუშვებელია. მოცემულ შემთხვევაში, ნ. ზ-ის უფლებამონაცვლედებს 2013 წლის 24 დეკემბრამდე ზ. ჩ-ის სარჩელის განხილვისა და საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე ინფორმაცია არ ჰქონდათ. შეტყობინების მიღების შემდეგ, მათ გამოხატეს საქმეში ჩაბმის ნება. სასამართლოს არ დაუზუსტებია,

ჰქონდა თუ არა, კერძო საჩივრის ავტორს სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიღებული, ამასთან, საქმის განმხილველი შემადგენლობისათვის ცნობილი იყო, რომ ნ. ზ-ის მემკვიდრეები გარკვეულ მოქმედებებს ახორციელებდნენ გარდაცვლილი მოპასუხის სამკვიდროზე მონუმობის მისაღებად. შეტყობინების მიღებიდან 4 თვის გასვლამდე, სააპელაციო სასამართლომ საქმეში უფლებამონაცვლედ სახელმწიფოს ჩაბმა გადაწყვიტა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, გაუმართლებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ნ. ზ-ის უფლებამონაცვლის ჩაბმის საკითხის გადასაწყვეტად იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 აპრილის განჩინება და საქმე ნ. ზ-ის უფლებამონაცვლის ჩაბმის საკითხის გადასაწყვეტად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# საქმის წარმოების შეწყვეტა

## განჩინება

№ას-21-21-2012

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**მოსამართლე: ვ. როინიშვილი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. გ-ას საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლების საკითხი, საქმეზე – მ. გ-ას საკასაციო საჩივრის გამო, თ. გ-სა და დ. ა-ის მიმართ ქონების ყადაღისგან გათავისუფლების თაობაზე.

### **პალატამ გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მარტის განჩინებით სამოქალაქო საქმის წარმოება მ. გ-ას საკასაციო საჩივარზე, საქმეზე – ნ., ნ. და მ. გ-ის სარჩელის გამო, აჭარის სააღსრულებო ბიუროს, თ. გ-სა და დ. ა-ის მიმართ ქონების ყადაღისგან გათავისუფლების შესახებ შეჩერდა მ. გ-ას უფლებამონაცვლის დადგენამდე – მ. გ-ას გარდაცვალებიდან 7 თვემდე.

2013 წლის 1 მარტს თ. გ-ამ განცხადებით მომართა სასამართლოს და წარმოადგინა სამკვიდრო მონაწილეობა, რომლის თანახმადაც მ. გ-ას სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრედ ცნობილი იქნა მამკვიდრებლის მეუღლე (პირველი რიგის მემკვიდრე) – თ. გ-ა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ას საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა1“ პუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არ არსებობს დავის საგანი.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მარტის განჩინებით სამოქალაქო საქმის წარმოება მ. გ-ას საკასაციო საჩივარზე, ქონების ყადაღისგან განთავისუფლების თაობაზე, შე-

ჩერდა მ. გ-ას უფლებამონაცვლის დადგენამდე. 2013 წლის 1 მარტს თ. გ-ამ №ა-813-13 განცხადებით მომართა სასამართლოს და წარმოადგინა ნოტარიუს ნ. ს-ის მიერ 2013 წლის 26 თებერვალს გაცემული №... სამკვიდრო მოწმობა, რომლის თანახმადაც ორი ათას თორმეტი წლის სამ თებერვალს გარდაცვლილი მ. გ-ას სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრედ ცნობილი იქნა მამკვიდრების მეუღლე (პირველი რიგის მემკვიდრე) – თ. გ-ა (დაბადებული ... წელს ბათუმში, მცხოვრები: ბათუმი, ჰ. ა-ის ქ. №21, პირადი № ...), რომელმაც საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება. სამკვიდროს, რომელზეც გაცემულია ზემოაღნიშნული მოწმობა, წარმოადგენს მამკვიდრების კუთვნილი აქტივები (მოდრავი და უძრავი ნივთები, მოთხოვნის უფლება ნებისმიერ საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ანაბარზე და სხვა უფლებები, რომელიც ქონდა მამკვიდრებელს მესამე პირთა მიმართ) და პასივები (მამკვიდრების შეუსრულებელი ვალდებულებები მესამე პირთა მიმართ – სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში). განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა თ. გ-ას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე ქ. ბათუმი, ჰ. ა-ის ქ. №21, 3/4 ნაწილის ყადაღისაგან გათავისუფლება, რათა მომხდარიყო მასზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მოსარჩელეს საკუთრების უფლება აღნიშნულ ქონებაზე დადასტურებულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 იანვრის №3-645/10 კანონიერ ძალაში შესული განჩინებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოში განსახილველად საკასაციო საჩივარი წარადგინა მ. გ-ამ, რომლის გარდაცვალების შემდეგაც ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაში მის წილზე საკუთრების უფლება გადავიდა მოწინააღმდეგე მხარის – თ. გ-ას საკუთრებაში, თანახმად 2013 წლის 26 თებერვალს გაცემული №130173738 სამკვიდრო მოწმობისა, რის გამოც კასატორი და მოწინააღმდეგე მხარე აღმოჩნდა ერთიდაიგივე პიროვნება – მ. გ-ას უფლებამონაცვლე თ. გ-ა, რომელიც განსახილველ საქმეზე წარმოადგენდა მოპასუხეს და რომლის მიმართაც წარდგენილი იყო სარჩელი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან თ. გ-ა მოცემულ დავაში არ წარმოადგენს სუბიექტს, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა დავის საგანზე ან რომლის მიმართაც მოცემულ დავის ფარგლებში მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება მისი ქონებრივი თუ არა-ქონებრივი უფლების რაიმე ფორმით შეზღუდვის თაობაზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარზე აღარ არსებობს საკასაციო საჩივრის საგანი, რაც საქმის წარმოების

შენწყვეტის საფუძველია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 272-ე მუხლის „ა“ პუნქტით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ.გ-ას საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება საკასაციო საჩივარზე დავის საგნის არარსებობის გამო.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

№ას-332-316-2013

20 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2012 წლის 21 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ჯ. ჯ-ემ მოპასუხე ე. ზ-ის მიმართ და მოითხოვა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ე. ზ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე – ქუთაისში, გ-ის ქუჩის მე-3 შესახვევის №9-ში მდებარე უძრავ ქონებებზე ყადაღის დადება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ჯ. ჯ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მხოლოდ გადაუდებელ შემ-

თხვევაში. განსახილველი განცხადება, მართალია, შეიცავდა მითითებას გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებდა, ან შეუძლებელს გახდიდა შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულებას, მაგრამ ამავე დროულად არ შეიცავდა მითითებას, ჯერ არააღრუული სარჩელის უზრუნველყოფისათვის გადაუდებელი შემთხვევის არსებობის თაობაზე. მოცემული დასკვნის გამოტანისას სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-192-ე მუხლებით.

დასახელებული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა განმცხადებელმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მისი განცხადების დაკმაყოფილება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 დეკემბრის განჩინებით ჯ. ჯ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 იანვრის განჩინებით ჯ. ჯ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ და ე. ზ-ეს აეკრძალა ქუთაისში, გ-ის ქუჩის მესამე შესახვევის №9-ში მდებარე უძრავი ნივთის გასხვისება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი მოპასუხის მიმართ შემდეგ პრეტენზიას აცხადებდა: მას მოპასუხისგან სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ მიუღია; განმცხადებლის მიერ ვალის გადაუხდელობის გამო მოხდა იპოთეკით დატვირთული მისი ქონების რეალიზაცია და მოპასუხის საკუთრებაში გადასვლა; განმცხადებელი აპირებდა სარჩელის აღძვრას როგორც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, ასევე აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლის საფუძველზეც სადავო ქონება უკანონოდ გადავიდა ე. ზ-ის საკუთრებაში; მოპასუხე განმცხადებელს ემუქრებოდა ბინის გასხვისებით და იქედან გამოსახლებით; შესაბამისად, განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ე. ზ-ის მიერ უძრავი ნივთის გასხვისების შემთხვევაში (რაც ამ უკანასკნელმა უკანონოდ მიისაკუთრა), იგი გადავიდოდა ახალი კეთილსინდისიერი შემძენის საკუთრებაში. აქედან გამომდინარე, ჯ. ჯ-ის სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩებოდა, რადგან სადავო უძ-



რავი ნივთი აღარ იარსებებდა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას შემდეგნაირად ასაბუთებდა: მოპასუხე გაასხვისებდა უძრავ ნივთს, რა შემთხვევაშიც განმცხადებლის (იგივე საჩივრის ავტორის) სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ველარ აღსრულდებოდა სასამართლო გადაწყვეტილება, რადგან უძრავი ნივთი მოპასუხის საკუთრებაში აღარ იქნებოდა. ზემომითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის განჩინებით ამავე სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის განჩინების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებს დაემატა შემდეგი შინაარსის ოთხი პუნქტი:

1. საჩივრის ავტორ ჯ. ჯ-ეს დაევალა, აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღეში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ე. ზ-ის წინააღმდეგ 2009 წლის 25 ნოემბრის იპოთეკის ხელშეკრულებისა და აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის წარდგენა;

2. მას ასევე დაევალა სარჩელის აღძვრიდან 5 დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სარჩელის აღძვრის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა;

3. საჩივრის ავტორს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სარჩელის შეუტანლობისა და შესაბამისი მტკიცებულების სააპელაციო სასამართლოში წარუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანდა განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიების გაუქმების შესახებ;

4. მასვე განემარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგებოდა იმის გამო, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდებოდა და გადაწყვეტილება შევიდოდა კანონიერ ძალაში, მაშინ მოსარჩელე ვალდებული იქნებოდა მეორე მხარისათვის აენაზღაურებინა სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიების შედეგად მიყენებული ზარალი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის განჩინებით ჯ. ჯ-ეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღე-

ბაზე.

2013 წლის 25 თებერვალს ე. ზ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. განმცხადებელმა მოითხოვა მოცემულ საქმეზე მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

განცხადების მიხედვით, სასამართლომ ჯ. ჯ-ეს დაავალა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შეეტანა სარჩელი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, აგრეთვე, აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ეს პირობა ჯ. ჯ-ეს არ შეუსრულებია. მან სარჩელი წარადგინა მხოლოდ 2009 წლის 25 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. განმცხადებლის მოსაზრებით, მითითებული გარემოება წარმოადგენდა მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის განჩინებით გაუქმდა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 იანვრის განჩინება, რომლითაც ე. ზ-ეს აეკრძალა ქუთაისში, გ-ის ქუჩის მესამე შესახვევის №9-ში მდებარე უძრავი ნივთის გასხვისება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე; ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელი შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აძღრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, ჯ. ჯ-ეს ე. ზ-ის წინააღმდეგ აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელი არ აღუძრავს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. მას სააპელაციო სასამართლოსათვის ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ წარუდგენია. ამის გამო, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა გაუქმებულიყო მის მიერ 2013 წლის 16 იანვრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიე-

ბა, რომლითაც ე. ზ-ეს აეკრძალა ქუთაისში, გ-ის ქუჩის მესამე შესახვევის №9-ში მდებარე უძრავი ნივთის გასხვისება.

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ჯ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვება.

საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს 16 იანვრის განჩინებით მას არ განემარტა, რომ ვალდებული იყო „სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ“ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შეეტანა სარჩელი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ასეთ პირობებში, მისთვის ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების კონკრეტულ ვადაში შესრულების მოთხოვნა, არასწორია. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 16 იანვრის განჩინების გამოტანის შემდეგ ჯ. ჯ-ემ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, რაც წარმოებაში არ იქნა მიღებული. მიუხედავად ამისა, იმავე დღეს – 2013 წლის 5 თებერვალს ჯ. ჯ-ემ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, რომელიც მიღებულია წარმოებაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 მარტის განჩინებით ჯ. ჯ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ჯ-ის განცხადებაზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის მიხედვით, განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადანყვეტს ამ სარჩელის განმზილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სარჩელის მიღების წინაპირობები, ხოლო, თუ სასამართლო უარს იტყვის სარჩელის მიღებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული რო-

მელიმე საფუძვლით, მაშინ იგი ვალდებულია უარი თქვას ამ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვაზეც. მაგალითად, თუ მოსარჩელე ითხოვს იმ სარჩელის უზრუნველყოფას, რომლის დავის საგანზეც მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ ეს დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს და ეს იმთავითვე აშკარაა, სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს ამ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება, ვინაიდან თავად ეს სარჩელი ვერ გახდება მისი განხილვის საგანი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვამდე, სასამართლო ყოველთვის ამონმებს, არსებობს თუ არა სარჩელის მიღების წინაპირობები. არსებითად იგივე წესები ვრცელდება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მიმართაც.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს 2009 წლის 25 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ამ ხელშეკრულების მიხედვით, მოსარჩელემ მოპასუხისგან ისესხა 5000 ევრო 3 თვის ვადით ყოველთვიური 8% სარგებლით. მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება. ამავე ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდებოდა მოპალაპარაკების გზით, ხოლო, ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმეს განიხილავდა ქ.ქუთაისში განთავსებული საარბიტრაჟო სასამართლო.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით (სადავო გარიგების დადების დროს მოქმედი რედაქციით), პირებს შორის ნამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, შეთანხმება არბიტრაჟის განსახილველად დავის გადაცემის შესახებ (საარბიტრაჟო შეთანხმება) იდება წერილობით.

მსგავსი შინაარსის დებულებებს შეიცავს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი (ამოქმედდა 2010 წლის 1-ლი იანვრიდან). კერძოდ, მითითებული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო

ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, ხოლო, მე-6 ნაწილის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელის და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფორმებულ მხარეთა შეთანხმებას, დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე, აქვს იურიდიული ძალა, რომელიც ავალდებულებს შეთანხმების მხარეებს, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია.

დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს სარჩელი იმ დავაზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ხოლო, თუ რომელიმე მხარე მაინც მიმართავს სასამართლოს სარჩელით, მაშინ სასამართლო ვალდებულია უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ან შეწყვიტოს წარმოება. სასამართლოს ეს ვალდებულება გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე და 272-ე მუხლებიდან, ასევე, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლიდან, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს, ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს, ხოლო, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია ამ საკითხზე საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ან შეწყვიტოს წარმოება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღმოაჩენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადა-

კარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ან შეწყვიტოს წარმოება იმ დავაზე შეტანილ სარჩელზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მოითხოვს ამ სარჩელის უზრუნველყოფას, მაშინ მისი განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ასევე არ უნდა იქნეს მიღებული განსახილველად ან უნდა შეწყდეს საქმის წარმოება განცხადებაზე. ამასთან, სასამართლოს ამ საპროცესო მოქმედებების შესრულება შეუძლია თავისი ინიციატივითაც, თუ გამოარკვევს, რომ არსებობს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან საქმის წარმოების შეწყვეტის ზემოხსენებული საფუძველი (პალატის ეს დასკვნები შესაბამისობაშია მსგავსი კატეგორიის დავაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის განჩინება №ას-1022-957-2012).

მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეთა შორის გაფორმდა წერილობითი საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის მიხედვით, სადავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება განსახილველად გადაეცა არბიტრაჟს. ამასთან, როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის განმარტებებით, ასევე იმერეთის სააღსრულებო ბიუროს ოქმით – იძულებით აუქციონზე ქონების რეალიზაციის შესახებ, ირკვევა, რომ იმერეთის საარბიტრაჟო პალატის 2010 წლის 22 აპრილის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ე. ზ-ის საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდა და ჯ. ჯ-ის მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 6200 ევროს და 570 ლარის გადახდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით ცნობილ იქნა და აღსრულებას დაექვემდებარა ზემოხსენებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რაზედაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 2010 წლის 6 ოქტომბერს ჩატარებულ განმეორებით აუქციონზე ჯ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეიძინა ე. ზ-ემ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოპასუხემ (ჯ. ჯ-ემ) მონაწილეობა მიიღო საარბიტრაჟო განხილვაში და პრეტენზია არ გამოუთქვამს საქმის განმხილველი არბიტრაჟის კომპეტენციაზე. მოპასუხეს არც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუსაჩივრებია კანონით დადგენილი წესით.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება სადავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყვე-

ლა დავისა და უთანხმოების არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე ბათილი ან ძალადაკარგული არ არის, იგი იურიდიული ძალის მქონეა, შესაბამისად, ჯ. ჯ-ის სარჩელი 2009 წლის 25 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე ვერ გახდება სასამართლოს განხილვის საგანი. აქედან გამომდინარე, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი განეხილა ამ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომელიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესები, თუ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის რაიმე განსხვავებული წესი არც საკასაციო და არც სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის არაა დადგენილი. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის რაიმე განსხვავებულ წესს სააპელაციო და საკასაციო წარმოება არ ითვალისწინებს, ამიტომ გამოყენებულ უნდა იქნეს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები).

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლოს განჩინებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა შეწყდეს საქმის წარმოება ჯ. ჯ-ის განცხადებაზე სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ; ამასთან, უნდა გაუქმდეს მოცემულ განცხადებასთან დაკავშირებით ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე და 411-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შეწყდეს საქმის წარმოება ჯ. ჯ-ის განცხადებაზე სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;

2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 იანვრის განჩინება, რომლითაც ე. ზ-ეს აეკრძალა ქ.ქუთაისში, გ-ის ქუჩის მესამე შესახვევის №9-ში მდებარე უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი: №...) გასხვისება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



# საქმის წარმოების შეწყვეტა

## განჩინება

№ას-385-366-2013

23 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეცი

**დავის საგანი:** უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ზ. ლ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა:

ლ. ხ-ეს ს. წ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10755 ლარის გადახდა, ლ. ხ-ის მიერ ს. წ-ის სასარგებლოდ 10755 ლარის გადახდის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების დოკუმენტის ან ამ ვალდებულების სხვაგვარად შეწყვეტის დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, დადგინდა ს. წ-ის მფლობელობის შეწყვეტა ქ.თბილისში, ს.ჩ-ის ქ. №16ა-ში მდებარე მის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე და უძრავი ქონების თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა მესაკუთრე ლ. ხ-ეზე;

ლ. ხ-ეს ბ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 11294 ლარის გადახდა, ლ. ხ-ის მიერ ბ. ლ-ის სასარგებლოდ 11294 ლარის გადახდის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების დოკუმენტის ან ამ ვალდებულების სხვაგვარად შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, დადგინდა ბ. ლ-ის მფლობელობის შეწყვეტა ქ.თბილისში, ს.ჩ-ის ქ. №16ა-ში მდებარე მის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე და უძრავი ქონების თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა მესაკუთრე ლ. ხ-ე;

ლ. ხ-ეს დ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 9473 ლარის გადახდა, ლ. ხ-ის მიერ ბ. ლ-ის სასარგებლოდ 9473 ლარის გადახდის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების დოკუმენტის ან ამ ვალდებულების სხვაგვარად შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, დადგინდა დ. ლ-ის მფლობელობის შეწყვეტა ქ.თბილისში, ს.ჩ-ის ქ. №16ა-ში მდებარე მის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე და უძრავი ქონების

თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა მესაკუთრე ლ. ხ-ე;

ლ. ხ-ეს ზ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 3165 ლარის გადახდა, ლ. ხ-ის მიერ ზ. ლ-ის სასარგებლოდ 3165 ლარის გადახდის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების დოკუმენტის ან ამ ვალდებულების სხვაგვარად შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, დადგინდა ზ. ლ-ის მფლობელობის შეწყვეტა ქ.თბილისში, ს.ჩ-ის ქ. №16ა-ში მდებარე მის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე და უძრავი ქონების თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა მესაკუთრე ლ. ხ-ე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ლ-ემ, ს. ნ-მა და დ. ჯ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 თებერვლის განჩინებით ზ. ლ-ის, ს. ნ-ის და დ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო იმ პირის მიმართ, რომელიც სადავო უძრავი ქონების ერთ-ერთ მესაკუთრედ გამოვლინდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ და რომელსაც, ამ გარემოების გამო ხელი შეეშალა თავისი პროცესუალური უფლების განხორციელებაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ და სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ აპე-

ლანტები წარმოადგენდნენ მოსარგებლეებს, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ ადგილი ჰქონდა ისეთ ვითარებას, როდესაც არსებითად შეიცვალა მესაკუთრეთა წრე, რაც ამ სახის დავებში გავლენას ახდენდა ასეთი პირების პროცესუალურ უფლებებზე – უშუალოდ მიეღოთ მონაწილეობა თავიანთი უფლებების განხორციელებაში. კერძოდ, როგორც საჯარო რეესტრის 2012 წლის 29 ოქტომბრის ამონაწერით ირკვეოდა, უძრავი ნივთის მესაკუთრე მოსარჩელე ლ. ხ-თან ერთად გახდა ლ. ჩ-ი. როგორც ამავე ამონაწერიდან ირკვეოდა, ხელშეკრულება მათ შორის დაიდო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 2012 წლის 20 თებერვალს. ამასთან, ლ. ხ-ეს სახელზე ირიცხებოდა 119კვ.მ, ხოლო ლ. ჩ-ე – 185კვ.მ ფართი. ეს წილები ზოგადი ხასიათის იყო (ე.წ. იდეალურ წილებს წარმოადგენდა) და რაიმე საკადასტრო გეგმა, რომელიც განსაზღვრავდა მხარეთა საკუთრების საზღვრებს, არ წარდგენილა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი ნივთზე საკუთრების უფლების ქონას უკავშირებს პირის პროცესუალურ სტატუსს – ანუ დავაში ეს პირი იქნება მოსარჩელე თუ მოპასუხე (რასაკვირველ. იმის გათვალისწინებით, სურს თუ არა მესაკუთრეს საკუთრების უფლების შენარჩუნება სადგომზე). მოცემული სარჩელის განხილვისას მოსარჩელე ლ. ხ-ემ, როგორც მესაკუთრემ, მოითხოვა მოსარგებლეთა მიმართ თანხის გადახდის სანაცვლოდ მათ მიერ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა, რაც დაკმაყოფილდა. ამჟამად, როცა მხოლოდ ლ. ხ-ე აღარ წარმოადგენდა მესაკუთრეს, ხოლო თანხის გადახდის ვალდებულება მხოლოდ ლ. ხ-ეს გააჩნდა და მოსარგებლეებს კი ევალებოდათ სადგომი გაეთავისუფლებინათ ლ. ხ-ის სასარგებლოდ, უნდა გარკვეულიყო ახალი მესაკუთრის – ლ.ჩ-ის პოზიცია, სურდა თუ არა მას კანონით მესაკუთრისათვის მინიჭებული უფლების რეალიზაცია და რაც მთავარია, მზად იქნებოდა თუ არა იგი, რომ მოსარგებლეებისათვის თანხის გადახდის სანაცვლოდ შეენარჩუნებინა საკუთრების უფლება სადგომზე.

ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების საპროცესო ფორმას წარმოადგენდა სარჩელი, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლები განსაზღვრავენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს – შეჯიბრებითობასა და დისპოზიციურობას. ამ ნორმებიდან გა-

მომდინარე, ლ. ჩ-მა თავად უნდა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება მოსარგებლეთა მიმართ – თუ მას სურს საკუთრების უფლების შენარჩუნება, სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს, ხოლო თუ მზადაა საკუთრების უფლება დაუთმოს მოსარგებლებს, მაშინ ამ უკანასკნელთა სარჩელზე უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ, ისეთ ვითარებაში, როდესაც მინის ნაკვეთს ჰყავდა ერთი მესაკუთრე და მის მიმართ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ამჟამად კი ნაკვეთს ორი მესაკუთრე ჰყავდა და მათი წილები არ იყო გამიჯნული, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის თავისებურებებიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევას – როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება. ასეთ ფაქტობრივ გარემოებებში, კანონმდებლობა ითვალისწინებს საპროცესო თანამონაწილეობას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი ვერ იმსჯელებდა იმ პირის უფლებების შესახებ, ვინც დავაში არ მონაწილეობდა, ვინაიდან, სასამართლოსათვის მისანვდომობის უფლება გარანტირებულ., როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე საქართველოს სახელმწიფოს მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოეყვია მოსარჩელეთა წრე და ისე ემსჯელა მოსარჩელის მოთხოვნაზე.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თანამოსარჩელის ჩაბმა საქმის წარმოების ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ასეთად ჩაბმულ ლ. ჩ-ს უნდა ჩამოეყალიბებინა მოთხოვნა, წარედგინა მასზე შესაგებელი და ა.შ., რაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას არაა გათვალისწინებული საპროცესო კანონმდებლობით. გარდა ამისა, ზემოხსენებული კანონის თავისებურებიდან გამომდინარე, ლ. ჩ-ს ლ. ხ-ან ერთად ასევე უნდა დაკისრებოდა თანხების გადახდა, მაშინ როცა მას პირველ ინსტანციაში ამის თაობაზე პოზიცია არ გამოუხატავს, ვინაიდან მესაკუთრე მოგვიანებით გახდა. ამავდროს, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში თანამოსარჩელედ ჩაბმული პირი ფაქტობრივად დაკარგავდა კიდევ ერთ ინსტანციაში (სააპელაციო ინსტანციაში) საქმის განხილვის შესაძლებლობას, ვინაიდან მას გასაჩივრება მოუწევდა პირდაპირ საკასაციო სასამართლოში – საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს არ წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გააჩივრა ლ. ხ-ემ. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის იმგვარად დაკმაყოფილებას, როგორც ეს თბილისის საქალაქო სასამართლომ განახორციელა.

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულ. შემდეგნაირად:

ის ფაქტობრივი ვითარება, რაც საფუძვლად დაედო გასაჩივრებული განჩინების გამოტანას, წარმოიშვა 2012 წლის 9 თებერვლის შემდგომ, ანუ მას შემდგომ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განხილვა დაასრულა. სააპელაციო სასამართლო კი, ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერებას. შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩენილიყო.

2013 წლის 20 სექტემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა კასატორმა და მიუთითა, რომ უარს ამბობს საკასაციო საჩივარზე და ითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ხ-ის განცხადება საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილ. სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კასატორი უფლებამოსილია, თანამდევი სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, უარი განაცხადოს თავის საკასაციო საჩივარზე.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორმა ლ. ხ-ემ უარი თქვა საკასაციო საჩივარზე. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საკასაციო წარმოება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. კასატორ ლ. ხ-ის შუამდგომლობა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 თებერვლის განჩინებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, დაკმაყოფილდეს;

2. ლ. ხ-ის საკასაციო საჩივარზე (საქმე №ას-385-366-2013-ბ-ე) შეწყდეს საქმის წარმოება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **საქმის წარმოების შეწყვეტა**

### **განჩინება**

№ას-465-441-2013

5 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** თავდაპირველ სარჩელში – სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, შეგებებულ სარჩელში – შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. კ-მა, ე. ნ-ამ და ნ. ჩ-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „ზ-ის“ მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით, კერძოდ, ნ. კ-მა მოითხოვა 12740 ლარის, ე. ნ-ამ – 5800 ლარის, ხოლო ნ. ჩ-ემ – 9220 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება (იხ. დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა) შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელები შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდნენ შპს „ზ-ში“. მოპასუ-

ხემ არ აუნაზღაურა კუთვნილი ხელფასი და, მიუხედავად არაერთი სიტყვიერი მოთხოვნისა, არც ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი განუმარტავს მხარეებისათვის.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა მოთხოვნის უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით, ამასთან, შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. კ-ის მიმართ 2011 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული №1 შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. შეგებებული სარჩელის ავტორმა მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ნ. კ-თან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირების მიერ კანონისა და საზოგადოების წესდების უხეში დარღვევით. აღნიშნული ხელშეკრულება შპს „ზ-ის“ დირექტორებმა ა. მ-მა და ნ. კ-მა გააფორმეს ნ. კ-ან. საზოგადოების წესდების მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დირექტორს საზოგადოების სხვა დირექტორთან კონტრაქტის გაფორმებისა და სახელფასო ანაზღაურების განსაზღვრის უფლებამოსილება არ გააჩნდა, დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება, მასთან კონტრაქტის დადება და შეწყვეტა პარტნიორთა კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

ნ. კ-მა შეგებებული სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით:

შპს „ზ-ის“ დაფუძნების შესახებ 2010 წლის 26 ოქტომბრის სანოტარო აქტის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება მიენიჭა საზოგადოების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ან დირექტორთა საბჭოს 2 წევრს მხოლოდ ერთპიროვნულად, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განისაზღვრა და პარტნიორთა 100%-იანი გადაწყვეტილებით დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა შ. შ-ი, ხოლო წევრებად – ნ. კ-ი და ა. მ-ი. წესდების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საზოგადოების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში შეიზღუდა. წესდების მიღების დღესვე, 2010 წლის 26 ოქტომბერს საზოგადოება დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში, შესაბამისად დარეგისტრირდნენ საზოგადოების დირექტორებიც, სადავო ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონისა და წესდების სრული დაცვით, მოპასუხე ახორციელებდა უფლებამოსილებას, რაც თავმჯდომარის მიერ მოწონებულ იქნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ზ-ს“ ნ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 12740 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა, ე. ნ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ზ-ს“ ე. ნ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 4600 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა, ნ. ჩ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ზ-ს“ ნ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7840 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით შპს „ზ-ის“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ზ-მა“, მოითხოვა ნ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ნ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდებოდა, ხოლო შპს „ზ-ის“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 თებერვლის განჩინებით შპს „ზ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ზ-ის“ პარტნიორები (შპს „ზ-ის“ დაფუძნების აქტის თანახმად) იყვნენ შპს „ნ-ი“, რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 82.50% და შპს „თ.ი გ-ი“, რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 17,50%. შპს „ზ-ის“ დაფუძნებიდან (2010 წლის 26 ოქტომბრიდან) 2012 წლის 12 მარტამდე, დამფუძნებელი პარტნიორების: შპს „ნ-ს“ (ნარმომადგენელი – რწმუნებული ა. მ-ი) და შპს „თ. გ-ის“ (ნარმომადგენელი – დირექტორი გ.კ-ე) გადაწყვეტილების (შესაბამისად, წესდების) თანახმად, საზოგადოებას ჰყავდა დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგებოდა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისა და ორი დირექტორისაგან: საზოგადოების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე (დირექტორი) – შ. შ-ი; საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წევრები (დირექტორები): ნ. კ-ი და ა. მ-ი. 2010 წლის 24 დეკემბერს საზოგადოების დირექტორებმა ა. მ-მა და ნ. კ-მა შპს „ზ-ის“ სახელით №1 შრომითი ხელშეკრულება გააფორმეს ნ. კ-ან. შრომითი ხელშეკრულებით (რომელიც თავისი არსით ნარმომადგენდა სასამსახურო ხელშეკრულებას) ნ. კ-ის თანამდებობრივი განაკვეთი განისაზღვრა თვეში 1200 ლარით, ხოლო ხელზე ასაღები ოდენობა – 960 ლარით. ნ. კ-ი სამსა-



ხურებრივ მოვალეობას ასრულებდა 2012 წლის 29 თებერვლამდე.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტის მოთხოვნა 2010 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამ მიმართებით, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.4.1, 9.1 მუხლებით და განმარტა, რომ პირს საწარმოს დირექტორის ფუნქციების განხორციელების უფლება მხოლოდ საწარმოს მესაკუთრეთა (პარტნიორები, აქციონერები) შესაბამისი გადაწყვეტილებით ენიჭება, შესაბამისად, პირი ვერ იქნება საწარმოს ხელმძღვანელი, ვიდრე მას სათანადო წესით არ დანიშნავენ საწარმოს მესაკუთრეები. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9<sup>1.6</sup> მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების უფლება საწარმოს პარტნიორებს აქვთ. დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების გადაწყვეტილება პარტნიორებმა საწარმოს პარტნიორთა კრებაზე უნდა მიიღონ. პარტნიორთა კრებასვე აქვს მინიჭებული დირექტორთან მისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმსაზღვრელი ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის უფლება. დირექტორის დანიშვნასთან ერთად პარტნიორები უფლებამოსილი არიან დირექტორთან გააფორმონ ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება პირის დირექტორის პოზიციაზე მუშაობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: დირექტორის უფლება-მოვალეობები, დირექტორის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, მისი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის და ა.შ. შპს „ზ-ის“ წესდების 18.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის, 23.1 მუხლის 24.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ 2010 წლის 24 დეკემბრის სადავო ხელშეკრულებით, განისაზღვრა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები, მხარეთა ვალდებულებები, შრომის ანაზღაურება და ა.შ. აღნიშნული ხელშეკრულება ხელმონერილი იყო საზოგადოების დირექტორების: ა. მ-სა და ნ. კ-ის მიერ. 2010 წლის 26 ოქტომბრიდან 2012 წლის 29 თებერვლამდე ნ. კ-ი ახორციელებდა საზოგადოების ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. სასამართლოს შეფასებით, დირექტორის მოვალეობაა, იმოქმედოს მიუკერძოებლად, ობიექტურად საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. დირექტორები საზოგადოებას უნდა გაუძღვნენ ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კე-

თილსინდისიერებით. შეგებებული სარჩელი არ შეიცავდა მითითებას, ნ. კ-ის, როგორც დირექტორის მიმართ ზემოაღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. საზოგადოებას სადავო პერიდში ნ. კ-ის შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ წარუდგენია, აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოება საქმის მასალებით არ დგინდებოდა. პალატამ ჩათვალა, რომ შპს „ზ-ს“ არ გააჩნდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ნამდვილი იურიდიული ინტერესი შეგებებული სარჩელით მოთხოვნის – 2010 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ, პალატის განმარტებით, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას, აუცილებელია, არსებობდეს დავა მხარეთა შორის უფლებებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. აღიარებით სარჩელს, მიკუთვნებითი სარჩელისაგან განსხვავებით, წაყენება დამატებითი წინაპირობა – ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, ანუ რა სამართლებრივი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი, რა არის მოსარჩელის სამართლებრივი დაცვის ინტერესი. აღიარებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული იურიდიული ინტერესი უნდა იყოს ნამდვილი. ნ. კ-ს საწარმოს დირექტორის ფუნქციების განხორციელების უფლება მიენიჭა საწარმოს პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე. ნ. კ-ი ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და სასამართლო აქტის არარსებობის პირობებშიც, საწარმოს ეკისრებოდა დირექტორის მიერ განეული მომსახურებისათვის გონივრული ანაზღაურების ვალდებულება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო გაიზიარებდა შეგებებული სარჩელის ავტორის მოსაზრებას ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებით, იმ მოტივით, რომ დარღვეული იყო წესდების შესაბამისი დათქმა, საზოგადოება ვალდებული იქნებოდა, ნ. კ-ისთვის აენაზღაურებინა განეული მომსახურების საფასური. აღნიშნული კი, გამოორიცხავდა აპელანტის ნამდვილ იურიდიულ ინტერესს მის მიერ დაყენებული მოთხოვნის მიმართ.

ანაზღაურების ოდენობასთან მიმართებაში პალატამ ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: საქმეზე დადგენილია, რომ ტექნიკური ასისტენტის – ნ. ჩ-ის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ოდენობა შეადგენდა 700 ლარს, ხელზე ასაღები – 560 ლარს, ასევე დგინდებოდა, რომ ბუღალტრის – ე. ნ-ას თანამდებობრივი სარგოს ოდენობა შეადგენდა 500 ლარს, ხელზე ასაღები – 400 ლარს. ამ გარემოებათა გათვალისწინებით დირექ-

ტორ ნ. კ-ის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა – 1200 ლარი, ხელზე ასაღები 960 ლარი, სასამართლომ მიიჩნია იმ გონივრულ ოდენობად, რაც შეიძლებოდა დადგენილიყო სხვა თანამშრომელთათვის კომპანიის მიერ გადახდილი სახელფასო სარგოების ოდენობის გათვალისწინებით.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ზ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით ნ.კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებულ სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის, ასევე 249-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების საწინააღმდეგოდ, სასამართლომ არ იმსჯელა შეგებებულ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებზე, არ გაითვალისწინა შპს „ზ-ის“ არგუმენტები და არც მათ გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი დაუსაბუთებია გადაწყვეტილებაში, კერძოდ, სასამართლოს სადავო ხელშეკრულების ნამდვილობა არ გამოუკვლევიან სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.4.1 და 9.1.1 მუხლების შესაბამისად. ნ.კ-ან გაფორმებული სადავო ხელშეკრულება ეწინააღმდეგება საზოგადოების წესდების 18.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტს, რადგანაც ამ დათქმით საზოგადოების დირექტორის დანიშვნის, კონტრაქტის დადებისა და ანაზღაურების განსაზღვრის უფლებამოსილება მხოლოდ პარტნიორთა კრებას გააჩნდა. სადავო ხელშეკრულება ნ.კ-მა გააფორმა საკუთარ თავთან და სხვა დირექტორთან, რაც საზოგადოების წესდებას ეწინააღმდეგება. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის განჩინებით შპს „ზ-ის“ საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლითა და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

2013 წლის 28 ივნისს ნ. კ-ის წარმომადგენელმა ე.გ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ მოსარჩელე ნ. კ-მა შპს „ზ-ის“ წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელზე მთლიანად უარი განაცხადა. წინამდებარე განცხადებას ე. გ-ემ დაურთო ნ. კ-ის სახელით გაცემული, საწინააღმდეგო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც ნ. კ-ი სხვა წარმომადგენლებთან ერთად ე. გ-ეს უფლებას ანიჭებს,

შესაბამისი ინსტანციებიდან გამოიხმოს სარჩელები მოთხოვნაზე უარის თქმით ან უარის თქმის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნებზე, ასევე უარი თქვას სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე. მინდობილობაში, რომელიც ერთვის წინამდებარე განცხადებას, მითითებულია ასევე №ას-465-441-2013 სამოქალაქო საქმე – კასატორი შპს „ზ-ი“, მონინააღმდეგე მხარე – ნ. კ-ი.

2013 წლის 3 ივლისს შპს „ზ-ის“ სახელით საკასაციო პალატას ასევე მომართა განცხადებით კასატორის წარმომადგენელმა ვ. ს-ემ და აღნიშნა, რომ ნ. კ-სა და შ. შ-ს შორის მიღწეული მორიგების საფუძველზე შპს „ზ-ი“ უარს აცხადებდა წინამდებარე საქმეზე ნ. კ-ას მიმართ აღძრულ შეგებებულ სარჩელზე. ვ. ს-ემ განცხადებას დაურთო შ. შ-ის სახელით გაცემული, საწარმოო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც განმცხადებელს სხვა პირებთან ერთად მარწმუნებელი უფლებას ანიჭებდა კომპანიების, მათ შორის შპს „ზ-ის“ სახელით უარი ეთქვა სარჩელზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ნ. კ-ის წარმომადგენელ ე. გ-სა და შპს „ზ-ის“ წარმომადგენელ ვ. ს-ის განცხადებების საფუძველიანობა და თვლის, რომ მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ზ-ს“ ნ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 12740 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა, ე. ნ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ზ-ს“ ე. ნ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 4600 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა, ნ. ჩ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ზ-ს“ ნ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7840 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით შპს „ზ-ის“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ზ-მა“, მოითხოვა ნ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ნ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდებოდა, ხოლო შპს „ზ-ის“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდებოდა.

დადგენილია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. ნ-სა და ნ. ჩ-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების

ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 თებერვლის განჩინებით შპს „ზ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ზ-მა“.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შემონების ეტაპზე, 2013 წლის 28 ივნისს, ნ. კ-ის წარმომადგენელმა ე. გ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ მოსარჩელე ნ. კ-მა შპს „ზ-ის“ წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელზე მთლიანად უარი განაცხადა. წინამდებარე განცხადებას ე. გ-ემ დაურთო ნ. კ-ის სახელით გაცემული, სანოტარო წესით დამონებული მინდობილობა, რომლითაც ნ. კ-ი სხვა წარმომადგენლებთან ერთად ე. გ-ეს უფლებას ანიჭებს, შესაბამისი ინსტანციებიდან გამოიხმოს სარჩელები მოთხოვნაზე უარის თქმით ან უარის თქმის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე. მინდობილობაში, რომელიც ერთვის ე. გ-ის განცხადებას, მითითებულია №ას-465-441-2013 სამოქალაქო საქმე – კასატორი შპს „ზ-ი“, მონინააღმდეგე მხარე – ნ. კ-ი.

2013 წლის 3 ივლისს შპს „ზ-ის“ სახელით საკასაციო პალატას ასევე მომართა განცხადებით კასატორის წარმომადგენელმა ვ. ს-ემ და აღნიშნა, რომ ნ. კ-სა და შ. შ-ს შორის მიღწეული მორიგების საფუძველზე შპს „ზ-ი“ უარს აცხადებდა წინამდებარე საქმეზე ნ. კ-ას მიმართ აღძრულ შეგებებულ სარჩელზე. ვ. ს-ემ განცხადებას დაურთო შ. შ-ის სახელით გაცემული, სანოტარო წესით დამონებული მინდობილობა, რომლითაც განმცხადებელს სხვა პირებთან ერთად მარწმუნებელი უფლებას ანიჭებდა კომპანიების, მათ შორის შპს „ზ-ის“ სახელით უარი ეთქვა სარჩელზე.

საქმეში წარმოდგენილი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის შესწავლის საფუძველზე საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „ზ-ის“ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს – დირექტორს წარმოადგენს შ. შ-ი, შესაბამისად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლის თანახმად, იგი უფლებამოსილია, საზოგადოების სახელით გასცეს მინდობილობები, მათ შორის, სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებათა გადაცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო მე-3 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მოსარჩელე (შესაბამისი წინაპირობების არსებობისას შეგებებული სარჩელის ავტორი) უფლებამოსილია, კანონით გათვალისწინებული შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ნ. კ-ის, ასევე შეგებებული სარჩელის ავტორ შპს „ზ-ის“ განცხადებები სარჩელსა და შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის შესახებ საფუძვლიანია, რის გამოც მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილს თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე ნორმის მე-4 ნაწილით დადგენილია, რომ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციები-

სათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მხარეთა მიერ საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვამდე სარჩელსა და შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის გამო, კასატორ შპს „ზ-ს“ სრულად უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით კს „დ. პ. ს-ოს“ მიერ 2013 წლის 18 აპრილის №180401 საგადახდო დავალებით გადახდილი 640 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. კ-ის წარმომადგენელ ე. გ-ის განცხადება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. შპს „ზ-ის“ წარმომადგენელ ვ. ს-ის განცხადება შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს.

3. შეწყდეს წარმოება სამოქალაქო საქმეზე – ნ. კ-ის სარჩელის გამო შპს „ზ-ის“ მიმართ, ასევე შპს „ზ-ის“ შეგებებული სარჩელის გამო ნ. კ-ის მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურებისა და შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

4. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ ნ. კ-ის სარჩელისა გამო შპს „ზ-ის“ მიმართ, ასევე შპს „ზ-ის“ შეგებებული სარჩელის გამო ნ. კ-ის მიმართ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

5. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია.

6. კასატორ შპს „ზ-ს“ (ს/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით კს „დ. პ. ს-ოს“ მიერ 2013 წლის 18 აპრილის №180401 საგადახდო დავალებით გადახდილი 640 ლარი.

7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# საქმის წარმოების შეწყვეტა

## ბანრინება

№ას-1482-1398-2012

14 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღ-  
კვეთა

### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ჯ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. გ-ის მიმართ მო-  
პასუხისა და მისი ოჯახის წევრების უკანონო მფლობელობი-  
დან მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოთხოვისა და  
მათთვის აღნიშნული მიწის ნაკვეთით სარგებლობის აღკვეთის,  
აგრეთვე, მოპასუხისათვის სასაზღვრო მიჯნაზე არსებული ჭიშ-  
კრის ალების დავალების მოთხოვნით.

მოპასუხე რ. გ-მა სარჩელი არ ცნო.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის  
გადაწყვეტილებით ზ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც  
სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

აღნიშნული საქმე განხილულ იქნა ზემდგომი ინსტანციის სა-  
სამართლოების მიერ, საბოლოოდ, ქუთაისის სააპელაციო სასა-  
მართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის  
გადაწყვეტილებით ზ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ  
დაკმაყოფილდა, გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს  
2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახა-  
ლი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ჯ-ის სარჩელი ნაწილობ-  
რივ დაკმაყოფილდა, რ. გ-ს მასთან მცხოვრებ პირებთან ერ-  
თად დაევალა ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გათავისუფ-  
ლება უკანონო მფლობელობიდან და საჩხერეში, რ-ის ქ. №4-ში  
მდებარე ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გზად გამოყენება,  
ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ზ. ჯ-ის სარჩელი  
იმ ნაწილში, რომლითაც მან მოითხოვა რ. გ-ისათვის სასაზღვრე  
მიჯნაზე არსებული ჭიშკრის ალების დავალები.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტი-  
ლება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 2 აპრილს, საქარ-



თველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ რ. გ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევისა და განუხილველად დატოვების გამო.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებებით მიმართა ზ. ჯ-ემ ამავე სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტებისა და რ. გ-ის უფლებამონაცვლედ მისი ოჯახის წევრების (მეუღლე ა. ა-ის, შვილების: მ., გ. და მ. გ-ების) ცნობის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. ამ გადაწყვეტილებით მოპასუხე რ. გ-ი დავალდებულდა „მასთან ერთად მცხოვრებ პირებთან ერთად გაათავისუფლოს ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი უკანონო მფლობელობიდან და აღიკვეთოს მათი მხრიდან საჩხერეში, რ-ის ქ. №4-ში ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოყენება გზად“. იმის გამო, რომ მოპასუხემ უარი განაცხადა ნებაყოფლობით შეესრულებინა აღნიშნული გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მიზნით სააღსრულებო ბიუროს წარედგინა სააღსრულებო ფურცელი, სადაც მოვალედ მიეთითა რ. გ-ი, აღმასრულებელმა კრედიტორს განუმარტა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი იყო ბუნდოვანი, რადგან არ დგინდებოდა თუ ვის გულისხმობდა სასამართლო რ. გ-თან ერთად მცხოვრებ პირებში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელმა მოითხოვა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტება იმგვარად, რომ სასამართლოს მიეთითებინა, თუ ვინ იგულისხმებოდა რ. გ-თან ერთად მცხოვრებ პირებში. მოვალის უფლებამონაცვლედ ცნობის განცხადებაში ზ. ჯ-ემ აღნიშნა, რომ მოვალე რ. გ-ი გარდაიცვალა. რ. გ-ის გარდაცვალების შემდეგ მან რამდენჯერმე სთხოვა ამ უკანასკნელის ოჯახის წევრებს, მიეღოთ მემკვიდრეობა რ. გ-ის უფლებამონაცვლის დადგენის მიზნით, რაზეც რ. გ-ის ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებელმა მოითხოვა სასამართლოს მიერ რ. გ-ის უფლებამონაცვლის დადგენა, კერძოდ, რ. გ-ის უფლებამონაცვლებად მისი ოჯახის წევრების: მეუღლე ა. ა-ის, ასევე შვილების: მ., გ. და მ. გ-ების მიჩნევა, ასევე ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა, რომელშიც მოვალეებად მითითებული იქნებოდნენ რ. გ-ის უფლებამონაცვლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ზ. ჯ-ის განცხა-

დება უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ზ. ჯ-ის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი, განიმარტა შემდეგნაირად: „დავალდებულდეს რ. გ-ის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლში მცხოვრები ყველა პირი გაათავისუფლოს ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი უკანონო მფლობელობიდან და აღიკვეთოს მათი მხრიდან საჩხერეში, რ-ის ქ. №4-ში ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოყენება გზად“. სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. გ-ი გარდაიცვალა, მაგრამ მისი დანაშთი სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით არ მიუღია მის არც ერთ მემკვიდრეს, საქმეში არ მოიძებნებოდა დამამტკიცებელი საბუთი (რ. გ-ის მემკვიდრეების მხრიდან სამკვიდროს მიღება ან ფაქტობრივი ფლობით ან სანოტაროში ორგანოში განცხადების წარდგენით) და არც განმცხადებელი უარყოფდა, რომ რ. გ-ის სამკვიდრო მის არც ერთ დარჩენილ მემკვიდრეს არ მიუღია, შესაბამისად, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაედგინა რ. გ-ის უფლებამონაცვლე. განმცხადებლის განმარტებით, თუკი სასამართლო დააკმაყოფილებდა განცხადებას გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, ისინი უარს განაცხადებდნენ განცხადებაზე რ. გ-ის უფლებამონაცვლის ცნობის თაობაზე, რადგან ამის აუცილებლობა აღარ იქნებოდა. აღნიშნული კი სასამართლომ უფლებამონაცვლის დადგენის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიიჩნია, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტების თაობაზე განცხადებასთან მიმართებით სასამართლომ ჩათვალა, რომ ის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი მიიჩნია ბუნდოვნად. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ „4. დავალდებულდა რ. გ-ი მასთან ერთად მცხოვრებ პირებთან ერთად გაათავისუფლოს ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი უკანონო მფლობელობიდან და აღიკვეთოს მათი

მხრიდან საჩხერეში, რ-ის ქ. №4-ში ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოყენება გზად“. აღმასრულებელმა ზ. ჯ-ეს განუმარტა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი იყო ბუნდოვანი, რადგან წინადადებაში: „დავალდებულდეს რ. გ-ი მასთან ერთად მცხოვრებ პირებთან ერთად...“ ვერ დგინდებოდა, თუ ვის გულისხმობდა სასამართლო რ. გ-თან ერთად მცხოვრებ პირებში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი უნდა განმარტებულიყო შემდეგნაირად: „დავალდებულდეს რ. გ-ის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლში მცხოვრები ყველა პირი გაათავისუფლოს ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი უკანონო მფლობელობიდან და აღიკვეთოს მათი მხრიდან საჩხერეში, რ-ის ქ. №4-ში მდებარე ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოყენება გზად“.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ზ. ჯ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება შემდეგი სახით: „დავვალოს რ. გ-ს მასთან ერთად მცხოვრებ პირებთან: მეუღლესთან – ა. ა-თან და შვილებთან – მ., გ. და მ. გ-ებთან ერთად გაათავისუფლოს ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი უკანონო მფლობელობიდან და აღიკვეთოს მათი მხრიდან საჩხერეში, რ-ის ქ. №4-ში ზ. ჯ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოყენება გზად“, კერძო საჩივრის ავტორმა ასევე მოითხოვა ან გარდაცვლილი რ. გ-ის უფლებამონაცვლედ შვილის – მ. გ-ის ცნობა შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ უთხრა უარი მხარეს უფლებამონაცვლის დადგენაზე, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ განმცხადებელს არ წარუდგენია მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების დამადასტურებელი მტკიცებულება. სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია იმ გარემოებაზე, რომ რ. გ-ი 2012 წლის 28 აპრილს გარდაიცვალა, გარდაცვალების რეგისტრაცია 30 აპრილს განხორციელდა, სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის შესაბამისად კი, მემკვიდრეები სამკვიდრო მონაწილის მიღებას მხოლოდ 2012 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ შეძლებდნენ (სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის შემდეგ), აღნიშნულის გათვალისწინებით, ზ. ჯ-ემ კერძო საჩივარს დაურთო რ. გ-ის სამკვიდროს მ. გ-ის მიერ მიღების დამადასტურებელი მტკიცებულება – სამკვიდრო მონ-

მობის ასლი.

სააპელაციო პალატამ მართალია გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადება ნაწილობრივ დააკმაყოფილა, თუმცა სასამართლოს განმარტება არ შეესაბამება „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს, სასამართლოს ამჯერადაც არ მიუთითებია იმ პირთა ვინაობა, ვინც გადაწყვეტილებით დადგენილ მოვალეს წარმოადგენს. სასამართლოს განმარტების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, კვლავ შეუძლებელი გახდება მისი აღსრულება, რადგანაც მოვალეების კონკრეტულად მიუთითება საალსრულებო ფურცელში შეუძლებელი იქნება, არ ირკვევა, თუ ვის გულისხმობდა სასამართლო „ყველა პირში“. ამასთანავე, არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ გადაწყვეტილების განმარტების შემთხვევაში განმცხადებელი უარს აცხადებდა უფლებამონაცვლის დადგენის შესახებ მოთხოვნაზე, რადგანაც, რეალურად, მხარემ, აღნიშნა, რომ განცხადებაში მიუთითებული სახით გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტების შემთხვევაში რ. გ.-ის უფლებამონაცვლეების დადგენის აუცილებლობა აღარ იარსებებდა. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი მოთხოვნა განპირობებულია იმითაც, რომ გარდაცვლილი რ. გ.-ის მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს შემდგომი გასხვისებისა თუ დავის წამოწყების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულება კვლავ ვერ მოხერხდება, რადგანაც თითოეული ახალი მესაკუთრისა თუ თანამესაკუთრის მიმართ სავალდებულო გახდება ახალი საალსრულებო ფურცლის გაცემა. აღნიშნული მოსაზრება ზ.ჯ.-ემ იმ გარემოებასაც დაამყარა, რომ სამკვიდროს მიღების თხოვნით ნოტარიუსს მხოლოდ ერთმა მემკვიდრემ მიმართა, რაც შესაძლოა წილების განაწილების თაობაზე ახალი დავის წამოწყების საფუძველიც კი გახდეს.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე ასევე შეიტანა კერძო საჩივარი რ. გ.-ის სავარაუდო უფლებამონაცვლე მ. გ.-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სააპელაციო პალატამ განმარტა ამავე სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი. კერძო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი გადაწყვეტილების განმარტებას ითვალისწინებს იმგვარად, როდესაც არ იცვლება მისი სარეზოლუციო ნაწილი, მოცემულ შემ-

თხვევაში კი, სასამართლომ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებით, პრაქტიკულად, ახალი რედაქციით ჩამოაყალიბა იგი, რის გამოც გადაწყვეტილება, პრაქტიკულად, სხვა პირების მიმართ გამოიტანა. ის ფაქტი, რომ რ. გ-ი გარდაცვლილია, სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის და მისი სხვა პირების მიმართ გამოტანის შესაძლებლობას არ აძლევს. მოპასუხის გარდაცვალების პირობებში, ვინაიდან სადავო სამართალურთიერთობა ითვალისწინებდა უფლებამონაცვლებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო საქმის წარმოება უფლებამონაცვლის დადგენამდე შეეჩერებინა. ამასთანავე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი არ იყო ბუნდოვანი და მისი დათქმა რ. გ-თან მცხოვრებ პირებზე მიუთითებდა არა სარეზოლუციო ნაწილის ახლებური რედაქციით ჩამოყალიბებაზე, არამედ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონიშვნისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტის მითითების აუცილებლობაზე. ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სწორედ მხარე იყო ვალდებული მიეთითებინა უფლებამონაცვლებების ფაქტზე, რის დაუდგენლადაც სასამართლოს არ ჰქონდა უფლებამოსილება, განემარტა გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ზ. ჯ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, ამავე პალატის 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინებით მ. გ-ი ცნობილ იქნა რ. გ-ის უფლებამონაცვლედ, ხოლო 2012 წლის 31 დეკემბრის განჩინებით რ. გ-ის უფლებამონაცვლე მ. გ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრების საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონიშვნის შედეგად მიიჩნევს, რომ უფლებამონაცვლის დადგენის მოთხოვნის ნაწილში ზ. ჯ-ის კერძო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, დანარჩენ ნაწილში კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რ. გ-ის უფლებამონაცვლე მ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რ. გ-ის სავარაუდო უფლებამონაცვლე მ. გ-ის კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინებით გარდაცვლილი რ. გ-ის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა მ. გ-ი. სასამართლომ მიუთითა ზ. ჯ-ის მიერ კერძო საჩივარზე დართულ 2012 წლის 5 ნოემბრით დათარიღებულ სამკვიდრო მონაწილეობაზე, რომლის თანახმადაც მ. გ-მა, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ, შვილმა, სრულად მიიღო 2012 წლის 28 აპრილს გარდაცვლილი რ. გ-ის სამკვიდრო, ნოტარიუსისათვის კი, სხვა მემკვიდრეს არ მიუმართავს. აღნიშნული გარემოება საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უფლებამონაცვლეობის დადგენისათვის საკმარის საფუძვლად მიიჩნია.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინებით, პრაქტიკულად, დაკმაყოფილდა ზ. ჯ-ის კერძო საჩივარი უფლებამონაცვლის დადგენის მოთხოვნის ნაწილში, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განჩინება შესულია კანონიერ ძალაში, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში დავის საგანი აღარ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის თანახმად, 272-ე და 275-ე მუხლების შესაბამისი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად მომზადების დროს საქმის წარმოება მოსამართლემ შეიძლება შეწყვიტოს ან სარჩელი (განცხადება) განუხილველად დატოვოს, რის შესახებაც მას გამოაქვს მოტივირებული განჩინება. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არ არსებობს დავის საგანი. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღარ არსებობს ზემოაღნიშნულ ნაწილში ზ. ჯ-ის კერძო საჩივრის საფუძვლიანობის კვლევის წინაპირობები დავის საგნის არარსებობის მოტივით, პალატა თვლის, რომ უფლებამოსილია, რ. გ-ის უფლებამონაცვლის დადგენის მოთხოვნის ნაწილში ზ. ჯ-ის კერძო საჩივარზე შეწყვიტოს წარმოება.

საქმის სხვა გარემოებებთან მიმართებაში საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზ. ჯ-ემ 2010 წლის 9

სექტემბერს წარდგენილი სარჩელით მოპასუხედ დაასახელა რ. გ-ი და სასარჩელო მოთხოვნა სადავო ნაწილში ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირებით: „დაავალდებულოთ მოპასუხე რ. გ-ი მასთან ერთად მცხოვრებ პირებთან ერთად გაათავისუფლოს ჩემი კუთვნილი მიწის ნაკვეთი უკანონო მფლობელობიდან, აღიკვეთოს მათი მხრიდან საჩხერეში, რ-ის ქ. №4 ჩემი კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოყენება გზად“.

უდავოა, რომ საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე მოსარჩელეს არ დაუზუსტებია იმ პირთა წრე, რომლებიც მოპასუხესთან ერთად ახორციელებდნენ მოსარჩელის საკუთრების უკანონო ხელშეშლას.

დავას არ ინვესტის გარემოება, რომ საქმის არც პირველი და არც ზემდგომი ინსტანციის წესით განხილვისას მოპასუხედ რ. გ-თან ერთად სხვა პირი არ დასახელებულა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით სარჩელი სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებულ ფარგლებში დაკმაყოფილდა, კერძოდ, ხელშეშლა აეკრძალა მოპასუხე რ. გ-სა და მასთან ერთად მცხოვრებ პირებს.

გადაწყვეტილების სადავო პუნქტის განმარტებას განმცხადებელი მოითხოვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და მიუთითებს მის ბუნდოვანებაზე, დასახელებული ნორმის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ განმარტებას გადაწყვეტილება ექვემდებარე მხოლოდ გადაწყვეტილების სუბიექტების შეუცვლელად, იმ ფარგლებში, რა ფარ-

გლებშიცაა აღიარებული განსამარტივადანწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი, ისე, რომ განმარტების გზით არ შეიძლება გადანწყვეტილებას სხვა სუბიექტებიც დაექვემდებაროს. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ მყარ ერთგვაროვან პრაქტიკაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა მოპასუხის დაზუსტების აუცილებლობა (იხ. სუსგ №ას-1057-1087-2011, 3 იანვარი, 2012 წელი), კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი ადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპს პირის მიერ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესახებ. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. კანონის დასახელებული დანაწესი გულისხმობს პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით, რომლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და ასევე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც გარანტირებულია სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლოს ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლების გამოყენება.

იმ ვითარებაში, როდესაც სარჩელი არ არის განხილული განცხადებაში მითითებული რ. გ-ის მეუღლისა და შვილების მიმართ, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ პირთა გადანწყვეტილებაში მითითების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რაც ზ. ჯ-ის კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადანწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგი, უშუალოდ მიმართულია მასში დასახელებული პირების მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადანწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. მითითებული ნორმის ანა-



ლიზი იძლევა შემდეგი დასკვნის საფუძველსაც: გადანყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადანყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადანყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). ის, მართალია, შესასრულებლად სავალდებულოა ყველა პირისათვის, თუმცა სასამართლო გადანყვეტილებით დადგენილი ამა თუ იმ სამართლებრივი სიკეთის კრედიტორი არის პირი, რომლის სასარგებლოდაცაა გამოტანილი გადანყვეტილება, ხოლო მოვალე – რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული გადანყვეტილება. საყურადღებოა, რომ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სწორედ მოსარჩელე განსაზღვრავს დავის დაწყებისას თუ ვის მიმართ რა მოთხოვნა დააყენოს და სასამართლო სარჩელში მითითებული პირთა წრის გათვალისწინებით იღებს გადანყვეტილებას დავაზე. ზემოაღნიშნული კი განაპირობებს იმას, რომ გადანყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგი უშუალოდ ვრცელდება მხოლოდ გადანყვეტილების სუბიექტურ ფარგლებზე – მის სუბიექტებზე.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ზ. ჯ-ის განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილებით განმარტა გადანყვეტილება და „მოპასუხესთან ერთად მცხოვრები პირები“ განსაზღვრა „მოპასუხის სახელზე რეგისტრირებულ სახლში მცხოვრები პირებით“. საკასაციო პალატა აღნიშნული განმარტების შესწავლის შედეგად ეთანხმება ზ. ჯ-ის არგუმენტს, რომ სააპელაციო პალატის მსჯელობა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან არ გამომდინარეობს, თუმცა ამ ვითარებისა და ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა გადანყვეტილების განმარტების წინაპირობები, პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს. აღნიშნული თავისთავად მონმოზს რ. გ-ის უფლებამონაცვლე მ. გ-ის კერძო საჩივრის ნაწილობრივ საფუძვლიანობას. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა გადანყვეტილების განმარტების საფუძველი, საკასაციო პალატა თვლის, რომ შეფასებას აღარ ექვემდებარება მ. გ-ის კერძო საჩივრის მითითება „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმოზისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლების არარსებობის გამო, კერძო საჩივრების ავტორების მოთხოვნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინების გაუქმების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, ზ. ჯ-ეს უარი უნდა ეთქვას გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. რ. გ-ის უფლებამონაცვლის დადგენის მოთხოვნის ნაწილში ზ. ჯ-ის კერძო საჩივარზე შეწყდეს წარმოება დავის საგნის არარსებობის გამო.

2. ზ. ჯ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

3. რ. გ-ის უფლებამონაცვლე მ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

4. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინება და ზ. ჯ-ეს უარი ეთქვას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტებაზე.

5. კერძო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

6. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# საქმის წარმოების შეწყვეტა

## განჩინება

№ას-994-952-2013

20 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. დ-ის სარჩელი მოპასუხეების: ხ. ბ-ის, ქ. ბ-ის, მ. ბ-ის, გ. ს-ის, დ. ძ-ას, დ. ო-ის, ა. რ-ას, თ. ბ-ის, ა. კ-ის, გ. ხ-ის, თ. ნ-ის, ზ. გ-ის მიმართ განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების თაობაზე.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით მ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ნოემბრის განჩინებით მ. დ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

2013 წლის 18 ნოემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა კასატორმა და მიუთითა, რომ სურს საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. 2013 წლის 20 ნოემბერს, სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი სატელეფონო შეტყობინებით, კასატორმა დააზუსტა მოთხოვნა და მიუთითა, რომ უარს ამბობს საკასაციო საჩივარზე და ითხოვს საქმის წარმოე-

ბის შეწყვეტას.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. დ-ის განცხადება საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მ. დ-ემ უარი თქვა საკასაციო საჩივარზე, უნდა შეწყდეს საკასაციო საქმის წარმოება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49.2 და 49.4 მუხლის შესაბამისად, კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 500 ლარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 401-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. მ. დ-ის შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. მ. დ-ის საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება.
3. კასატორ მ. დ-ეს (პირადი №...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე ნ. დ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (გადახდის თარიღი – 2013 წლის 5 ნოემბერი, საგადახდო დავალება № 2) – 500 ლარი;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მორიგება

### განჩინება

№ას-516-490-2011

15 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**განმცხადებლის მოთხოვნა:** იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმება

### აღწერილობითი ნაწილი:

ფ. ძ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ვ. რ-ის მიმართ და მოითხოვა, მის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული და მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში მდებარე უძრავი ქონების, იძულებით აუქციონზე რეალიზაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით ფ. ძ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინებით ფ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფ. დ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ვ. რ-ის წარმომადგენელ ი. ჯ-ისა და ფ. დ-ის შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდა.

ვ. რ-სა და ფ. დ-ს შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობით:

1. ვ. რ-ი კისრულობს ვალდებულებას 2012 წლის 1 მაისამდე გადაუხადოს ფ. დ-ს 12000 ევრო;

2. ფ. დ-ი კისრულობს ვალდებულებას 12000 ევროს ვ. რ-ის მიერ გადახდის შემდეგ ორი დღის ვადაში გააუქმოს იპოთეკა და ყადაღა ვ. რ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაზე მდებარე ქ.თბილისში ბ-ის ქ. №65-ში.

3. ამავე განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება ფ. დ-სა და ვ. რ-ს შორის იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ; გაუქმდა მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები; სარჩელის უზრუნველყოფის ღონიძიება – ყადაღა, ძალაში დარჩა მორიგების პირობების შესრულებამდე (ვ. რ-ის მიერ ფ. დ-ის სასარგებლოდ 12000 ევროს გადახდამდე).

2012 წლის 4 მაისს, ვ. რ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ბ-ის ქ. №65-ში) ყადაღისაგან გათავისუფლება. განმცხადებელმა აღნიშნულ განცხადებას თან დაურთო ხელწერილი, რომელსაც ხელს აწერდა ფ. დ-ის წარმომადგენელი ხ. დ-ი და უთითებდა, რომ, ვინაიდან, ვ. რ-მა შეასრულა მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობა, მას და მის მარწმუნებელს ვ. რ-ის მიმართ პრეტენზია აღარ გააჩნდათ. გარდა ამისა, ვ. რ-მა განცხადებას თან დაურთო თანხის ჩარიცხვის ქვითარი (ასლი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მაისის განჩინებით:

1. ვ. რ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონიძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა;

2. ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მოიხსნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის

16 სექტემბრის განჩინებით დადებული ყადაღა.

2014 წლის 6 ნოემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ვ. რ-მა წარმოადგინა განცხადება, რომლითაც მოითხოვა ქ.თბილისში, ბ-ის ქ.65-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე არსებული იპოთეკის გაუქმება.

განცხადება დასაბუთებულია იმით, რომ განმცხადებელმა ჯეროვნად შეასრულა უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 სექტემბრის განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტით მის მიერ ნაკისრი ვალდებულება – ფ. ძ-ს გადაუხადა 12000 ევრო. მორიგების აქტის მიხედვით, თანხის გადახდიდან 2 დღის ვადაში უნდა გაუქმებულიყო მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე იპოთეკაც და ყადაღაც, თუმცა იპოთეკა დღემდე არ გაუქმებულა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის მიერ მორიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ფაქტს ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის განჩინება, მაგრამ, ვინაიდან ამ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს მითითებას იპოთეკის გაუქმების შესახებ, საჯარო რეესტრმა უარი თქვა მის გაუქმებაზე.

აღნიშნული განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების ასლები ორჯერ გაეგზავნა მონინალმდეგე მხარეს – ფ. ძ-ს მის მიერ მითითებულ მისამართზე (ქ.თბილისი, ა-ის 7, ბინა 26), თუმცა მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა, კერძოდ, პირველ შემთხვევაში გზავნილის ჩაუბარებლობის მიზეზად კურიერის მიერ შედგენილ აქტში მითითებულია, რომ სახლში არავინ იმყოფებოდა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებულია ის გარემოება, რომ ადრესატი წელიწადზე მეტია, რაც საზღვარგარეთ იმყოფება. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და ამავე კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო გზავნილი ფ. ძ-ისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს წარმოდგენილი განცხადება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, ვ. რ-ის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ვ. რ-სა და ფ. ძ-ს შორის დამტკიცდა მო-

რიგება შემდეგი პირობით:

1. ვ. რ-ი კისრულობს ვალდებულებას 2012 წლის 1 მაისამდე გადაუხადოს ფ. დ-ს 12000 ევრო;

2. ფ. დ-ი კისრულობს ვალდებულებას 12000 ევროს ვ. რ-ის მიერ გადახდის შემდეგ ორი დღის ვადაში გააუქმოს იპოთეკა და ყადაღა ვ. რ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაზე მდებარე ქ.თბილისში ბ-ის ქ. №65-ში.

ამდენად, ზემოხსენებული მორიგების აქტის მიხედვით, ფ. დ-ის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ვ. რ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული ყადაღისა და იპოთეკის გაუქმების წინაპირობას წარმოადგენდა ვ. რ-ის მიერ ფ. დ-ისათვის 12000 ევროს გადახდა 2012 წლის 1 მაისამდე.

იპოთეკა აქცესორული უფლებაა. იგი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ მოთხოვნასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც ის გამოიყენება. ამიტომ მოთხოვნის გაქარწყლება ან მისი სხვაგვარად შეწყვეტა ავტომატურად იწვევს იპოთეკის გაუქმებას (სკ-ის 288-ე მუხლი).

იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის გაქარწყლება შეიძლება მრავალი საფუძვლით მოხდეს: მოთხოვნის შესრულება, მოთხოვნის ბათილობა, მოთხოვნის შესრულების შეუძლებლობა და სხვა.

სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).

დასახელებული ნორმის მიხედვით, კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულება ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოთხოვნის შესრულება იწვევს ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად რეგისტრირებული იპოთეკის გაუქმებას.

მოცემულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მორიგების აქტის მიხედვით, მოთხოვნის კრედიტორი (იპოთეკარი) არის ფ. დ-ი, ხოლო მოვალე – ვ. რ-ი. ეს უკანასკნელი არის ასევე იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრე. მორიგების აქტის მიხედვით, კრედიტორის მოთხოვნას წარმოადგენს 12000 ევრო, რომელიც მოვალეს უნდა გადაეხადა 2012 წლის 1 მაისამდე.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მაისის განჩინებით ყადაღა მოეხსნა ვ. რ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარეს ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №65-ში. მითითებული განჩინებით ყადაღის გაუქმების საფუძველი გახდა



ის გარემოება, რომ ვ. რ-მა შეასრულა მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობა, კერძოდ, ფ. ძ-ს გადაუხადა 12000 ევრო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ვ. რ-მა (მოვალემ) შეასრულა მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება ფ. ძ-ის (კრედიტორის) სასარგებლოდ, რაც ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია. მოთხოვნის შესრულება კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინვესს ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად რეგისტრირებული იპოთეკის გაუქმებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. რ-ის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ვ. რ-ის (P/№.....) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – მდებარე ქ.თბილისი, ბ-ის ქ.№65, ფ. ძ-ის (P/№....) სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკა (მინის/უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №....., იპოთეკის განცხადების რეგისტრაციის ნომერი: ..., თარიღი: 09/06/2009, იპოთეკის უფლების რეგისტრაციის თარიღი: 09/06/2009).

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 399-ე და 284-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. რ-ის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ვ. რ-ის (P/№.....) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – მდებარე ქ.თბილისი, ბ-ის ქ.№65, ფ. ძ-ის (P/№.....) სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკა (მინის/უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №....., იპოთეკის განცხადების რეგისტრაციის ნომერი: ..., თარიღი: 09/06/2009, იპოთეკის უფლების რეგისტრაციის თარიღი: 09/06/2009).
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მორიგება

### ბანკინება

№ას-1224-1169-2013

24 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზა-  
ცია, გარიგების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით:

1. სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

1.1. შპს „ნ+-სს“ სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა  
1537838.86 ლარი. აღნიშნული დავალიანების დაფარვის მიზნით  
სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული მ. ცა-ის (ს.კ.  
...), ზ. მ-ის (ს.კ. ...) და ა.მ-ის (ს.კ. ...) სახელზე რიცხული უძრავი  
ნივთები – მდებარე, თბილისი, ...-ის გამზირი №49ბ;

1.2. სს „ს. ბ-ის“ სარჩელი შპს „ნ+-ის“ მიმართ 1 045 006.13  
ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

1.3. სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-  
ის, მ. კ-ის, გ. გ-სა და ნ. ს-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების  
რეალიზაციის ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

2. ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-სა და ნ.  
ს-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

2.1. 2007 წლის 25 მაისის №708542ა იპოთეკის ხელშეკრუ-  
ლება ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-  
ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-სა და ნ. ს-ის უძრავი ნივთების  
იპოთეკით დატვირთვის ნაწილში;

3. სარჩელი გ. ა-ის, ლ. ლ-სა და დ. ქ-ის მიმართ არ დაკმაყო-  
ფილდა;

4. შპს „ნ+-სს“, მ. ც-ს, ზ. მ-სა და ა. მ-ს დაეკისრათ 2950 ლა-  
რის გადახდა სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ  
გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად;

5. სს „ს. ბ-ს“ დაეკისრა 3000 ლარის გადახდა ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის,

ი. თ-ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-სა და ნ. ს-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელთა მიერ შეგებებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა სს „ს. ბ-მა“, რომელმაც მოითხოვა ამ გადაწყვეტილების 1.3, მე-2, მე-3 (დ. ქ-ის ნაწილში) და მე-5 პუნქტების გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. ბ-მა“, რომელიც მოითხოვს ამ განჩინებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმებას, რომლითაც: 1. სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-სა და ნ. ს-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების რეალიზაციის ნაწილში არ დაკმაყოფილდა (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.3 პუნქტი); 2. შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და 2007 წლის 25 მაისის №708542ა იპოთეკის ხელშეკრულება ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-სა და ნ. ს-ის უძრავი ნივთების იპოთეკით დატვირთვის ნაწილში (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-2.1 პუნქტები); 3. სს „ს. ბ-ს“ დაეკისრა 3000 ლარის გადახდა ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-სა და ნ. ს-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელთა მიერ შეგებებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი). კასატორი მოითხოვს მითითებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებასა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 იანვრის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

2014 წლის 10 თებერვალს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა კასატორის წარმომადგენელმა, რომელმაც წარმოადგინა სანოტარო წესით დამოწმებული მორიგების აქტი, მოითხოვა მორიგების დამტკიცება და საქმის წარმოების

შენწყვეტა.

2014 წლის 6 თებერვლის შეთანხმება მორიგების შესახებ (შემდგენი – შეთანხმება) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

1. სს „ს. ბ-ი“, ს.ნ.:204378869, მისამართი: ქ.თბილისი, გ-ის ქუჩა №29ა;

2. ქ. ჩ-ე (პ/№...); ნ. ლ-ე (პ/№...); ი. რ-ა (პ/№...); ვ. ჭ-ა (პ/№...); ნ. რ-ე (პ/№...); მ. კ-ე (პ/№...); გ. გ-ა (პ/№...); ნ. ს-ე (პ/№...).

ზემოაღნიშნული შეთანხმებით:

1. მხარეები აღიარებენ და ადასტურებენ, რომ:

1.1. სს „ს. ბ-ს“ და მსესხებელ – შპს „ნ+-ს (ს/ ...) შორის 2007 წლის 25 მაისს გაფორმებული იქნა საკრედიტო ხაზით მომსახურების @№708542 ხელშეკრულება. აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად სს „ს. ბ-ა“ და ი.ბ.ა. „ჩ-ს“ შორის 2007 წლის 25 მაისს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება №708542ა, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა ი.ბ.ა. „ჩ-ის“ საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება, მინის ნაკვეთი მდებარე: თბილისი, ი.ჭ-ის გამზირი №49ბ.

1.2. სს „ს. ბ-ის“ მიერ სარჩელი იქნა აღძრული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შპს „ნ+-ის და იპოთეკის საგნის მესაკუთრეების მიმართ დავალიანების გადახდის დაკისრებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით. იპოთეკის საგნის მესაკუთრეების ნაწილის მიერ ბანკის სარჩელზე შემოტანილ იქნა შეგებებული სარჩელი – იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნით;

1.2.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის №4675-12 გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სს „ს. ბ-ის“ სარჩელი:

ა) შპს „ნ+-ს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების – 1 537 838,86 ლარის გადახდა. აღნიშნული დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული მ.ა. ცა-ის, ზ. მ-ის და ა. მ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება მდებარე: თბილისი, ი.ჭ-ის გამზირი №49ბ.

ბ) სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნა ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. რ-ას (ი. თ-ის უფლებამონაცვლე), ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-ას და ნ. ს-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების რეალიზაციის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

გ) ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. რ-ას (ი. თ-ის უფლებამონაცვლე), ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-ას და ნ. ს-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 25 მაისის №708542-ა იპოთეკის ხელშეკრულება – ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-ის,

ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-ას და ნ. ს-ის უძრავი ნივთის იპოთეკით დაიტვირთვის ნაწილში.

1.2.2. სს „ს. ბ-ის“ მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის №4675-12 გადაწყვეტილება იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 ოქტომბრის №2ბ/503-13 განჩინებით უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 ოქტომბრის №2ბ/503-13 განჩინება, საკასაციო წესით გასაჩივრებული იქნა სს „ს. ბ-ის“ მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ:

2.1. ქ. ჩ-ე, ნ. ლ-ე, ი. რ-ა (ი. თ-ის უფლებამონაცვლე), ვ. ჭ-ა, ნ. რ-ე, მ. კ-ე, გ. გ-ა და ნ. ს-ე აცხადებენ თანხმობას მასზედ, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში 5000 აშშ დოლარით იქნება შემცირებული შპს „ნ+“-ის საკრედიტო ვალდებულება, გამომდინარე 2007 წლის 25 მაისის საკრედიტო ხაზით მომსახურების №708542 ხელშეკრულებიდან;

2.2. სს „ს. ბ-ი“ თანხმება 2.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემთხვევაში, გასცეს წერილი იპოთეკის რეგისტრაციის შეწყვეტის თაობაზე: ქ. ჩ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...; №...); ნ. ლ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...; №...); ვ. ჭ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № ...); ნ. რ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...); მ. კ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...); გ. გ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...; №...); ნ. ს-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...); ი. რ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...);

2.3. მხარეები ადასტურებენ და გამობატავენ ნებას მასზე, რომ წინამდებარე შეთანხმება წარდგენილი იქნას დასამტკიცებლად საქართველოს უზენაეს სასამართლოში;

2.4. ქ. ჩ-ე, ნ. ლ-ე, ი. რ-ა (ი. თ-ის უფლებამონაცვლე); ვ. ჭ-ა, ნ. რ-ე, მ. კ-ე, გ. გ-ა და ნ. ს-ე ადასტურებენ, რომ არანაირი პრეტენზია (მოთხოვნა) ბანკის მიმართ (გამომდინარე სს „ს. ბ-სა“ და შპს „ნ+“-ს შორის გაფორმებული №708542 საკრედიტო ხელშეკრულებიდან და, ასევე, გამომდინარე სს „ს. ბ-სა“ და იბა „ჩ-ს“ შორის გაფორმებული №... იპოთეკის ხელშეკრულებიდან, ან/

და ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა გარიგებიდან გამომდინარე) არ გააჩნიათ. თავის მხრივ, სს „ს. ბ-ი“ ადასტურებს, რომ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდგომ, არ ექნება რაიმე პრეტენზია აღნიშნული პირების მიმართ სს „ს. ბ-სა“ და შპს „ნა“-ს შორის გაფორმებული №... საკრედიტო ხელშეკრულებიდან და სს „ს. ბ-სა“ და იბა „ჩ-ს“ შორის გაფორმებული №... იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე;

2.5. ქ. ჩ-ე, ნ. ლ-ე, ი. რ-ა (ი. თ-ის უფლებამონაცვლე), ვ. ჭ-ა, ნ. რ-ე, მ. კ-ე, გ. გ-ა და ნ. ს-ე ადასტურებენ, რომ წინამდებარე შეთანხმება სრულად შეესაბამება მათ ნებას და ადგილი არ ჰქონია სს „ს. ბ-ის“ ან/და მესამე პირების მხრიდან რაიმე სახის მოტყუებას ან/და იძულებას;

2.6. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის (ამოქმედდება) მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარ-

ჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეები მორიგდნენ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების ეტაპზე, ამიტომ კასატორ სს „ს. ბ-ს“ სრულად უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8 000 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დაკმაყოფილდეს კასატორის შუამდგომლობა და დამტკიცდეს, ერთის მხრივ, სს „ს. ბ-სა“ და, მეორეს მხრივ, ქ. ჩ-ეს (პ/№...); ნ. ლ-ეს (პ/№...); ი. რ-ას (პ/№...); ვ. ჭ-ას (პ/№...); ნ. რ-ეს (პ/№...); მ. კ-ეს (პ/№...); გ. გ-ას, (პ/№...) შორის 2014 წლის 6 თებერვალს დადებული შეთანხმება (მორიგების აქტი) შემდეგი პირობებით:

1. ქ. ჩ-ე, ნ. ლ-ე, ი. რ-ა (ი. თ-ის უფლებამონაცვლე), ვ. ჭ-ა, ნ. რ-ე, მ. კ-ე, გ. გ-ა და ნ. ს-ე აცხადებენ თანხმობას მასზედ, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში 5000 აშშ დოლარით იქნება შემცირებული შპს „ნ+“-ის საკრედიტო ვალდებულება, გამომდინარე 2007 წლის 25 მაისის საკრედიტო ხაზით მომსახურების №708542 ხელშეკრულებიდან;

2. სს „ს. ბ-ი“ თანახმაა 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემთხვევაში, გასცეს წერილი იპოთეკის რეგისტრაციის შეწყვეტის თაობაზე: ქ. ჩ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...; №...); ნ. ლ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...; №...); ვ. ჭ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № ...); ნ. რ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...); მ. კ-ის საკუთრებაში არსე-

ბულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...); გ. გ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...; №...); ნ. ს-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...); ი. რ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...);

3. მხარეები ადასტურებენ და გამოხატავენ ნებას მასზედ, რომ წინამდებარე შეთანხმება წარდგენილი იქნას დასამტკიცებლად საქართველოს უზენაეს სასამართლოში;

4. ქ. ჩ-ე, ნ. ლ-ე, ი. რ-ა (ი. თ-ის უფლებამონაცვლე); ვ. ჭ-ა, ნ. რ-ე, მ. კ-ე, გ. გ-ა და ნ. ს-ე ადასტურებენ, რომ არანაირი პრეტენზია (მოთხოვნა) ბანკის მიმართ (გამომდინარე სს „ს. ბ-სა“ და შპს „ნ+“-ს შორის გაფორმებული №708542 საკრედიტო ხელშეკრულებიდან და, ასევე, გამომდინარე სს „ს. ბ-სა“ და იბა „ჩ-ს“ შორის გაფორმებული №708542ა იპოთეკის ხელშეკრულებიდან, ან/და ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა გარიგებიდან გამომდინარე) არ გააჩნიათ. თავის მხრივ, სს „ს. ბ-ი“ ადასტურებს, რომ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდგომ, არ ექნება რაიმე პრეტენზია აღნიშნული პირების მიმართ სს „ს. ბ-სა“ და შპს „ნ+“-ს შორის გაფორმებული №708542 საკრედიტო ხელშეკრულებიდან და სს „ს. ბ-სა“ და იბა „ჩ-ს“ შორის გაფორმებული №798542ა იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე;

5. ქ. ჩ-ე, ნ. ლ-ე, ი. რ-ა (ი. თ-ის უფლებამონაცვლე); ვ. ჭ-ა, ნ. რ-ე, მ. კ-ე, გ. გ-ა და ნ. ს-ე ადასტურებენ, რომ წინამდებარე შეთანხმება სრულად შეესაბამება მათ ნებას და ადგილი არ ჰქონია სს „ს. ბ-ის“ ან/და მესამე პირების მხრიდან რაიმე სახის მოტყუებას ან/და იძულებას;

6. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის (ამოქმედდება) მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან;

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ოქტომბრის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.3 პუნქტი, მე-2 პუნქტი, მე-2.1 პუნქტი, მე-5 პუნქტი და ამ ნაწილში შეწყდეს საქმის წარმოება;

III. განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება;

IV. სს „ს. ბ-ს“ დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (გადახდის თარიღი – 2013 წლის



27 დეკემბერი, საგადახდო დავალება №1089) – 8 000 ლარი;  
V. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-  
ჩივრდება.

## მორიგება

### განჩინება

№ას-520-493-2014

4 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ნ. ა. ჯემ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის 233226,42 ლარის გადახდის დაკისრება, ასევე პირგასამტეხლოს – 30522 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 27987 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ნ. ა. ჯე-ს“ სარჩელი ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ის“ მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს „ნ. ა. ჯე-ს“ სარჩელი ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ის“ მიმართ 233 226.42 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ს“ შპს „ნ. ა. ჯე-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 113 943. 81 ლარის გადახდა. შპს „ნ. ა. ჯე-ს“ სარჩელი ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ის“ მიმართ 30 522 ლარის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ს“ შპს „ნ. ა. ჯე“-ს სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 11 394.38 ლარის ოდენობით. შპს „ნ. ა. ჯე-ს“ სარჩელი ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ისათვის“ მიუღებელი შემოსავლის ასანაზღაურებლად 27 987 ლა-

რის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ნ. ა. ჯემ“ და მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია მოპასუხე ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ს“, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში იგი შევიდა კანონიერ ძალაში და აღსრულდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ნ. ა. ჯეს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. შპს „ნ. ა. ჯეს“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ს“ შპს „ნ. ა. ჯეს“ სასარგებლოდ დაეკისრა 77 650 ლარისა და პირგასამტეხლოს 7 765 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ „თ. გ. ფ-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 მაისის განჩინებით ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმობაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

2014 წლის 25 ნოემბერს ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ის“ წარმომადგენელმა ს. ს-მა და შპს „ნ. ა. ჯეს“ დირექტორმა დ. ფ-მ წარმომადგინეს მორიგების აქტი და მოითხოვეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ი იღებს ვალდებულებას:

1.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის (საქმის №2ბ/6398-13) გადაწყვეტილებით შპს „ნ. ა. ჯეს“ სასარგებლოდ დაკისრებული 77650 ლარიდან და პირგასამტეხლოს 7765 ლარიდან გადაიხადოს 56000 ლარი.

1.2. ა(ა)იპ „თ. გ. ფ-მა“ გადაიხადოს 56000 ლარის, ფონდის დაყვადებულ საბანკო ანგარიშზე (საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ანგ. №GE82BG000000390558000) არსებული თანხის – 85415 ლარიდან.

1.3. ა(ა)იპ „თ. გ. ფ-მა“ გადაიხადოს 56000 ლარი, მას შემდეგ,

რაც შპს „ნ. ა. ჯე“ მოხსნის ყადაღას ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ის (ს/კ: .....) კუთვნილ საბანკო ანგარიშზე (საბანკო რეკვიზიტები: „სს „საქართველოს ბანკი“ ანგ. №GE82BG0000000390558000) განთავსებულ თანხას – 85415 ლარს.

2. შპს „ნ. ა. ჯე“ იღებს ვალდებულებას:

2.2. მხარეთა შორის მორიგების აქტის დამტკიცების შემდეგ არაუგვიანეს 3 დღისა მიმართოს სასამართლოს ყადაღის მოხსნის თაობაზე ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ის (ს/კ: .....) კუთვნილ საბანკო ანგარიშზე (საბანკო რეკვიზიტები: „სს „საქართველოს ბანკი“ ანგ. №GE82BG0000000390558000) განთავსებულ თანხაზე – 85415 ლარზე.

3. დამატებითი დებულებები:

3.1. მხარეები თანხმდებიან, რომ შეასრულებენ წინამდებარე აქტით გათვალისწინებულ ვალდებულებების სრულად, დროულად და კეთილსინდისიერად.

3.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ აღარ წარმოეშვებათ რაიმე მოთხოვნა ერთმანეთის მიმართ, წინამდებარე აქტით გათვალისწინებულ ნებისმიერ და ყველა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს ა(ა)იპ „თ. გ. ფ-სა“ და შპს „ნ. ა. ჯეს“ შორის 2012 წლის 23 მარტს ადგილებული ხელშეკრულება ბოტანიკური ბაღის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესახებ.

3.3. თუ რომელიმე მხარე არ შეასრულებს წინამდებარე მორიგების აქტით ნაკისრ ვალდებულებებს, მას წარმოეშვება ვალდებულება აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი მხარეს, რომელსაც ზიანი მიადგა.

3.4. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე მორიგების აქტში ძალაშია მისი წერილობითი ფორმით არსებობისა და ყველა მხარის ხელმოწერის შემთხვევაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების პირობების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასა-

მართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგ-დნენ.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია მოპასუხე ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ს,“ შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში იგი შევიდა კანონიერ ძალაში და აღსრულდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეები მორიგდნენ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების ეტაპზე, ამიტომ კასატორ ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ს“ სრულად უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 4441,58 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიც-

დეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ი იღებს ვალდებულებას:

1.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის (საქმის №23/6398-13) გადაწყვეტილებით შპს „ნ. ა. ჯეს“ სასარგებლოდ დაკისრებული 77650 ლარიდან და პირგასამტეხლოს 7765 ლარიდან გადაიხადოს 56000 ლარი.

1.2. ა(ა)იპ „თ. გ. ფ-მა“ გადაიხადოს 56000 ლარის, ფონდის დაყადაღებულ საბანკო ანგარიშზე (საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ანგ. №GE82BG000000390558000) არსებული თანხის – 85415 ლარიდან.

1.3. ა(ა)იპ „თ. გ. ფ-მა“ გადაიხადოს 56000 ლარი, მას შემდეგ, რაც შპს „ნ. ა. ჯე“ მოხსნის ყადაღას ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ის (ს/კ: .....) კუთვნილ საბანკო ანგარიშზე (საბანკო რეკვიზიტები: „სს „საქართველოს ბანკი“ ანგ. №GE82BG000000390558000) განთავსებულ თანხას – 85415 ლარს.

2. შპს „ნ. ა. ჯე“ იღებს ვალდებულებას:

2.2. მხარეთა შორის მორიგების აქტის დამტკიცების შემდეგ არაუგვიანეს 3 დღისა მიმართოს სასამართლოს ყადაღის მოხსნის თაობაზე ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ის (ს/კ: ....) კუთვნილ საბანკო ანგარიშზე (საბანკო რეკვიზიტები: „სს „საქართველოს ბანკი“ ანგ. №GE82BG000000390558000) განთავსებულ თანხაზე – 85415 ლარზე.

3. დამატებითი დებულებები:

3.1. მხარეები თანხმდებიან, რომ შეასრულებენ წინამდებარე აქტით გათვალისწინებულ ვალდებულების სრულად, დროულად და კეთილსინდისიერად.

3.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ აღარ წარმოეშვებათ რაიმე მოთხოვნა ერთმანეთის მიმართ, წინამდებარე აქტით გათვალისწინებულ ნებისმიერ და ყველა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს ა(ა)იპ „თ. გ. ფ-სა“ და შპს „ნ. ა. ჯეს“ შორის 2012 წლის 23 მარტს დადებული ხელშეკრულება ბოტანიკური ბაღის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესახებ.

3.3. თუ რომელიმე მხარე არ შეასრულებს წინამდებარე მორიგების აქტით ნაკისრ ვალდებულებებს, მას წარმოეშვება ვალდებულება აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი მხარეს, რომელსაც ზიანი მიადგა.

3.4. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე მორიგების აქტში ძალაშია მისი წერილობითი ფორმით არსებობი-

სა და ყველა მხარის ხელმოწერის შემთხვევაში.

2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;

4. კასატორ ა(ა)იპ „თ. გ. ფ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №.....) დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე 2014 წლის 20 მაისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 4441,58 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები**

### **განჩინება**

№ას-1093-1041-2013

9 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სამკვიდროს მესაკუთრედ ცნობა, გარიგების ბათილად ცნობა, ქონებიდან რეალური წილის გამოყოფა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. გ-სა და ლ. პ-ის მიმართ სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობის, გარიგების ბათილად ცნობისა და ქონებიდან რეალური წილის გამოყოფის

მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ითხოვეს.

თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ლ. მ-ი ცნობილ იქნა ან გარდაცვლ. მამის – ვ. გ-ის სამკვიდროს – 3220,04 კვ.მ მიწის ნაკვეთის 1/3-ის, 7184,99 კვ.მ მიწის ნაკვეთის 1/3-ის, 0,17 ჰა მიწის ნაკვეთის 1/3-ის, 1870,4 კვ.მ სამკვიდრო ეზოს მიწის ნაკვეთის 1/3-ისა და 185,8 კვ.მ საცხოვრებელი სახლის 1/3-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ, ბათილად იქნა ცნობილი გ. გ-სა და ლ. პ-ს შორის 2008 წლის 5 დეკემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ კ-ი მდებარე 1870,4 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთსა და 185,8 კვ.მ საერთო ფართის შენობაზე დადებული ყიდვა-გაყიდვის გარიგება და შესაბამისი ცვლილება შევიდა საჯარო რეესტრში, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ლ. მ-ის სარჩელი რეალური წილის გამოყოფის მოთხოვნის ნაწილში.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. გ-მა და ლ. პ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით გ. გ-სა და ლ. პ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ლ. მ-ი ცნობილ იქნა ან გარდაცვლ. მამის – ვ. გ-ის სამკვიდრო ქონების – 3220,04 კვ.მ მიწის ნაკვეთის 1/6-ის, 7184,99 კვ.მ მიწის ნაკვეთის 1/6-ის, 0,17 ჰა მიწის ნაკვეთის 1/6-ის, 1870,4 კვ.მ სამკვიდრო ეზოს მიწის ნაკვეთის 1/6-ისა და 185,8 კვ.მ საცხოვრებელი სახლის 1/6-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ, ამავე გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი გ. გ-სა და ლ. პ-ს შორის 2008 წლის 5 დეკემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ კ-ი მდებარე 1870,4 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთსა და 185,8 კვ.მ საერთო ფართის შენობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ქონების 1/6 ნაწილში და შესაბამისი ცვლილებები შევიდა საჯარო რეესტრის ჩანაწერში, ხოლო რეალური წილის გამოყოფის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ლ. მ-ს ეთქვა უარი.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ლ. მ-მა და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით:

განცხადებაზე დართული საარქივო ცნობებით დგინდება, რომ კომლის უფროსს წარმოადგენდა ვ. გ-ი. კომლი შედგებოდა მისი ცოლისაგან გ. გ-ან და შვილების: ლ. და ლ. გ-ან. შემდგომ საკომლო წიგნში შვილების ჩანაწერი არის გადახაზული, ამასთან, მიზეზი მითითებული არ არის. განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტი სასამართლოს მტკიცებულების სახით არ უნდა გაეზიარებინა და კომლის ქონება მხოლოდ ვ. გ-სა და გ. გ-ის თანასაკუთრებად არ უნდა მიეჩნია, ვინაიდან გურჯაანის არქივიდან გამოთხოვილი მასალებით დასტურდება, რომ არქივში დაცული არ არის ინფორმაცია, თუ რა საფუძვლით იქნა გადასმული ხაზი კომლის წევრებზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ლ. მ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილით და აღნიშნა, რომ განმცხადებლების არგუმენტაცია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო, არ უნდა დაყრდნობოდა, რადგან აღნიშნულ მტკიცებულებასთან (კომლიდან კომლის წევრების ამორიცხვის) ერთად საქმეში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს გადაწყვეტილება (განაჩენი), რაც დღეის მდგომარეობითაც არ იძებნება არქივში, შესაბამისად, სასამართლო მხოლოდ იმ გარემოებას, რომ საკომლო წიგნში კომლის წევრები გადახაზულნი იყვნენ, არ უნდა დაყრდნობოდა შესაბამისი საკრებულოს განაჩენის გარეშე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, პალატამ განმარტა, რომ განცხადებაზე დართული საარქივო ცნობებისა და არქივიდან მოპოვებული დოკუმენტაცია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად ვერ დაედებოდა, ვინაიდან არ აკმაყოფილებდა ამგვარი ფაქტების ახლად აღმოჩენილ გარემოებად კვალიფიკაციისათვის საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, სარწმუნოდ არ დასტურდებოდა საქმის განხილვის დროისათ-



ვის მხარის მიერ აღნიშნული ფაქტების მიუთითებლობისა და მტკიცებულებათა მოპოვების შეუძლებლობა. განმცხადებლის არგუმენტაცია შეეხებოდა არქივიდან მიღებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვების შესაძლებლობა ლ. მ-ს საქმის არსებითად განხილვის დროისათვის ისევე ჰქონდა, როგორც განცხადების წარდგენისას, შესაბამისად, არ დასტურდებოდა მისი ბრალის გამომრიცხველი გარემოებები მტკიცებულებათა მოპოვების შეუძლებლობასთან მიმართებით, უფრო მეტიც, სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, მითითებული არგუმენტები, ფორმალურ საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, გამორიცხავდა განცხადების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, თუმცა, სააპელაციო პალატა საქმის განხილვისას დაეყრდნო არა მხოლოდ ერთ მტკიცებულებას, არამედ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობას, გარდა ამისა, სადავოდ გამხდარი მტკიცებულება – კომლის წევრებზე საკომლო ჩანაწერში ხაზის გადასმის შესახებ დართული ჰქონდა სააპელაციო საჩივარს, რომლის საქმეზე მტკიცებულების სახით დართვაზე მხარეს საერთოდ არ უშუამდგომლია, შესაბამისად, სასამართლო საქმის გადაწყვეტისას დაეყრდნო საქმეში მტკიცებულების სახით დართულ სხვა წერილობით დოკუმენტაციას და არა მითითებულ დოკუმენტს. პალატის შეფასებით, სადავოდ მტკიცებულება სასამართლოს კიდევ რომ საქმისათვის დაერთო და სარწმუნოდ მიეჩნია, ახლად აღმოჩენილი გარემოებით არ დასტურდებოდა მისი უსწორობა, მით უფრო, რომ საქმეში, გარდა მითითებული მტკიცებულებისა, წარმოდგენილი იყო სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა სადავოდ მტკიცებულებით საცილოდ გამხდარ ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ კომლში მხოლოდ ორი წევრი, ვ. გ-ი და გ. გ-ი ირიცხებოდა. აღნიშნული საქმის განხილვის დროისათვის ყურადღება იქნა გამახვილებული ასევე ვ. გ-ის გარდაცვალების თარიღსა და იმ გარემოებაზე, რომ კომლი 1988 წლიდან მუშა-მოსამსახურის ოჯახს წარმოადგენდა, ასევე ვ. გ-სა და გ. გ-ის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტს. შესაბამისად, საქმის მრავალმხრივ გამოკვლევის შედეგად მხარეებმა მიიჩნიეს, რომ მათთვის სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ზეპირსიტყვიერად განმარტებული გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივი და სამართლებრივი მოტივები დამაკმაყოფილებელი იყო და გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარი განაცხადეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ ლ. მ-ის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა ახ-

ლად აღმოჩენილ გარემოებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არ არსებობდა განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. მ-მა, მოითხოვა ამ განჩინების, ასევე საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატის განჩინება არასწორია და უნდა გაუქმდეს, რადგანაც საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების თანახმად, ვ. გ-ის კომლი 4 პირისაგან: თავად ვ.მ-ის, მეუღლისა და 2 შვილისაგან შედგება. საკომლო წიგნში შვილების თაობაზე არსებულ ჩანაწერზე გადასმულია ხაზი და არ არის დადგენილი ხაზის გადასმის საფუძველი, მაშინ, როდესაც კომლის გაუქმება და მასში ცვლილების შეტანა მხოლოდ შესაბამისი საფუძვლის არსებობისას არის შესაძლებელი, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, დაცული არაა, აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს დადგენილად უნდა მიეჩნია, რომ კომლის გაუქმების მომენტისათვის კომლი 4 პირისგან შედგებოდა და ქონებაც 4 პირისათვის უნდა ყოფილიყო გადაცემული თანასაკუთრებაში. სააპელაციო პალატამ განცხადების ზემოაღნიშნული არგუმენტაციის მიუხედავად განმარტა, რომ ლ. მ-ს არ დაუხაზუბუთებია ამ ფაქტების საქმის განხილვის დროისათვის მითითების შეუძლებლობის შესახებ, რაც არასწორია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მტკიცებულებებზე, რომლებზე დაყრდნობითაც მიღებულია გადაწყვეტილება, ეს მტკიცებულებები კი, ადასტურებს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაში მითითებულ ფაქტებს, დამატებით, განმცხადებელმა მოიპოვა მტკიცებულება, რაც ამ ფაქტებს განამყარებს. პალატამ ასევე განმარტა, რომ აღნიშნული მტკიცებულებები სააპელაციო საჩივარს ერთვოდა, თუმცა მხარეს მათი საქმისათვის დართვის თაობაზე არ უშუამდგომლია და არც სასამართლოს მიერ ყოფილა გაზიარებული ისინი. სასამართლომ გვერდი აუარა იმ გარემოებას, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი განმცხადებელი არ ყოფილა, ამასთანავე, ლ. მ-ის განცხადებას ერთვოდა მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ კომლიდან შვილების ამოწერის საფუძველი ბუნებაში არ მოიპოვებოდა და კომლის გაუქმების დროისათვის ისინი კვლავ კომლის წევრებს წარმოადგენდნენ, სწორედ ეს მტკიცებულება წარმოადგენდა ახალ მტკიცებულებას და აღნიშნული განაპირობებდა საკუთრების უფლების თანაბრად განაწილებას კომლის წევ-

რებზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1988 წლიდან სადავო კომლი მუშა-მოსამსახურის ოჯახად გარდაიქმნა, რის გამოც სასამართლოს უნდა დაედგინა ის ფაქტობრივი გარემოებაც, თუ ვინ ითვლებოდა კომლის წევრად თუნდაც ამ მომენტისათვის, აქედან გამომდინარე, კომლის ქონება საკუთრებაში სწორედ 4 წევრს უნდა გადასცემოდა. გარდა აღნიშნულისა, პალატამ მიუთითა თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, თუმცა არ გაითვალისწინა ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ მინა ისედაც კომლის საკუთრებას წარმოადგენდა და კომისიის გადაწყვეტილების არსებობა აღარ იყო საჭირო, კომისიას შეეძლო საკუთრებაში მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნილი მიწის გადაცემა, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ლ. მ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მოცემული დავის საგანზე. სარჩელის თანახმად, ლ. მ-ის მოთხოვნას წარმოადგენს სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობა, ამ ქონებაზე მოპასუხეებს შორის დადებული გარიგების ბათილად ცნობა და ქონებიდან რეალური წილის გამოყოფა.

მხარეებს საკომლო ჩანაწერის ნამდვილობა სადავოდ არ გაუხდიათ.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2011 წლის 19 აპრილის სხდომაზე, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მხარეებმა უარი განაცხადეს მის გასაჩივრებაზე და მოითხოვეს მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. აღნიშნული გარემოება დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით.

განსახილველ შემთხვევაში, ლ. მ-ის საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ საარქივო ცნობის თანახმად, არ არსებობს საკომლო ჩანაწერში ლ. მ-სა და ლ. პ-ის თაობაზე არსებულ ჩანაწერზე ხაზის გადასმის ნამდვილობის დამადასტურებელი მტკიცებულება და ეს გარემოება გავლენას იქონიებს მხარეთა შორის ქონების განაწილების პროცენტულ მაჩვენებელზე, სააპელაციო პალატამ კი არასწორად არ მიიჩნია აღნიშნული ახლად აღმოჩენილ გარემოებად.

მხარის ამ პრეტენზიის მართებულობის შემოწმების მიზნით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. ახლად აღმოჩენილ გარემოებად კანონმდებელი მიიჩნევს შემდეგს:

ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;

ბ) დადგენილია მონმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება;

გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;

ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მი-

მართ;

ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას;

ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს (სსსკ 423.1 მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ახალი გარემოების შეტყობისა თუ ახალი მტკიცებულების მოპოვების საფუძველით საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა ნებისმიერ, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ამდენად, განმცხადებელი, რომელიც მოითხოვს საქმის წარმოების განახლებას, ვალდებულია, ამტკიცოს და სარწმუნოდ დაადასტუროს, როგორც მტკიცებულების სათანადოობა – რომ ამ მტკიცებულების საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე წარდგენით მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღება იქნებოდა შესაძლებელი, ისე მისი არაბრალეულობა ამ მტკიცებულების მანამდე მოპოვების შეუძლებლობის თაობაზე.

ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ განცხადებაზე დართული მტკიცებულების ახლად აღმოჩენილ გარემოებად კვალიფიკაციის წინაპირობები არ არსებობს, სასამართლომ სავსებით სამართლიანად ჩათვალა, რომ მხარეს ამ მტკიცებულების მოპოვება – არქივისათვის მიმართვის შესაძლებლობა, საქმის განხილვის ეტაპზეც გააჩნდა, ამასთანავე, საყურადღებოა ის გარემოება, რომ დავის საგანს საკომლო წიგნის ჩანაწერის ნამდვილობა არ წარმოადგენდა.

თავის მხრივ, საკასაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ თავად კერძო საჩივარში მხარე განმარტავს შემდეგს: სასამართლომ მიუთითა მტკიცებულებებზე, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღო გადაწყვეტილება, „ამასთან, აღნიშნული

მტკიცებულებები სწორედ რომ იმ ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებენ რაზეც ზემოთ მოგახსენეთ“, კერძო საჩივრის ავტორი დასძენს, რომ მის მიერ დამატებით მოპოვებულ იქნა მტკიცებულებები, რომლებიც განცხადებაში მითითებულ გარემოებებს ადასტურებენ. კერძო საჩივრის ამ არგუმენტაციის სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ხელწერილზე, რომლითაც მხარეებმა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარი განაცხადეს და მოითხოვეს მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის გამოტანა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეები მოითხოვენ გადაწყვეტილებას დასაბუთების გარეშე იმ მოტივით, რომ ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, სასამართლოს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით. მოსამართლე ეკითხება მხარეებს, სურთ თუ არა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და ასაჩივრებენ თუ არა მოცემულ გადაწყვეტილებას. თუ მხარეები უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, მათ ასეთი განცხადება უნდა დაადასტურონ თავიანთი ხელმოწერებით. კანონის აღნიშნული დანაწესი განპირობებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფუნდამენტური პრინციპით – დისპოზიციურობის პრინციპით, რომელიც საქმის განხილვის ეტაპზე უპირატესობას ანიჭებს მხარის ნებას, თუ ის არ ეთანხმება გადაწყვეტილების ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ დასაბუთებას, გაასაჩივროს იგი ზემდგომი წესით. ისეთ ვითარებაში კი, როდესაც მხარე უარს აცხადებს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, იმ საფუძვლით რომ ეთანხმება მას, ამის შემდგომ კი, მოითხოვს საქმის წარმოების განახლებას და სადავოდ ხდის სასამართლოს მსჯელობას მტკიცებულებათა გამოკვლევის თაობაზე (როგორც კერძო საჩივრითაა განმარტებული, სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით სწორედ საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებაში მითითებული გარემოებები დასტურდება და მან დამატებით მოიპოვა მტკიცებულებები), საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება მიმართულია არა გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების, არამედ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომი წესით გასაჩივრებაზე, რაც, მოცემულ შემთხვევაში, დაუშვებელია.

საკასაციო პალატა მიზანშეწონილად თვლის, განმარტოს შემდეგი: სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი ფუნქციური დატვირთვით, ქვეყნის სახელით გამოტანილი მართლმსაჯულე-

ბის აქტია, რომლის უმთავრესი ამოცანა ამ გადაწყვეტილებით დადასტურებული ურთიერთობის რეალურად არსებობაა. სასამართლო გადაწყვეტილება, ობიექტური და სუბიექტური ფარგლების გათვალისწინებით, კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, სავალდებულოა როგორც მოდავე მხარეთათვის, ისე ნებისმიერი სხვა პირისათვის, რომელთაც ერთმევათ უფლება, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სამართლებრივი შედეგი კვლავ გახადონ სადავო (სსსკ მე-10 მუხლი, XXVIII თავი), ერთადერთი საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც დასრულებული საქმის წარმოება შესაძლოა განახლდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების გზით, გათვალისწინებულია ამავე კოდექსის მე-14 კარით და აღნიშნული, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ მართლმსაჯულების სხვა აქტის შემდგომი გასაჩივრების შესაძლებლობას, არამედ მიმართულია მხარის უფლებაზე, კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევების არსებობისას, როდესაც საქმის წარმოების განახლების საფუძველი მისთვის ობიექტურად იყო უცნობი საქმის წარმოების დასრულებამდე, არ აღმოჩნდეს არათანაბარ მდგომარეობაში, თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებული ამ საგამონაკლისო რეგულაციით არ უნდა შეილახოს მართლმსაჯულების სტაბილური როლი.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ მიღებული გადაწყვეტილება ემყარება საქმეში არსებული მტკიცებულებების კვლევას და მხარეთა უარი ამ გადაწყვეტილების გაუქმებაზე, მათთვის ზეპირსიტყვიერად განმარტებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთების გაზიარებით იყო განპირობებული, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად განმარტა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები ახლად აღმოჩენილ გარემოებას არ წარმოადგენდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ აღმოჩნდება, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ლ. მ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობებს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ლ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის  
წარმოების განახლების საფუძვლები**

**განჩინება**

№ას-1080-1031-2013

8 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სარჩელი დაკმაყოფილდა, დაუსაბუთებლად და უკანონოდ იქნა ცნობილი ე. კ-ის ნათესავეებისა და მასთან დაკავშირებული პირების მფლობელობაში არსებული, მათ შორის, ო. მ-ის, როგორც ე. კ-თან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებული ქონება, კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გ-ში მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით



(სარეგისტრაციო ზონა – ხელვაჩაური, სექტორი – გ-ო, კვარტლის №01, ნაკვეთი №144, ფართობი – 1000 კვ.მ უფლება – კერძო საკუთრება). აღნიშნული ქონება ჩამოერთვა მოპასუხეს და გადაეცა სახელმწიფოს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება 2009 წლის 12 ივნისს სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. მ-მ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც დადგინდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გ-ში მდებარე მისი უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით ო. მ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, შესაბამისად, განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინებით ო.მ-ის კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო.

2013 წლის 31 ივლისს ო. მ-მ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების თაობაზე, რომლითაც განმცხადებელს სხვა პირებთან ერთად ჩამოერთვა ქონება და გადაეცა სახელმწიფოს, ო. მ-ისათვის ცნობილი გახდა 2009 წლის 3 ივნისს, ხოლო გადაწყვეტილება მას ჩაბარდა 2009 წლის 4 ივნისს რომელიც სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2009 წლის 12 ივნისს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გასვლის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ ო. მ-ს გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება ვერ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ იგი მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობდა და გადასული იყო სხვა მისამართზე, ანუ სასამართლომ ჩათვალა, რომ ო. მ-ს გადაწყვეტილება გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე, მაგრამ არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ იგი მითითებული მისამართიდან – ბათუმი, თ-ის ქ.№14-დან გადასულია. ო.მ-ს სასამართლოსათვის წარდგენილი აქვს სამი დოკუმენტი იმის დასტურად, რომ მას არასდროს არ უცხოვრია ბათუმში თ-ის ქ.№14-ში, რომელიც სასამართლომ მიიჩნია მის მისამართად, სწორედ ამას ადასტურებს მის მიერ ამჟამად მოპოვებული მტკიცებუ-

ლებები.

ამასთანავე, განმცხადებელმა მიუთითა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის წერილზე, რომლის თანახმადაც მოცემულ საქმეზე სისხლის სამართლებრივი დევნა ამ ეტაპზე არც ერთი პირის მიმართ არ მიმდინარეობს. ამჟამად საქმის მასალებით არ დგინდება მოქალაქე ო. მ-ის კავშირი (ნათესაური ან რაიმე სხვა სახის, თუნდაც ნაცნობობა) ე. კ-თან, ხოლო რაც შეეხება ამ უკანასკნელის ფინანსურ შესაძლებლობებს, სადავო უძრავი ქონების 2005-2007 წლებში აშენებასთან დაკავშირებით, საქმის მასალების თანახმად, ო. მ-ის ოჯახს გააჩნდა გარკვეული შემოსავალი, რაც შესაძლებელს ხდიდა მოცემული უძრავი ქონების აშენებას.

განმცხადებელმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე, 423-ე, 424-ე, 425-ე, 427-ე, 429-ე, 430-ე, 431-ე მუხლებზე და ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ო. მ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ განმცხადებელი დავობდა იმაზე, რომ მისთვის ცნობილი გახდა და სასამართლოსთვის წარდგენილი ჰქონდა სამი დოკუმენტი იმის დასტურად, რომ მას არასდროს არ უცხოვრია ქ.ბათუმში თ-ის ქ.№14-ში, რომელიც სასამართლომ მიიჩნია მის მისამართად და რაც საფუძვლად დაედო სასამართლოს დასკვნას, რომ აპელანტმა გაუშვა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. მისამართზე, სადაც სასამართლო უგზავნიდა გადაწყვეტილებას, განმცხადებელს არასდროს უცხოვრია, სწორედ ამას ადასტურებდა მის მიერ ამჟამად მოპოვებული მტკიცებულებები.

პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საქართველოს გენერალური პროკურატურის სარჩელი, უკანონოდ და დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი ე. კ-ისა და მასთან დაკავშირებული პირების (სულ: 11 მოპასუხე) მფლობელობაში არსებული ქონება და გადაეცა სახელმწიფოს, მათ შორის, უკანონოდ და დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი ო. მ-ის, როგორც ე. კ-თან დაკავშირებული პირის ქონება, კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ გ-ში მდებარე

1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობებით. ეს ქონება ჩამოერთვა მოპასუხეს და გადაეცა სახელმწიფოს.

აღნიშნული გადაწყვეტილება, ო. მ-მ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით, იმ მოტივით, რომ გასული იყო სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის კანონით დადგენილი ვადა, დარჩა განუხილველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ო. მ-ის კერძო საჩივარი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინება უცვლელად იქნა დატოვებული.

კერძო საჩივრის წარდგენისას ო. მ-ე აპელირებდა, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი, სადაც მას გაეგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, არასწორად იყო მითითებული. საჩივარზე თანდართული მტკიცებულებებით ცდილობდა დაედასტურებინა, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი იყო ქ.ბათუმი თ-ის ქ.№34. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად ო. მ-მ წარადგინა ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 15 ივნისის №115709 ნერილი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ 2009 წლის 15 ივნისს გაცემული საინფორმაციო ბარათი, რაც საკასაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული და მიუთითა, რომ ო. მ-ს გალისა და გულრიფშის რაიონულ სასამართლოში 2006 წლის 27 სექტემბერს წარდგენილ შესაგებელში თავის საცხოვრებელ ადგილად მითითებული ჰქონდა ქ.ბათუმი თ-ის ქ.№14.

ამდენად, გაზიარებულ იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურის მოსაზრება, რომ განმცხადებლის საცხოვრებელ ადგილად ქ.ბათუმი, თ-ის ქ.№14-სა და არა თ-ის ქ.№34-ის მიწნევის თაობაზე მხარისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2009 წელს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრის წარდგენისას, შესაბამისად, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული მტკიცება იმისა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 30 ივლისის ნერილი წარმოდგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებას, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინებაზე, არამედ ის იყო კიდევ ერთხელ დადასტურება იმ ფაქტისა,

რაც მხარისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2009 წელს.

ასევე გაზიარებულ იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურის მოსაზრება, რომ ო. მ-მ აღნიშნული საფუძვლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოითხოვა გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სადაც ასევე აპელირებდა არასწორად მითითებულ საცხოვრებელ მისამართზე. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინებით მითითებული განცხადება დაუშვებლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული. აღნიშნული განჩინება კი, თავის მხრივ, ძალაში იქნა დატოვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 25 იანვრის განჩინებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით, 423-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიიჩნია, რომ მხარისათვის ამ საფუძვლის არსებობა ცნობილი იყო 2009 წელს, როდესაც მან წარადგინა კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის განჩინებაზე და ასევე განცხადებით მიმართა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს და ამავე საფუძვლით მოითხოვა გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, შესაბამისად, განცხადება უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და უარი ეთქვა ო.მ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ო. მ-მ, რომლითაც მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგი დასაბუთებით:

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაში მითითებულ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება ის გარემოება, რომ ქ.ბათუმში, თ-ის ქ. №14-ში არასოდეს უცხოვრია. 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით სააპელაციო სასამართლომ კი დადგენილად ცნო, რომ ო.მ-ე სწორედ ამ მისამართზე ცხოვრობდა და ამ გარემოებების დასადასტურებლად დაეყრდნო სარჩელს, მოპასუხის შესაგებელსა და ხელვაჩაურის რაიონის არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებას, რაც არასწორია, სასამართლო არასწორად დაეყრდნო იმ დროს მოქმედი რედაქციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნებს. რაც მთავარია, კერძო საჩივრის ავ-

ტორს ამ მისამართზე არასოდეს უცხოვრია, ქონება აღრიცხული იყო დ. ბ-ის საკუთრებად, რომელიც მხარის ნათესავი არ არის. პირველი ინსტანციის სასამართლომ ო. მ-ე, როგორც მოპასუხე, საქმის განხილვაზე არ მიიწვია, რის გამოც მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, დაეცვა თავისი კანონიერი ინტერესები. სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე მხარისათვის ცნობილი გახდა 2009 წლის 3 ივნისს, როდესაც მასთან გამოცხადდა აღმასრულებელი, ხოლო გადაწყვეტილება ჩაბარდა 2009 წლის 4 ივნისს. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე, 423-ე, 424-ე, 425-ე, 426-ე, 429-ე, 430-ე, 431-ე მუხლების დისპოზიციებზე და განმარტა, რომ მან სასამართლოს განცხადებით მიმართა არა ახალი გარემოების შეტყობის გამო, არამედ მოიპოვა ახალი მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი, სასამართლო აღარ მიუთითებდა, რომ მხარემ ვერ დაამტკიცა მისამართის შეუცვლელობის თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ცნობის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა ამ ეტაპზე არც ერთი პირის მიმართ არ მიმდინარეობს, ამჟამად საქმის მასალებით არ დგინდება მოქალაქე ო. მ-ის კავშირი (ნათესაური ან რაიმე სხვა სახის, თუნდაც ნაცნობობა) ე. კ-თან, ხოლო, რაც შეეხება ამ უკანასკნელის ფინანსურ შესაძლებლობას სადავო უძრავი ქონების 2005-2007 წლებში აშენებასთან დაკავშირებით, საქმის მასალებით ო. მ-ის ოჯახს გააჩნდა გარკვეული შემოსავალი, რაც შესაძლებელს ხდიდა უძრავი ქონების აშენებას, დღეისათვის წარმოდგენილი დოკუმენტით თვით მოსარჩელე მხარე ადასტურებს, რომ კერძო საჩივრის ავტორის კავშირი ე. კ-თან არ დასტურდება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. მ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული ნესების დაცვით, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო

აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ 2013 წლის 31 ივლისის განცხადებით ო. მ-ე მოითხოვდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინების გაუქმებას. საქმის წარმოების განახლების ფაქტობრივ საფუძველად კი, განმცხადებელი მიუთითებდა შემდეგს: ა) ცნობილი გახდა მტკიცებულებები, რომლებიც საქმის განხილვის დროს რომ ყოფილიყო წარდგენილი, მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას გამოიწვევდა; ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ გაცემული დოკუმენტის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ არ მიმდინარეობს. ამჟამად საქმის მასალებით არ დგინდება მოქალაქე ო. მ-ის კავშირი (ნათესაური ან რაიმე სხვა სახის, თუნდაც ნაცნობობა) ე. კ-თან, ხოლო რაც შეეხება ამ უკანასკნელის ფინანსურ შესაძლებლობებს, სადავო უძრავი ქონების 2005-2007 წლებში აშენებასთან დაკავშირებით, საქმის მასალების თანახმად, ო. მ-ის ოჯახს გააჩნდა გარკვეული შემოსავალი, რაც შესაძლებელს ხდიდა უძრავი ქონების აშენებას.

ამ კუთხით განმცხადებელმა წარადგინა აღსრულების ეროვნული ბიუროს №13000203 და №13000204 ოქმები ფაქტების კონსტატაციის შესახებ, შსს ბათუმის საქალაქო სამმართველოს 2013 წლის 30 ივლისის ცნობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის 2013 წლის 11 აპრილის ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ წარდგენილი განცხადება სრულად აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც სასამართლომ განცხადება მიიჩნია დასაშვებად და დანიშნა საქმის განხილვა.

2013 წლის 25 სექტემბრის გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა ო. მ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით (განჩინებით) შეფასება მისცა მხოლოდ იმ გარემოებას, წარმოადგენდა თუ არა გადაწყვეტილე-

ბის გაუქმების საფუძველს ის ფაქტი, რომ მხარე საქმეში მითითებულ იმ მისამართზე არ ცხოვრობდა, სადაც ეგზავნებოდა შეტყობინება.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის საქმის წარმოების განახლების წინაპირობას არ წარმოადგენდა სააპელაციო პალატის მიერ 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინებით შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რადგანაც ამ გარემოებათა თაობაზე მხარისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2009 წლის 2 ივლისის განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების დროს.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის №ას-877-1163-09 განჩინების, ასევე ო. მ-ის კერძო საჩივრის შესწავლით დასტურდება, რომ ო. მ-ის პრეტენზია, მის მისამართად ქ.ბათუმის, თ-ის ქ.№14-ის არასწორად მითითების თაობაზე არ იქნა გაზიარებული, ამასთან, კერძო საჩივრის განხილვის დროისათვის მხარეს საქმეში არსებული მისამართის უსწორობის დადასტურების მიზნით წარდგენილი ჰქონდა გარკვეული მტკიცებულებები: შპს „საქართველოს ფოსტის“ წერილი, საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ინფორმაცია, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო ბარათი და ფიზიკურ პირთა წერილობითი განმარტებები.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელმა იმ გარემოების სამტკიცებლად, რომ არ ცხოვრობდა ქ.ბათუმში, თ-ის ქ. №14-ში წარმოდგინა ფაქტების კონსტატაციის ოქმები და უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ გაცემულ ცნობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების განახლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე (სსსკ 423.3). ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლად კანონმდებელი მიიჩნევს მხარის მიერ ახალი გარემოებისა და მტკიცებულების, ანუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტის (ფაქტობრივი ვითარების) და

ისეთი მტკიცებულების შეტყობას, რომელიც საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე არსებობდა, ობიექტურად იყო უცნობი და საშუალო წინდახედულობის ფარგლებში მათი შეტყობა მხარისათვის შეუძლებელი იქნებოდა. ამგვარ მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული განმცხადებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, ვინაიდან, საქმის არსებითი განხილვის დროს მხარე უთითებდა გარემოებებზე, რომელთა დადასტურებაც ამ მტკიცებულებით სურს და იმ ეტაპზე წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა მათი ნამდვილობა.

მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განხილია არსებითი საპროცესო დარღვევით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 5 აგვისტოს განჩინებით დასაშვებად ცნო რა განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე, მას სრულყოფილად არ გამოუკვლევია განცხადებაში მითითებული გარემოებანი.

როგორც უკვე აღინიშნა, მხარე საქმის წარმოების განახლებას ასევე მოითხოვდა იმ საფუძვლით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გაცემული დოკუმენტის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ არ მიმდინარეობს. ამჟამად საქმის მასალებით არ დგინდება მოქალაქე ო. მ-ის კავშირი (ნათესაური ან რაიმე სხვა სახის, თუნდაც ნაცნობობა) ე. კ-თან, ხოლო, რაც შეეხება ამ უკანასკნელის ფინანსურ შესაძლებლობებს, სადავო უძრავი ქონების 2005-2007 წლებში აშენებასთან დაკავშირებით, საქმის მასალების თანახმად, ო. მ-ის ოჯახს გააჩნდა გარკვეული შემოსავალი, რაც შესაძლებელს ხდიდა უძრავი ქონების აშენებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განსაზღვრულ დისპოზიციურობის პრინციპზე, რომელიც სამართალწარმოების სამივე ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების ამოსავალი პრინციპია. მე-3 მუხლის დისპოზიციას კანონმდებელი სხვადასხვა ნორმაში განსხვავებული სახით წარმოადგენს, თუმცა, ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის LII თავით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გადასინჯვისას დისპოზიციურობის პრინციპი გამოიხატება მხარის მიერ ფაქტების მითითებასა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით მტკიცებულებათა წარდგენაში. საქმის წარმოების განახლების მიზნებისათვის კანონის აღნიშნული დათქმა ასახულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე და შემდგომ მუხლებში, რომლითაც რეგულირებულია განცხადე-



ბის წარდგენის უფლება, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლო მივიდეს ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე გადაწყვეტილების გაუქმების ან მისი ძალაში დატოვების თაობაზე, ამავე კოდექსის 429-ე მუხლის პირველი წინადადებით იმპერატიულადაა განსაზღვრული სასამართლოს ვალდებულება, შეამოწმოს დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. განცხადების დასაშვებობის კრიტერიუმები კი, თავის მხრივ, მოცემულია 427-ე მუხლის პირველ ნაწილში, მათ შორისაა განსჯადობის წესის დაცვა.

უდავოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც არ ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორი, შეეხება მის ე. კ-თან დაკავშირებულ პირად მიჩნევას, ქონების დაუსაბუთებლად ცნობასა და სახელმწიფოსათვის გადაცემას.

განმცხადებლის მიერ საქმის წარმოების განახლების ერთ-ერთ საფუძვლად კი, წარმოდგენილია მტკიცებულება, რომლის ფორმალური თვალსაზრისით შესწავლისას დასტურდება, რომ ის მიმართულია გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების წინააღმდეგ.

მოცემულ შემთხვევაში, ო. მ-ის განცხადების განსახილველად დაშვების ეტაპზე სააპელაციო სასამართლოს შეფასება არ მიუცია რა ზემოაღნიშნული საფუძვლისა და ამ საფუძვლის თაობაზე წარდგენილი მტკიცებულებებისათვის, არ გამოუკვლევია, წარმოადგენდა თუ არა იგი განცხადების ამ პრეტენზიის განხილვაზე განსჯად სასამართლოს, მას არც შემაჯამებელი განჩინებით გამოუკვლევია ზემოაღნიშნული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. აღნიშნული დასკვნა კი, თავის მხრივ, უნდა ემყარებოდეს იმ გარემოებათა ანალიზს, რომელიც სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღებულ საჩივარშია გადმოცემული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო (კერძო) საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საპროცესო სასამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა რა განმცხადებლის ზემოაღნიშნულ არგუმენტსა და ამ გარემოების თაობაზე წარდგენილ მტკიცებულებაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გაცემული ინფორმაციის თაობაზე ო. მ-ის განცხადების დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ო. მ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. ნაწილობრივ გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინება და საქმე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გაცემული ინფორმაციის თაობაზე ო. მ-ის განცხადების დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოსაძიების  
ნარმოების განახლების საფუძველზე**

**განჩინება**

№ა-3398-ა-17-2014

1 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**მოსამართლე: ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

**აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ც-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლო-ში ა. რ-ას, გ. გ-ას, გ. რ-ას, გ. გ-ის, ვ. ქ-ის, თ. ნ-ის, თ. ბ-ას, თ. კ-ის, ი. ს-ას, ლ. მ-ის, მ. ნ-ის, მ. ლ-ის, ნ. ბ-ას, ნ. შ-ას, ტ. შ-ისა და იბა „მ-ის 7-ის“ მიმართ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ც-ას სარჩელი უკანონო ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს დაევაღათ თ. ც-ას კუთვნილი თბილისში ღ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონების გათავისუფლება ავტომობილებისა თუ სხვა მოძრავი ნივთებისაგან.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ივლისის საოქმო განჩინებით აპელანტების გ. გ-ას, გ. რ-ას, გ. გ-ის, ვ. ქ-ის, თ. ნ-ის, მ. ნ-ის, ნ. შ-ას, ტ. შ-ის, ი. ს-ასა და იბა „მ-ის 7-ის“ წარმომადგენელ თ. ა-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შეჩერდა წარმოება საქმეზე №2ბ/6826-13 აპელანტების ა. რ-ას, გ. გ-ას, გ. რ-ას, გ. გ-ის, ვ. ქ-ის, თ. ნ-ის, თ. ბ-ას, თ. კ-ის, ი. ს-ას, ლ. მ-ის, მ. ნ-ის, მ. ლ-ის, ნ. ბ-ას, ნ. შ-ას, ტ. შ-ისა და იბა „მ-ის 7-ის“ სააპელაციო საჩივრის გამო, მოწინააღმდეგე მხარე – თ. ც-ას მიმართ ადმინისტრაციულ საქმეზე №3/3744/13 საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნული განჩინება თ. ც-ამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით თ. ც-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. საკასაციო სასამართლოს მითითებით, წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2014 წლის 8 ივლისის გასაჩივრებული დასაბუთებული საოქმო განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა თ. ც-ას წარმომადგენელი ა. თ-ი. კერძო საჩივრის შეტანის ვადა დაინყო 2014 წლის 9 ივლისს და დამთავრდა 2014 წლის 21 ივლისს (20 ივლისი იყო დასვენების დღე). კერძო საჩივარი კი თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილია 2014 წლის 25 ივლისს, კერძო საჩივრის შედგენის თარიღად ასევე მითითებულია 2014 წლის 25 ივლისი, რაც უტყუარად ადასტურებს საპროცესო ვადის დარღვევას.

2014 წლის 30 ოქტომბერს თ. ც-ას წარმომადგენელმა ა. თ-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. მისი მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ივლისის სხდომაზე დასაბუთებული განჩინება არ გამოცხადებულა, არამედ გამოცხადდა მხოლოდ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი. დასაბუთებული განჩინება მხარეს 21 ივლისს ჩაბარდა, შესაბამისად, კერძო საჩივარი ვადაშია შემოტანილი. განცხადებას ერთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის შენიშვნა იმავე სასამართლოს 2014 წლის 8 ივლისის ოქმთან დაკავშირებით. შენიშვნის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 ივლისის აპელანტების გ. გ-ას, გ. ჩ-ას, გ. გ-ის, ვ. ქ-ის, თ. ნ-ის, მ. ნ-ის, ნ. შ-ას, ტ. შ-ის, ი. ს-ას და იბა „მ-ის 7-ის“ წარმომადგენლის თ. ა-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. შეჩერდა წარმოება საქმეზე №2ბ/6826-13 აპელანტების ა. ჩ-ას, გ. გ-ას, გ. ჩ-ას, გ. გ-ის, ვ. ქ-ის, თ. ნ-ის, თ. ბ-ას, თ. კ-ის, ი. ს-ას, ლ. მ-ის, მ. ნ-ის, მ. ლ-ის, ნ. ბ-ას, ნ. შ-ას, ტ. შ-ის, იბა „მ-ს 7-ის“ სააპელაციო საჩივრის გამო, მოწინააღმდეგე მხარე – თ. ც-ას მიმართ ადმინისტრაციულ საქმეზე №/3/3744-13 საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. მხარეებს განემარტათ, რომ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინებაზე შეიძლებოდა კერძო საჩივრის შეტანა დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან 12 დღის განმავლობაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (თბილისი, გრიგოლ რობაქიძის 7ა) კერძო საჩივრის წარდგენის გზით. სასამართლოს ამგვარი განმარტება ეფუძება იმ გარემოებას, რომ სასამართლოს სხდომაზე, ადგილზე თათბირის შედეგად არ გამოუცხადებია მოტივირებული საოქმო განჩინება, რაც ასახულია კიდევც სასამართლო სხდომის ოქმის ელ.ვერსიაში (მოუსმინეთ 16:51:41). სასამართლო გავიდა სათათ-

ბიროდ და თათბირის შემდეგ ადგილზე გამოაცხადა მხოლოდ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, ამიტომაც განემარტათ მხარეებს, რომ განჩინება საჩივრდებოდა მოტივირებული განჩინების ჩაბარებიდან და არა სხდომაზე განჩინების გამოცხადებიდან. რაც შეეხება სხდომის ელ.ვერსიის შემდეგ მოცემულ მოტივაციას, აღნიშნული მოტივაცია შეიქმნა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ, თუმცა, აისახა არა სხდომის ოქმისგან განცალკავებით, ცალკე შექმნილ საპროცესო დოკუმენტში, არამედ ამავე ოქმში, ნაბეჭდი სახით. შესაბამისად, მხარეს არ ჰქონდა და ვერ ექნებოდა მითითებული მოტივაციის გაცნობის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა მოტივირებული განჩინების გამოცხადებას, მითითებული მოტივაცია ასახული იქნებოდა სხდომის ელექტრონულ ვერსიაში, როგორც სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოტანილი განჩინება, თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადება და მიიჩნია, რომ თ. ც-ას წარმომადგენელ ა. თ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამძღვრები.

იმავე კოდექსის 423-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის

განჩინებით თ. ც-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორს გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა გაშვებული ჰქონდა. საკასაციო სასამართლომ ვადა განჩინების გამოცხადების მომენტიდან აითვალა, ვინაიდან, მივიდა დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დასაბუთებული განჩინება გამოცხადდა. მხარის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო სასამართლოს შენიშვნა ნათლად ადასტურებს, რომ სასამართლოს სხდომაზე, ადგილზე თათბირის შედეგად არ გამოუცხადებია მოტივირებული საოქმო განჩინება. სასამართლო გავიდა სათათბიროდ და თათბირის შემდეგ ადგილზე გამოაცხადა მხოლოდ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი. დასაბუთებული განჩინება შეიქმნა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ, მაგრამ აისახა იმავე ოქმში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულება საკასაციო სასამართლოსათვის გადაცემული რომ ყოფილიყო კერძო საჩივრის დასაშვებობის შემონიშნების ეტაპზე, თ. ც-ას კერძო საჩივარი განუხილველად არ დარჩებოდა, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო ვადის ათვლა უნდა განხორციელდეს განჩინების ჩაბარებიდან – 2014 წლის 21 ივლისიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო საჩივარი ვადაშია შემოტანილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმის წარმოება განახლდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 423-ე, 431-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თ. ც-ას წარმომადგენელ ა. თ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინება და თ. ც-ას კერძო საჩივარზე საქმის წარმოება განახლდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოსაქმის  
ნარმოების განახლების საფუძველზე**

**განჩინება**

№ა-211-ბ-1-2015

18 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ლექსიკონის ორიგინალის ან ასლის გავრცე-  
ლების აკრძალვა და კომპენსაციის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განჩინებით შპს „ნ-ის“,  
ინდივიდუალური მენარმე მ. კ-ის, ინდივიდუალური მენარმე ი.  
ლ-სა და ინდივიდუალური მენარმე ი. უ-ს სახელით მ. ხ-ის მიერ  
წარდგენილი კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად, იმ გარე-  
მოებებზე მითითებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე შპს „ნ-ს“, ინდი-  
ვიდუალური მენარმე მ. კ-ის, ინდივიდუალური მენარმე ი. ლ-სა  
და ინდივიდუალური მენარმე ი. უ-ს სახელით მ. ხ-ის მიერ წარ-  
დგენილ კერძო საჩივარზე საქართველოს უზენაესი სასამარ-  
თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ნოემბრის  
განჩინებით დადგინდა იქნა ხარვეზი, რომლითაც კერძო საჩივ-  
რის ავტორს დაევალა, განჩინებით განსაზღვრულ 5 დღის ვა-  
დაში, სახელმწიფო ბაჟის სახით, 50 ლარის გადახდის დამადას-  
ტურებელი დოკუმენტისა და მარნმუნებლების სახელით კერ-  
ძო საჩივრის წარდგენის უფლებამოსილების დამადასტურებე-  
ლი რწმუნებულებების წარმოდგენა საქართველოს უზენაეს სა-  
სამართლოში. განჩინების საფუძველებისა და სარეზოლუციო ნა-  
წილის შესახებ საქმის მასალებში არსებულ ტელეფონის ნომერ-  
ზე ეცნობა მ. ხ-ს. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კო-  
დექსის 73-ე მუხლის თანახმად მიჩნეულ იქნა განჩინების მხა-  
რისათვის ჩაბარებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალა-  
ქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცე-  
სო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილითა და 61-ე მუხლის

მესამე ნაწილით და კერძო საჩივრის ავტორის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო კერძო საჩივარი დატოვა განუხილველად.

2015 წლის 26 იანვარს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართეს შპს „ნ-ს“ დირექტორმა მ. მ-მა, ინდივიდუალური მენარმე მ. კ-მ, ინდივიდუალური მენარმე ი. ლ-მ და ინდივიდუალური მენარმე ი. უ-მ და მოითხოვეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობა.

განცხადება დასაბუთებულია იმ გარემოებაზე მითითებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე (რომლითაც განუხილველად იქნა დატოვებული შპს „ნ-ის“, ინდივიდუალური მენარმე მ. კ-ის, ინდივიდუალური მენარმე ი. ლ-სა და ინდივიდუალური მენარმე ი. უ-ს სააპელაციო საჩივარი) შპს „ნ-ს“, ინდივიდუალური მენარმე მ. კ-ის, ინდივიდუალური მენარმე ი. ლ-სა და ინდივიდუალური მენარმე ი. უ-ს სახელით მ. ხ-ის მიერ წარდგენილი კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო. განმცხადებლების განმარტებით, კერძო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ნოემბრის განჩინება ჩაბარდა ვინმე მ. ხ-ს, რომლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის და ამდენად, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული. განმცხადებლების განმარტებით, მათთვის მხოლოდ აღსრულების ეტაპზე გახდა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინების შესახებ. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობისა და კერძო საჩივარზე დასაშვებობის სტადიიდან წარმოების განახლების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის განჩინებით შპს „ნ-ს“, ინდივიდუალური მენარმე მ. კ-ს, ინდივიდუალური მენარმე ი. ლ-სა და ინდივიდუალური მენარმე ი. უ-ს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-



ტის 2014 წლის 27 ნოემბრის განჩინებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა განცხადების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ნ-ს“, ინდივიდუალური მენარმე მ. კ-ის, ინდივიდუალური მენარმე ი. ლ-სა და ინდივიდუალური მენარმე ი. უ-ს განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

ზემოთ აღნიშნული ნორმის მიზნიდან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებს, რადგან საქმის წარმოების განახლება არ წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მორიგ ეტაპს და შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერების შემომწმების დამატებით საპროცესო მექანიზმს. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ისიც, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

მოცემულ შემთხვევაში, განჩინების ბათილად ცნობის შესახებ წარმოდგენილი განცხადების ძირითადი დასაბუთება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კერძო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ნოემბრის განჩინება

ჩაბარდა მ. ხ-ს, რომლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის და ამდენად, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული, აღნიშნული კი, წარმოდგენს კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობისა და დასაშვებობის სტადიიდან კერძო საჩივარზე წარმოების განახლების წინაპირობას.

განმცხადებლების ზემოთ აღნიშნულ პრეტენზიას სამოქალაქო საქმეთა პალატა ვერ გაიზიარებს და დადგენილად მიიჩნევს ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინება ი/მ მ. კ-ის, ი/მ ი. ლ-ს, შპს „ნ-სა“ და ი/მ ი. უ-ს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრდა მ. ხ-ს მიერ, ხოლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მ. ხ-ს წარმომადგენლობით უფლებამოსილება, კერძო საჩივრის ავტორს დაუდგინდა ხარვეზი და სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან ერთად დაევალა, მარწმუნებლების სახელით კერძო საჩივრის წარდგენის უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულებების წარმოდგენა. სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებით, ლოგიკურ დასაბუთებასაა მოკლებული განმცხადებლების ის არგუმენტი, თითქოს მათთვის მხოლოდ აღსრულების ეტაპზე გახდა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინების შესახებ, ვინაიდან, მ. ხ-ს პირადი იურიდიული ინტერესი კერძო საჩივრის წარდგენისადმი საქმის მასალებით არ იკვეთება. გარდა ამისა, რომ არა მ. ხ-ს მიერ წარმოდგენილი კერძო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით (თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა) გასაჩივრებული არ არის და იგი შესულია კანონიერ ძალაში. ვინაიდან როგორც საქმეში წარმოდგენილი შეტყობინების ბარათებით გზავნილის ჩაბარების შესახებ დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე 78-ე მუხლებით დადგენილი წესით ზედიზედ ორჯერ გაეგზავნათ აპელანტებს საქმეში არსებულ მისამართზე.

ამასთან, სამოქალაქო საქმეთა პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ი/მ მ. კ-ს, ი/მ ი. ლ-ს, შპს „ნ-სა“ და ი/მ ი. უ-ს სახელით მ. ხ-ს მიერ წარმოდგენილი კერძო საჩივრის დასაბუთებაც აგებულია ანალოგიურ პრეტენზიაზე მითითებით, რაც კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, ხარვეზის დადგენის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 3 ივლისისა და 24 ივლისის განჩინების აპელანტებისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის ჩაუბარებლობაში მდგომარეობს, მაშინ, როდესაც საქმის მასალებში წარმოდგენილი შეტყობინების ბარათით გზავნილის ჩაბარების შესახებ დადასტურებულია, რომ ხარვეზის განჩინება ჩაბარდა აპელანტების წარმომადგენელ ც. მ-ს, რომლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დადასტურებულია საქმის მასალებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ მხარის კანონიერი ინტერესის საქმის განხილვაში მონაწილეობის შესახებ დარღვევის ფაქტობრივი გარემოებები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით განჩინების ბათილად ცნობის საფუძველია, საქმის მასალებით დადასტურებული არ არის. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ შპს „ნ-ს“, ინდივიდუალური მენარმე მ. კ-ს, ინდივიდუალური მენარმე ი. ლ-სა და ინდივიდუალური მენარმე ი. უ-ს განცხადება კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობისა და კერძო საჩივარზე დასაშვებობის სტადიიდან წარმოების განახლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 430-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ნ-ს“, ინდივიდუალური მენარმე მ. კ-ს, ინდივიდუალური მენარმე ი. ლ-სა და ინდივიდუალური მენარმე ი. უ-ს განცხადება კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნო-

ემბრის განჩინების ბათილად ცნობისა და კერძო საჩივარზე დასაშვებობის სტადიიდან წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკიბეჯელი

განსჯადობის წესების დარღვევა .....	3
ელექტრონული დეკლარაციის იურიდიული ძალა .....	12
სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება .....	16
მაგისტრი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა; სასამართლო უწყების ჩაბარება .....	22; 26
განცხადება საბუთის სიყალბის შესახებ .....	30
მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი .....	55; 60
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები .....	64
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა .....	68; 73; 78; 82; 88; 90
საქმის წარმოების შეჩერება მხარის უფლებამონაცვლის დადგენამდე .....	95
საქმის წარმოების შეწყვეტა .....	102; 104; 114; 119; 129; 140
მორიგება .....	142; 147; 154
ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები .....	159; 169; 180; 184